ეროვნული ბიბლიოთეკა


# სარბიელი

სპორტული გაზეთი | შაბათი 22 იანვარი 2002 №6 (1528) | ფასი 50 თეთრი


## ნიკა ცქიტიშვილს სიზმარი აუცხადდა

### კიდევ ერთი ქართველი სერია A-ში

შაბათს იტალიის საკალათბურთო სერია A-ში პირველი ქართველი გამოჩნდა. ჩემპიონატის ერთ-ერთი ლიდერი ტრევიზოს „ბენეტონი“ შინ რეჯიოკალაბრიულ „ვიოლას“ ხვდებოდა. მატჩის დაწყებიდან შვიდ წუთში მოედანზე მასპინძელთა მე-20 ნომერი, 18 წლის ნიკა ცქიტიშვილი შევიდა...

გუშინ ნიკას ტრევიზოში იტალიური დებიუტიც მივულოცეთ და მატჩზეც გავესაუბრეთ...

— თითქოს სიზმარი იყო, ყველაფერი კარგად არც მახსოვს. სათადარიგოთა სკამზე ჯდომისას ვფიქრობდი, მწვრთნელი ალბათ ბოლო წუთებზე თუ შემიყვანს-მეთქი. პირველი მეოთხედის დასრულებას სამი წუთი უკლდა, როცა მაიკ დანტონიმ დამიძახა, მოედანზე შედიო.

**— მატჩის განაცხადში შეყვანას თუ ელოდი?**

— სიმართლე გითხრათ, არც მაგის მჯეროდა. იტალიის ჩემპიონატში თითოეულ გუნდს ათი კალათბურთელით თამაშის უფლება აქვს, აქედან გამომდინარე, არ მეგონა, თუ მწვრთნელი ათეულში დამასახელებდა. ჩემს გამო შემადგენლობაში ვერ მოხვდა „ბენეტონის“ ერთ-ერთი ლიდერი ალან ტომიდი.

**— დებიუტით კმაყოფილი ხარ?**

— სავსებით. აკი გითხარით, მოედანზე მყოფს თავი სიზმარში მეგონა. თავიდან ორიოდ წუთი დამჭირდა, სანამ ყველაფერს გავაცნობიერებდი. ჩემს მხარდამხარ იტალიისა და ევროპის წამყვანი კალათბურთელები თამაშობდნენ. 15 წუთი ვითამაშე, ჩემს ანგარიშზე 5 ქულა, ორი მოხსნა, ერთი ჩაჭრა და ერთიც პასია. დაცვაში უფრო აქტიური ვიყავი, ვიდრე შეტევაში.

**— მწვრთნელმა დანტონიმ რა გითხრა, კმაყოფილი დარჩა?**

— მასთან არ მისაუბრია. ვფიქრობ, არ უნდა იყოს უკმაყოფილო. ამხელა დონის მატჩში ხომ პირველად ვთამაშობდი. ისე, როცა მოედანზე ვიყავი, მწვრთნელი მხოლოდ ჩემს სახელს გაიძახოდა, გამუდმებით მამხნევებდა.

**— ახალ გუნდში თავს როგორ გრძნობ?**

— ჩემი დღევანდელი და ადრინდელი ყოფა ისე განსხვავდება, როგორც ცა და მიწა. ყველა პატივისცემით მეპყრობა, გუნდელები, გულშემატკივრები, ჟურნალისტები. მატჩის შემდეგ პრესას კარგა ხანს ვერ დავუსხლტი, ყველა მე შემომეხვია. ხვალ ტრევიზოში საკალათბურთო არხი იხსნება და სტუდიაში პირველ სტუმრად მე მიმიწვიეს. ინგლისურად მომიწევს საუბარი და ცოტა ვნერვიულობ.

**— როგორ ფიქრობ, მომავალ მატჩსაც ითამაშებ?**

— ამას ვერ გეტყვით, ყველაფერი მწვრთნელზეა დამოკიდებული. რაც მთავარია, დავრწმუნდი, რომ მენდობიან. მომდევნო მატჩი ევროლიგაში გვაქვს. თელ ავივში „მაკაბისთან“ სათამაშოდ მეც მივემგზავრები.

**ირაკლი ბერტაია**




ნიკა ცქიტიშილი „ტრევიზოს“ მაისურით

## რა დროს ტიმ-პიტაშრია: ჰენმანი და სამპრასი წყალმა წაიღო



REUTERS მელბურნიდან

მარატ საფინი

*მელბურნში წვიმა მოვიდა, მერე წავიდა და თან გაიყოლა ტიმ ჰენმანი — ელეგანტური და ძლიერი ჩოგბურთელი, მაგრამ, ეტყობა, არა უძლიერესი. ჰენმანი სულ ცდილობს, უმაღლესთა სიაში ერთხელ მაინც მოხვდეს და წლევანდელ ავსტრალიის ღია პირველობაზე ეს ყველაზე კარგად შეეძლო. არ გამოვიდა: ბრიტანელის ნერვები საჭირო დროს ღალატის გზას დაადგნენ და ჰენმანმა შვედ იონას ბიორკმანთან წააგო. ეს იყო მელბურნში ორშაბათის მთავარი სენსაცია, უფრო ხმაურიანი, ვიდრე მარატ საფინისგან მობერებულ-მოსუსტებული პიტ სამპრასის ძლევა. სხვა კი საკვირველი არაფერი მომხდარა. განსაკუთრებით ქალებში ყველაფერი ლოგიკურად მიდის, ფავორიტები იგებენ და წინ მიიწევენ, რაც მეოთხედფინალებიდან ბევრი პრინციპული და ლამაზი ბრძოლის მოწმეს გაგვხდის.*

იხილეთ მეთორმეტე გვერდი



REUTERS მელბურნიდან

ტიმ ჰენმანი



იონას ბიორკმანი

# ბერტი ფოგტსს შოტლანდიელებმა კაბა ჩააცვეს



**გერმანელი** ბერტი ფოგტსი შოტლანდიის ეროვნული გუნდის მწვრთნელია. ფოგტსის „მამაც გულად" გახდომაზე ბრიტანული ტაბლოიდები თითქმის ყოველდღე წერდნენ, წუხელ კი კრეიგ ბრაუნის — მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის დარსულებისას გათავისუფლებული — მემკვიდრეც ოფიციალურად დამტკიცდა.

„ბერტი ფოგტსი დღეიდან ნაკრების მწვრთნელია, უფლებას ვიტოვებთ, კონტრაქტის დეტალები და პირობები არ გავახმაუროთ, ეს ჯერჯერობით კონფიდენციალური საკითხია, იმას კი დავძენთ, რომ ფოგტსი ჩინებული მწვრთნელია და ჩვენც მას სრულ ნდობას და მხარდაჭერას ვუცხადებთ" — განუცხადა წუხელ სააგენტო „როიტერს" შოტლანდიის ფეხბურთის ასოციაციის თავმჯდომარე დევიდ ტეილორმა.

გერმანელი გუშინდლამდე ქუვეითის ნაკრებს წვრთნიდა და იცით რამ დააჩქარა, ფოგტსის „გაშოტლანდიელება"? ქუვეითის ნაკრებმა სპარსეთის ყურეში მიმდინარე „გულფის თასზე" ომანთან წააგო, რამაც ამ ქვეყნის შეიხი ფაჰად ალ-ამრად ალ-საბაჰი განარისხა და აი, შედეგიც...

**გიორგი ვაშაკიძე**

## ინგლისი

| |
|---|
| პრემიერლიგა. XXIII ტური |
| ჩარლტონი 1:2 ასტონ ვილა |
| მეორე დივიზიონი. XXX ტური |
| ჩესტერფილდი 1:2 ბრაიტონი |
| ასოციაციის თასი |
| 1/32ფინალი. გადათამაშება |
| პიტერბრო (II) 2:0 დარლინგტონი (III) |

## პორტუგალია

| |
|---|
| I ლიგა. XIX ტური |
| ბრაგა 1:0 ჟილ ვისენტე |

## იტალია

| |
|---|
| სერია B. XXI ტური |
| ანკონა 0:1 ნაპოლი |
| სერია C1/a. XX ტური |
| ლივორნო 2:0 არეცო |

## შოტლანდია

| |
|---|
| ასოციაციის თასი |
| 1/16ფინალი. გადათამაშება |
| რეინჯერსი 3:0 ბერვიკი (II) |

## Cup of Nations 2002 — აფრიკის ერთვნებათა თასი

| | |
|---|---|
| A ჯგუფი. I ტური | C ჯგუფი. I ტური |
| ალჟირი 0:1 ნიგერია | კოტ დივუარი 0:0 ტოგო |
| B ჯგუფი. I ტური | D ჯგუფი. I ტური |
| განა 0:0 მაროკო | ტუნისი 0:0 ზამბია |



REUTERS

ალჟირი — ნიგერია. ნიგერიელ ფინიდი ჯორჯს ლამის მაისურა შემოახიეს

# რუსებთან ამხანაგობა სახიფათოა



ლადო ბურდული

**დინამოელთა** ხორვატი დამრიგებელი ივო შუშაკი მხოლოდ ორი დღით შეყოვნდა კვიპროსში და სამშობლოში გაბრუნდა. ხორვატი სპეციალისტი თბილისში, სავარაუდოდ, 28 იანვარს ჩამოვა, ხოლო „დინამო" 30 იანვარს და ახალ მწვრთნელსაც ჩაბარდება.

მანამდე კი გუნდს გივი ნოდია წვრთნის და მისი ხელმძღვანელობითაც „დინამოში" ორი საკონტროლო მატჩიც ჩაატარა. ჯერ მისი მეტოქე ჩეხური „ბრნო" გახლდათ. ამ გუნდში ცნობილი ჩეხი ვეტერანი ლიბერო, ევრო 96-ის ვერცხლისმედალოსანი მიროსლავ კადლეცი თამაშობს. „დინამო" ლადო ბურდულის თერთმეტმეტრიანით დაწინაურდა, პენალტი კი კოკა მიკუჩაძემ მოინადირა. „ბრნომ" 50-ე წუთზე გაათანაბრა, როცა მამალაძემ ზედიზედ სამჯერ მოიგერია ახლოდან დარტყმული, მეორე ჯერზე კი ველარ იყოჩაღა. „დინამოს" სასტარტო თერთმეტეული ასეთი იყო: ***მამალაძე, შაშიაშვილი, ჩივაძე, შავგულიძე, სვანაძე, გოგობერიშვილი, მანწკავა, ბურდული, მიკუჩაძე, სამხარაძე, ბობოხიძე.*** დინამოელთა პირველმა მეკარემ ირაკლი ზოიძემ ხელის ტრავმის გამო ვერ ითამაშა, ასევე დაშავებულა ფორვარდი გიორგი მიქაძე, ილია კანდელაკი და ვიტალი დარასელია კი ნოდიამ დაასვენა. მეორე ტაიმში ნოდიამ მამალაძის გარდა ყველა ფეხბურთელი შეცვალა — მინდორზე 7 ბრაზილიელი, ვაშაკიძე, ამასულაშვილი და შალამბერიძე გავიდნენ.

გუშინ საღამოს „დინამო" აიანაპადან ლარნაკაში გაემგზავრა და იქ დაბინავებულ სანკტ პეტერბურგელ სეხნიას გაეჯიბრა, რომელიც შარშან რუსეთის ჩემპიონატის მეორე დივიზიონის დასავლეთ ზონაში მეთექვსმეტე ადგილზე გავიდა.

როგორც „დინამოს" პრეს-ატაშე დავით ერაძემ გუშინვე გვაცნობა, რუსებს ძალიან უხეშად უთამაშიათ. სერიოზულ ინციდენტამდე საქმე არ მისულა, თუმც გაწევ-გამოწევა კი ყოფილა. ჩვენებურთაგან ილია კანდელაკი და გიორგი მიქაძე დაშავებულან მსუბუქად. თამაში არ დასრულებულა, ნახევარი საათით ადრე მატჩი შეწყდა. ჩვენი „დინამო" 1:2 აგებდა.

პირველი ტაიმი „დინამომ" 0:2 წააგო, შვიდივე ბრაზილიელმაც თავიდანვე ითამაშა, მეორეში მხოლოდ ვანდერლეი დარჩენილა მინდორზე, დასაწყისშივე ვიტალი დარასელიას კვლავაც კუთხურიდან ჩაუხვევია ბურთი კარში, მაგრამ...

„დინამომ" პირველ ტაიმში ასეთი შემადგენლობით ითამაშა: ***მამალაძე, ვაშაკიძე, ვანდერლეი, ამისულაშვილი, კარლოსი, ევანდრო, შავგულიძე, ედუარდო, ედილსონი, სამხარაძე და მიკუჩაძე.*** მეორეში, ზემოთაც ვთქვით, ვანდერლეი დარჩა, შეცვლაზე კი ***ზოიძემ, ჩივაძემ, შაშიაშვილმა, სვანაძემ, შალამბერიძემ, მანწკავამ, ბურდულმა, დარასელიამ, მიქაძემ და კანდელაკმა*** ითამაშეს. მიკრო-ტრავმების გამო სანკტ პეტერბურგელებთან „დინამოს" მიხეილ ბობოხიძე და ალეკო გოგობერიშვილი ვერ დაეხმარნენ.

ხვალ ჩვენებურნი ბულგარულ სოფიის „ლოკომოტივს" გაეჯიბრებიან.

**დავით თავართქილაძე**

# გუჩუას კოლხეთი სურს, ფოთელებს ტორპედოსთან ლაპარაკი

**იოჰან ბოსკამპის** მწვრთნელობისას ვალტერ გუჩუა ეროვნული ნაკრების კანდიდატად ითვლებოდა. „გუჩიმ", როგორც მას „მყვირალა ჰოლანდიელი" ეძახდა, ნორვეგიაშიც კი მოირგო ეროვნული გუნდის მაისურა. მერე აწგანსვენებულმა დავით ყიფიანმა თბილისის „დინამოდან" ქუთაისის „ტორპედოში" მიიწვია. ქუთაისური სეზონის პირველივე წრეში, ხისტი, თუმც იმავდროულად „ფუტკარივით მუშად" ცნობილი ფეხბურთელი ძველებურად ათამაშდა, მაგრამ...

მერე იყო ტრავმები, აღდგენითი პროცესები. როცა გამოჯანმრთელდა, რევაზ ძოძუაშვილი გუჩუას იშვიათად ათამაშებდა. წლეულსაც, თითო-ოროლა მატჩში თუ მიიღო მონაწილეობა. სათადარიგოთა სკამზე უქმად ჯდომას, ცხადია, ფეხბურთის თამაში ამჯობინა. ამბობდნენ, ვალტერ გუჩუა მახაჩყალის „ანჟიშია" და ცდილობს, იქაურებს თავი მოაწონოსო. გუჩუა „ანჟიში" არ ყოფილა, ადგა და ფოთში ჩავიდა, „კოლხეთში" თამაში მსურსო. ზღვისპირელებმაც „გუჩი" სიხარულით მიიღეს, რაც „კოლხეთიდან" ჯონი შალამბერიძე წავიდა, მას მერე მისი შემცვლელი ვერ გვიპოვიაო.

ახლა ყველაფერი „ტორპედოზეა" დამოკიდებული. „მოსკოვიდან ჩამოვლენ ქუთაისელები და დაველაპარაკებით, გვსურს, გუჩუამ „კოლხეთში" ითამაშოს" — გვითხრა ფოთელთა აღმასრულებელმა დირექტორმა ვახტანგ ხაინდრავამ. „წინასწარ რა გითხრათ, არც ვიცი. ძალიან მინდა, გუჩუამ ჩემთან ითამაშოს, მაგრამ რას გვეტყვის „ტორპედო? შესაძლოა, მის სანაცვლოდ ჩვენი მოთამაშეც გავუცვალოთ" — ეს „კოლხეთის" მწვრთნელ სოსო ფილიას სიტყვებია.

ასე რომ, ვალტერ გუჩუა „კოლხეთში" თავისი სურვილით მივიდა და არც ფოთელები არიან წინააღმდეგნი. ახლა ყველაფერი „ტორპედოზეა" დამოკიდებული.

სოსო ფილია დღეს განაახლებს წვრთნას. ნათლისღების დღესასწაულთან დაკავშირებით, მწვრთნელმა ფეხბურთელები ოთხი დღით დაითხოვა. ვინც 17 იანვრის „სარბიელი" წაიკითხა, წამსვლელ-მომსვლელთა ვინაობას გაეცნობოდა. მაინც შეგახსენებთ, კონსტანტინე მეტრეველი, კახი დაუშვილი და დავით ოდიკაძე სავარაუდოდ „კოლხეთში" დარჩებიან. შმაგი ონიანმა, ლუხუმ ჯაბუასა და ზვიად ფხაკაძის ბედი გაიზიარა — ისიც დაიწუნეს. რაც შეეხება დავით კვირკველიას, ახალგაზრდული ნაკრების კანდიდატი დღესაც „კოლხეთში" ვარჯიშობს.



ვალტერ გუჩუა

**გიორგი ვაშაკიძე**

# ტავრია შორეულ რეისში

## გიგიაძეები სიმფეროპოლში გაიყარნენ

**გუშინ** სიმფეროპოლიდან აიბარგა და თურქულ ანთალიაში 12-დღიან შეკრებაზე გაემგზავრა უკრაინის უმაღლესლიგელი „ტავრია". მოგეხსენებათ, ამ გუნდში ბოლო დრომდე ოთხი ქართველი — გოჩა ტრაპაიძე, შოთა ჩომახიძე, ტყუპი ძმები ვასილ და სოსო გიგიაძეები და ქართველების სიძე, „ბათუმში" ნათამაშევი ნიგერიელი უჩე უვაკვე ბურთაობდნენ. ქვეყნის ჩემპიონატის პირველი წრის შემდეგ, რომელშიც „ტავრიამ" ვერაფრით გამოიჩინა თავი და გათამაშების ცხრილში ოდენ მე-12 ადგილზეა, ჩვენებურთაგან ერთი — სოსო გიგიაძე გუნდს საბოლოოდ დაშორდა და, როგორც თავადვე აცხადებს, სულ მალე სხვა უკრაინულ კლუბს შეუერთდება.

სიმფეროპოლელები ნააზალწლევს ყირიმშივე, მეზობელ ალუშტაში შეიკრიბნენ და ორი კვირა იქ გადიოდნენ წვრთნას. „ტავრიამ" ორი საკონტროლო მატჩიც გამართა. ჯერ მარიუპოლის „მეტალურგს" სძია 2:0, მერე კი 1:3 დამარცხდა დნეპროპეტროვსკის „დნეპრთან". ქართველები ორივე შეხვედრაში ძირითადში იყვნენ, გოლი არავის გაუტანია. ვასილ გიგიაძე „დნეპრთან" მეორე ტაიმში მცირე ტრავმის გამო აღარ გასულა მოედანზე.

საშუასეზონო პერიოდში სოსო გიგიაძის გარდა „ტავრია" სხვა ფეხბურთელებმაც დატოვეს, ოღონდ კლუბის მესვეურებმა შევსებაზეც იზრუნეს. მარიუპოლიდან სიმფეროპოლში დაბრუნდა ალექსანდრ გაიდაში. ეს ფორვარდი ადრეც წარმატებით თამაშობდა „ტავრიაში", ბევრი გაჰქონდა. ყირიმულ გუნდს ანთალიაში გაჰყვა 20 წლის ბრაზილიელი მცველი როჟე ოლივეირა, რომელიც აქამდე ქალაქ სან პაულუს ერთ-ერთ სამოყვარულო გუნდში ირიცხებოდა. „ტავრია" 3 თებერვლამდე დარჩება ანთალიაში, საიდანაც იტალიისკენ აიღებს გეზს და რომის მახლობლად, ერთ-ერთ სპორტულ ბაზაზე გააგრძელებს წვრთნას.

**იუზა ქაციტაძე ქუთაისიდან**

# გამზრდელი

## ძოძუაშვილმა წააგო და მოიგო


რევაზ ძოძუაშვილი

**ქართველი** მწვრთნელებისთვის გამოუვალი სიტუაცია რომ არ არსებობს, კიდევ ერთხელ დაამტკიცა რევაზ ძოძუაშვილმა. კვირას ლატვიურმა „სკონტომ“ ჩვენი ჩემპიონი „ტორპედო“ გაანადგურა, თუმც მომხდარმა ქართველთა მწვრთნელს თავი არ ჩააზრევინა. პირიქით, ძოძუაშვილმა გონივრული ნაბიჯი გადადგა და მატჩისშემდგომ პრესკონფერენციაზე ყურადღება იმ ფაქტზე გაამახვილა, რომ „სკონტოში“ წლობით უმუშავია და იქ მისი გამოზრდილი ფეხბურთელები ქმნიან ამინდს. შედეგად, რუსულმა მედიამ ლატვიელთა წარმატება ძოძუაშვილის დამსახურებადაც ჩათვალა, მით უფრო, რომ „სკონტოს“ გამარჯვებაში ქართველთა ხელი ერია.

რეალურად კი, სტარკოვმა პირწმინდად მოუგო დუელი ქართველ კოლეგას, მისმა გუნდმა ფეხი არ გაანძრევინა მეტოქეს და დამსახურებულადაც გაიმარჯვა დიდი ანგარიშით.

ძოძუაშვილს კი იმაზე უფრო მართებს ფიქრი, რომ წყალს მიაქვს დაპირებული პროგრამა-მინიმუმი — სამეულში მოხვედრა, რადგან „ტორპედოს“ ნახევარფინალში გასვლა კი არა, ჯგუფში არჩარჩენაზე მოუწევს გვარიანი ოფლისღვრა.

ქართველებმა ტურნირი გამარჯვებით დაიწყეს და „სპარტაკის“ მანეჟში რუსეთის ახალგაზრდული ნაკრები დაამარცხეს — 3:1. ქართველთა სადებიუტო წარმატება თავისთავად სასიამოვნო იყო, მაგრამ ფაქტია ისიც, რომ მასპინძელთა გუნდის მთავარ მწვრთნელ იური სმირნოვს საამმატჩოდ გვარიანი პრობლემები ჰქონდა. თავად განსაჯეთ: „ანდერლეხტმა“ რუსეთის ახალგაზრდულის წამყვანი მოთამაშე გერკა არ გაუშვა მოსკოვში და „სპარტაკმა“ დანიშევსკი შეიყვანა განაცხადში. დანილენკო „გრანატკინის თასზე“ მიღებული ტრავმის გამო საავადმყოფოში იწვა, მატჩის დღეს კი გრიპი შეეყარათ ნაკრების კაპიტან ლოჟკინს და კუბრაკს. მოკლედ, სმირნოვს ძირითადის ერთბაშად ხუთი მოთამაშე გამოაკლდა, „ტორპედომაც“ გაილაღა და დიდავას და ასათიანის გოლებით, ფაქტობრივად, პირველივე ტაიმში გადაწყვიტა მატჩის ბედი. 72-ე წუთზე პუგაჩოვის 35 მეტრიდან გასროლილს ბევრი არაფერი შეუცვლია, იონანიძეს მანამდე მესამე გატანილი ჰქონდა და პირველი ტურის შემდეგ „ტორპედო“ ჯგუფის ლიდერი გახდა, რადგან „სკონტომ“ მხოლოდ ორი უპასუხო გოლი აკმარა ყაზახურ „ქაირატს“. იმ მატჩში ჩალაძე ძირითად შემადგენლობაში იყო და მეშვიდე წუთზე ანგარიში გაზარდა, კოროლაძემ და მენთეშაშვილმა კი შეცვლაზე ითამაშეს.

ტურნირის მეორე დღეს კი, სანამ „ქაირატი“ რუსეთის ახალგაზრდულთან დამარცხდებოდა, ძოძუაშვილის „გამოზრდილ „სკონტოელებს“ ყოფილი მასწავლებელი ნასახელები ჰყავდათ.

ორი ტურის შემდეგ მეოთხედფინალში თამაში გაინაღდეს „სპარტაკმა“, „დინამომ“, „სკონტომ“ და „ნისამ“. კვირას მოსკოველებმა ვაჟა თარხნიშვილის „შერიფი“ გაანადგურეს — 6:1. უკრაინელებმა კი მეზობელი „შამქირი“ დაგვიჩაგრეს, რომელსაც ვერაფრით შეეწია ჩვენებური ბადრი კვარაცხელია.

„თანამეგობრობის თასი“ მაყურებელთა მოზღვავებით ვერაფრით დაიკვეხნის, მეტიც, „ფლორა“ — ასკ-პვო-ს შეხვედრას სულ 300 კაცი დაესწრო. სხვათა შორის, ეს მატჩი თბილისელმა მერაბ მალაღურაძემ იმსაჯა.

„ტორპედოს“ დღეს „ქაირატი“ ჰყავს მეტოქედ და მეოთხედფინალში გასასვლელად აუცილებლად გამარჯვება სჭირდება, რადგან რუსეთის ახალგაზრდულ ნაკრებთან, რომელიც უკონკურსოდ თამაშობს, მიღწეული შედეგები არ ითვლება. ვინაიდან „ქაირატი“ „უკეთესად“ დამარცხდა „სკონტოსთან“, ყაზახებს ქართველებთან მატჩში ფრეც აძლევთ ხელს. „ტორპედოს“ კი ჯგუფიდან გაღწევის შემთხვევაშიც ერთობ არასახარბიელო პერსპექტივა აქვს — „სპარტაკი“, მეტოქედ მეოთხედფინალში.

**ბაატა ქვანტალიანი**

### A ჯგუფი

სპარტაკი 3:0 ნეფთჩი

შერიფი 3:0 პიუნიკი

სპარტაკი 6:1 შერიფი

პიუნიკი 3:0 ნეფთჩი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სპარტაკი | 2 | 2 | 0 | 0 | 9:1 | 6 |
| შერიფი | 2 | 1 | 0 | 1 | 4:6 | 3 |
| პიუნიკი | 2 | 1 | 0 | 1 | 3:3 | 3 |
| ნეფთჩი | 2 | 0 | 0 | 2 | 0:6 | 0 |

### B ჯგუფი

**სკონტო 2:0 ქაირატი**

1:0 კოლესნიჩენკო (6), 2:0 ჩალაძე (7)

**რუსეთი (ახალ.) 1:3 ტორპედო**

0:1 დიდავა (17), 0:2 ასათიანი (24), 0:3 იონანიძე (54), 1:3 პუგაჩოვი (72)

**ტორპედო:** გვარამაძე (სტურუა 65), იონანიძე, მახვილაძე (ქელიძე 39), დიდავა, თოდუა, სილაგაძე, ქუთათელაძე (ახალკაცი 46), პოროშინი (ბაბუნაშვილი 39), ასათიანი (პარამონოვი 44), აბრამიძე, ქემოკლიძე

**ქაირატი 2:4 რუსეთი (ახალ.)**

0:1, 0:2 მალახოვსკი (9, 57), 0:3 ბისტროვი (69), 0:4 ქიტნიკოვი (78), 1:4, 2:4 ტლეჩუგოვი (89, 90)

**ტორპედო 0:3 სკონტო**

0:1 მენთეშაშვილი (58), 0:2 ვერპაკოვსკისი (87), 0:3 ენისეევი (89)

**ტორპედო:** გვარამაძე, იონანიძე, მახვილაძე, დიდავა, თოდუა (ბაბუნაშვილი 65), სილაგაძე, ქუთათელაძე (პარამონოვი 46), ქელიძე (ახალკაცი 74), ასათიანი (პოროშინი 46), აბრამიძე, ქემოკლიძე

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სკონტო | 2 | 2 | 0 | 0 | 5:0 | 6 |
| ტორპედო | 2 | 1 | 0 | 1 | 3:4 | 3 |
| რუსეთი (ახალ.) | 2 | 1 | 0 | 1 | 5:5 | 3 |
| ქაირატი | 2 | 0 | 0 | 2 | 2:6 | 0 |

### C ჯგუფი

დინამო 2:1 კაუნასი

შამქირი 1:3 რეგარ-ტადაზი

დინამო 3:0 შამქირი

კაუნასი 1:0 რეგარ-ტადაზი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო | 2 | 2 | 0 | 0 | 5:1 | 6 |
| კაუნასი | 2 | 1 | 0 | 1 | 2:2 | 3 |
| რეგარ-ტადაზი | 2 | 1 | 0 | 1 | 3:2 | 3 |
| შამქირი | 2 | 0 | 0 | 2 | 1:6 | 0 |

### D ჯგუფი

ბელშინა 1:3 ფლორა

ასკ-პვო 0:3 ნისა

ნისა 2:1 ბელშინა

ფლორა 1:1 ასკ-პვო

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ნისა | 2 | 2 | 0 | 0 | 5:1 | 6 |
| ფლორა | 2 | 1 | 1 | 0 | 4:2 | 4 |
| ასკ-პვო | 2 | 0 | 1 | 1 | 1:4 | 1 |
| ბელშინა | 2 | 0 | 0 | 2 | 2:5 | 0 |

# მამალაძის ულტიმატუმი

## 25-ში „სინათლის“ კარი იკეტება, საკითხავია, ვისთვის?


ანზორ მამალაძე

**კიდევ ერთხელ** გატეხეს სიტყვა, კიდევ ერთი დათქმული ვადა დარჩა უკან, „მერანს“ კი ფული არ აქვს. ფეხბურთელები ისევ ალმაცერად უყურებენ კლუბის აქაურ ხელმძღვანელებს, ისევ იმუქრებიან, მაგრამ ოთარ გაბელიას გუნდმა ვარჯიში მაინც დაიწყო.

„მე არავისთვის დამიძალებია, ბიჭებსაც არავის ხათრით არ განუცხადებიათ თანხმობა. უბრალოდ, „მერანი“ რომ დაიშალოს და თითოეულმა მოთამაშემ განთავისუფლების ფურცელი მიიღოს, მაშინ ახალი კლუბის ძიებას მოუმზადებლები ხომ არ დაიწყებენ — ოთარ გაბელიამ გუშინ არ იცოდა, როდის ეშველება „მერანს“ — დღეისთვის 40-მდე მოთამაშეს ვაკვირდები. უმრავლესობა პირტიტველა ბიჭები არიან. ხვალ-ზეგ ორმხრივი თამაშები გვექნება და თუ ვინმე მოგვეწონა, დავიტოვებთ კიდეც. სამწუხარო ისაა, რომ ძველი გუნდი ნელ-ნელა ხელში მადნება. ზოგი ოფიციალურად წავიდა, ზოგიც უფულობის გამო ვარჯიშზე ვერ მოდის. თუ ასე გაგრძელდა, ახალი გუნდის ჩამოყალიბება მომიწევს“.

ორი დღეა, „მერანი“ ვარჯიშობს და პრეზიდენტი დავით ფურცელაძე თვალით არ უნახავთ „სინათლეზე“. კლუბის მენეჯერმა ვოვა ჩერქეზოვმა გუდანაბადი აიკრა, თან ზაზა კვეკვესკირი იახლა და ანთალიას გადაიხვეწა — „მერანის“ რუსი სპონსორები იქ „გოლეადორთან“ იქნებიან და გასარკვევს თურქეთში გავარკვევო. ჩერქეზოვის ვოიაჟი, სხვათა აზრით, სულ სხვა მიზანს ემსახურება. დევაძე, ჭინჭარაული და გოგიტაძე აქამდეც ანთალიაში იყვნენ „გოლეადორთან“ შეკრებაზე, მათ კვეკვესკირიც მიემატება და ჩერქეზოვიც ეცდება, რომელიმე ადგილობრივ ან უცხოურ კლუბში მოაწყოსო.

ამასობაში „მერანის“ ვიცე-პრეზიდენტმა ანზორ მამალაძემ ხმა აიმაღლა, ფურცელაძეს და ჩერქეზოვს თავის რუსებიანად ულტიმატუმი წაუყენა — 25 იანვრამდე საქმეს თუ უშველით, ხომ კარგი, არადა, ყველანი ქუდს დაიხურავთ და მიბრძანდებით. 25-ის შემდეგ თქვენთვის „სინათლის“ კარები დაიკეტებაო.

მამალაძის თქმით, არიან საქმიანი ადამიანები, რომლებსაც „მერანის“ პატრონობა სურთ. ისინი კლუბს მიხედავენ, უკეთესი გუნდიც გვეყოლება, ოღონდ ძველი ხელმძღვანელობის წასვლას მოითხოვენ. ძველ ხელმძღვანელობაში ფურცელაძე, ჩერქეზოვი და მოსკოველი სპონსორები იგულისხმებიან, რომელთაგან ჩვენ მხოლოდ ერთი — იური სევასტიანოვი გაგვიგია.

„მერანის“ თავკაცობას დღეს სამი ადამიანი თუ დაიჩემებს — ანზორ მამალაძე, რომელიც კლუბის 25-პროცენტიანი წილის მფლობელია, იური სევასტიანოვი, რომელიც თბილისში რამდენჯერმე ნამყოფი და ავჭალელ ფეხბურთელებსაც შეხვედრია. მის წილადაც 25 პროცენტი მოდის. ყველაზე დიდი პაკეტის, 50 პროცენტის მფლობელი მოსკოველი საქმოსანი გახლავთ, მაგრამ მისი ვინაობისა თავად მამალაძემ და მწვრთნელ-ფეხბურთელებმაც არაფერი უწყიან.

ვის დარჩება „მერანი“, დღეს ძნელი სათქმელია, მაგრამ 25 იანვარიც არ არის შორს და იქნებ ავჭალაში ახალი ადამიანები გამოჩნდნენ.

**მამუკა ქვანტალიანი**

# გორდა ხვნა-თესვას გარდაბანში გააქცა

## არსოშვილი ნულიდან იწყებს

**კვირას** რუსთავის „გორდამ“ მოსამზადებელი ეტაპის პირველი საკონტროლო მატჩი გამართა გარდაბანში. თენგიზ კაციას გუნდს მეტოქედ ერთ დროს კაციასვე გაწვრთნილი თსუ ჰყავდა. მატჩი კი გარდაბანში იმიტომ ჩატარდა, რომ რუსთაულ სარბიელზე სარეკონსტრუქციო სამუშაოები მიმდინარეობს. „ფოლადის“ საფარი გადახნულია და მალე იქ ბალახის თესლსაც შეიტანენ. ამიტომაც თსუ-ს მსგავსად „გორდა“ სხვა სპარინგ-პარტნიორებსაც მეზობელ გარდაბანში უმასპინძლებს.

თენგიზ კაციამ თსუ-სთან მატჩში სამი მცველით, ოთხი ნახევარმცველით და სამი ფორვარდით ათამაშა გუნდი. რუსთაველები ალექსანდრე კიტეიშვილმა დააწინაურა, ეფექტური, შორეული დარტყმით. მეორე ტაიმში კი სტუდენტებმა ერეკლე მერებაშვილის გოლით ანგარიში გაათანაბრეს, თუმც მატჩის ბოლოს ახალგაზრდა რეხვიაშვილმა, რომელიც „გორდამ“ საბაზო გუნდიდან აიყვანა, მოხდენილი „მაკრატელათი“ გამარჯვება თავისიანებს მოუტანა.

საკვირაო მატჩში „გორდას“ შემადგენლობაში დიმიტრი არსოშვილიც გამოჩნდა. ეს ფეხბურთელი ერთ დროს ერთობ პერსპექტიულ მოთამაშედ ითვლებოდა და „გორდას“ გარდა „ლოკომოტივში“, მოლდოვურ „შერიფსა“ და „ვიტ ჯორჯიაში“ უთამაშია, მაგრამ ტრავმის გამო ფაქტობრივად ბოლო ორი სეზონი გაუცდა. დღეისთვის დიმიტრი ჩვეული ფორმისგან შორს არის, მაგრამ სრული დატვირთვით ვარჯიში შეუძლია და საგაზაფხულო ეტაპს სავარაუდოდ „გორდას“ შემადგენლობაში შეხვდება.

**ბაატა ქვანტალიანი**

# ზირაქიშვილი ცხადაძემ შეიფარა

**საგაზაფხულო** ეტაპისთვის მზადებას აგრძელებს თბილისის „ლოკომოტივი“. რკინიგზელები შეკრებაზე წასვლამდე თბილისში ვარჯიშობენ და საკონტროლო მატჩებსაც ატარებენ. ერთ-ერთი მათგანი გორის „დილასთან“ ნათამაშევი ამხანაგური იყო. კახა ცხადაძემ გორელებს სათადარიგო შემადგენლობა დაუპირისპირა, თუმც მათ ერთი-ორი ახალწვეულიც დაუმატა, რომლებიც ჯერ კიდევ გამოსაცდელი ჰყავს მთავარ მწვრთნელს. დედაქალაქელებმა პირველლიგელთან ფრედ, 1:1 ითამაშეს, თავი კი დავით ბაქრაძემ გამოიჩინა, რომელიც მოუხედავად ასაკისა, გუნდიდან თავისუფალია.

როგორც ჩანს, ერთ დროს საქართველოს ნაკრებისა და ბელგიური „ლიერსის“ ყოფილი მცველი მამუკა წერეთელი რკინიგზელი გახდება.

— „მამუკა წერეთელი ალბათ ჩვენთან დარჩება. „ლოკომოტივი“ მზადაა, მასში ფული გადაიხადოს და „ლიერსისგან“ გამოისყიდოს“ — გვითხრა გუშინ კახა ცხადაძემ.

ჯერჯერობით უცნობია, რამდენი ხნით დაუკავშირებს წერეთელი „ლოკომოტივს“ ბედს, თუმც ამის გარკვევა არც ისე შორეული მომავლის საქმეა.

რაც შეეხება „დინამოდან“ წასულ ზაზა ზირაქიშვილს, რომელიც დღესდღეობით კახა ცხადაძის მეთვალყურეობით ვარჯიშობს, მისი საქმე ბურუსითაა მოცული.

— ზაზამ უბრალოდ მთხოვა, გუნდთან ერთად ვარჯიშის საშუალება მიმეცა და მეც უარი არ მითქვამს. მის შეძენაზე საუბარი არც ყოფილა. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ის საკმაოდ ძვირადღირებული ფეხბურთელია. ამის შესაძლებლობა კი „ლოკომოტივს“ არა აქვს — ესეც კახა ცხადაძის სიტყვებია.

„ლოკომოტივი“ 31 იანვრამდე თბილისში ივარჯიშებს, მერე კი კვიპროსში გაემგზავრება საწვრთნელ შეკრებაზე.

**კახა ზალამბერიძე**


ზაზა ზირაქიშვილი

# კუნძულია მაგარი, გვაქვს ახალი ამბავი

## რუსთაველებს კვიპროსზე ელიან

**საშემოდგომო** ეტაპის დასრულების შემდეგ რუსთავის „გორდას“ დატოვება ორმა წამყვანმა მოთამაშემ გადაწყვიტა. ალექსანდრე ბურნაძის გადაბირების სურვილი თბილისის „დინამომ“ გამოთქვა, კახა ალადაშვილმა კი გერმანიაში ისურვა კარიერის გაგრძელება. „გორდას“ ხელი არ შეუშლია ორეულისთვის და განთავისუფლების ფურცლები არ დაუგვიანა.

ბურნაძემ და ალადაშვილმა მშობლიური კლუბი კი დატოვეს, მაგრამ გეგმა შეიცვალეს. დღეს დილით ორივე ფეხბურთელი კვიპროსზე გაფრინდა, იქაური უმაღლესი ლიგის ერთ-ერთ გუნდში მოსაწყობად.

„რომელ გუნდთან გავაფორმებთ კონტრაქტს, ნამდვილად არ ვიცით. ეს საქმე ჩვენმა მენეჯერმა მოაგვარა, ვიცით, ის რომ კვიპროსის უმაღლესი ლიგის გუნდი გველოდება ჩვენთვის მისაღები, ხელსაყრელი პირობებით“ — გვითხრა გუშინ ალექსანდრე ბურნაძემ.

ბურნაძე და ალადაშვილი დღეს აიანაპაში ჩავლენ, იქ, სადაც მოსამზადებელ შეკრებას გადის თბილისის „დინამო“. აიანაპაში მათ მენეჯერი დახვდებათ და ამის მერეღა გაცხადდება ქართველების მსურველი კვიპროსული გუნდის ვინაობა.


კახა ალადაშვილი

**ბაატა ქვანტალიანი**

## ინგლისი

### პრემიერლიგა. XXIII ტური

**დერბი ქაუნთი 1:3 იფსვიჩი**

0:1 ბენტი (47), 0:2 პერალტა (67), 1:2 კრისტი (79), 1:3 როიზერი (87)

დერბი ქაუნთი: ე. ოუქსი, ჯექსონი, რიგოტი, კარბონარი (ბოერტიენი 69), ჰიგინბოთემი, ზავანი (ძინძლაძე 59), ვალაკარი, დ. ბარტონი, დ. პაუელი, რავანელი, კრისტი

მწვრთნელი: ბილი მაკივანი

იფსვიჩი: ე. მარშალი, მაკინი, მაკგრილი, ვენუსი, ჰრეიდარსონი, ჯ. რაიტი, ჰოლანდი, პერალტა, როიზერი (კლეპამი 88), მარკუს სტიუარტი (ნეილორი 84), მ. ბენტი (ა. არმსტრონგი 90)

მწვრთნელი: ჯორჯ ბარლი

გაფრთხილება: ჰრეიდარსონი, როიზერი

მსაჯი: დარკინი

29 658 მაყურებელი

**ჩელსი 5:1 ვესტ ჰემი**

1:0 ჰასელბაინკი (45), 2:0 გუდიონსენი (51), 3:0 ჰასელბაინკი (60), 4:0 გუდიონსენი (87), 4:1 დეფო (88), 5:1 ფორსელი (90)

ჩელსი: კუდიჩინი, დესაი, ტერი, გალასი, მელხიოტი, სტანიჩი, ლამპარდი, პეტი (ჯ. მორისი 62), ძოლა (ზენდენი 74), ჰასელბაინკი (ფორსელი 79), გუდიონსენი

მწვრთნელი: კლაუდიო რანიერი

ვესტ ჰემი: ჯეიმსი, რეპკა, უინტერბერნი, დეილი, შეფელი, ჯ. კოული, კარიკი, ჰათჩისონი, ტ. სინკლერი (კუტუა 64), კანო (დეფო 79), დი კანიო

მწვრთნელი: გლენ რიოდერი

გაფრთხილება: სტანიჩი, ძოლა, მორისი, სინკლერი

გაძევება: დი კანიო (70)

მსაჯი: დურსო

40 035 მაყურებელი

**ლიდსი 1:1 არსენალი**

1:0 ფაულერი (6), 1:1 პირესი (45)

ლიდსი: მარტინი, მილსი, ვუდგეიტი, რ. ფერდინანდი, მატეო, ბოიერი, ს. ჯონსონი, ბეტი, უელკოქსი, ვიდუკა, ფაულერი

მწვრთნელი: დევიდ ოლირი

არსენალი: რ. რაიტი, ლუჟნი (დიქსონი 81), ს. კემპბელი, კოული, ეშლი კოული, პარლოუ, ლიუნგბერგი (ვან ბრონკჰორსტი 66), ვიეირა, პირესი, ანრი, ბერგკამპი (ვილტორდი 70)

მწვრთნელი: არსენ ვენგერი

გაფრთხილება: ჯონსონი, კოული, პირესი

მსაჯი: ჰელსი

40 143 მაყურებელი

**ლესტერი 0:0 ნიუკასლი**

ლესტერი: ი. უოქერი (ფლაუერსი 24), იმპი, ფ. სინკლერი, უ. ლაურსენი, დავიდსონი, სევიჯი, იზეტი, ს. ოუქსი (ს. სტიუარტი 88), როჯერსი, აკინბაი, სკოუკროფტი

მწვრთნელი: დეივ ბასეტი

ნიუკასლი: გივენი, ა. ჰიუზი, დისტინი, დაბიზასი, რ. ელიოტი, სოლანო, დაიერი, სპიდი, რობერი, შირერი, ბელამი

მწვრთნელი: ბობი რობსონი

გაფრთხილება: სევიჯი, იმპი, სოლანო, დისტინი

მსაჯი: უილი

21 354 მაყურებელი

**ლივერპული 1:1 საუთჰემპტონი**

1:0 ოუენი (8), 1:1 დევისი (46)

ლივერპული: დუდეკი, კარაგერი, ანრი, ჰიპია, რიისე, მერფი (მაკალისტერი 72), ჰამანი, ჯერარდი (შმიცერი 33; ანელკა 59), ბერგერი, ოუენი, ჰესკი

მწვრთნელი: ფილ ტომპსონი

საუთჰემპტონი: პ. ჯოუნსი, დოდი, ლუნდეკვამი, პ. უილიამსი, ბრიჯი, სვენსონი, მარსდენი, ტელფერი, ფერნანდესი (ტესემი 75), კ. დევისი, პახარსი (ლე ტისიე 90)

მწვრთნელი: გორდონ სტრაჩანი

გაფრთხილება: დევისი

მსაჯი: ბერი

43 710 მაყურებელი

**მანჩესტერი 2:1 ბლექბერნი**

1:0 ვან ნისტელროი (45პ), 1:1 ჰინჩკი (49), 2:1 კინი (81)

მანჩესტერი: ბარტეზი, ფ. ნევილი, გ. ნევილი, ბლანი, სილვესტრი (ირვინი 46), ბექჰემი, სქოულზი, როი კინი, ვერონი (ბატი 84), ვან ნისტელროი, სოლსკიაერი (გიგზი 55)

მწვრთნელი: ალექს ფერგიუსონი

ბლექბერნი: ფრიდელი, ნაილი, მ. იოჰანსონი, მ. ტეილორი, ბიორნებიუ (გრაბი 84), დანი (ფლიტკროფტი 65), ჰინჩკი, თუგაი, დაფი, ენდი კოული, იანსენი (მ. ჰიუზი 72)

მწვრთნელი: გრემ სუნესი

გაფრთხილება: ირვინი

მსაჯი: რენიე

67 552 მაყურებელი

**მიდლსბრო 1:1 ბოლტონი**

1:0 ველანი (38), 1:1 ჰანსენი (73)

მიდლსბრო: კროსლი, სტოკდეილი, საუთგეიტი, ეჰიოგუ, კედრუ (კუპერი 39), მარინელი, ინსი, გრინინგი, ჯონსტონი (მასტო 72), ველანი, ნემეტი (უინდასი 60)

მწვრთნელი: სტივ მაკლარენი

ბოლტონი: იასკელაინენი, საუთჰოლი, ნგოტი, ბერგსონი, ჩარლტონი (ჰანსენი 59), ფრანდსენი (ბერნესი 21), ნოლანი, ფარელი, რიკეტსი, გარდნერი, ბობიჩი (პედერსენი 84)

მწვრთნელი: სემ ოლიარდისი

გაფრთხილება: მარინელი, ბობიჩი

მსაჯი: პოლი

26 104 მაყურებელი

**სანდერლენდი 1:1 ფულემი**

0:1 მალბრანკი (15), 1:1 ფილიპსი (67)

სანდერლენდი: სორენსენი, ჰაასი, კრადოკი, ვარგა, გრეი, მაკატირი, გევინ მაკენი (დ. უილიამსი 89), შვარცი, კილბეინი, ფილიპსი, ნ. ქუინი

მწვრთნელი: პიტერ რიდი

ფულემი: ვან დერ სარი, ფინანი, მელვილი, ნაითი, გომა, ბრევეტი, კოლინზი, მალბრანკი, ლეგვინსკი, მარლე, ჰეილსი (ბოა მორტე 77; შტოლცერსი 90)

მწვრთნელი: ჟან ტიგანა

გაფრთხილება: შვარცი, მაკატირი, უილიამსი, ბრევეტი, გომა

მსაჯი: ჯონსი

45 124 მაყურებელი

**ტოტენჰემი 1:1 ევერტონი**

1:0 ფერდინანდი (5), 1:1 ვეირი (8)

ტოტენჰემი: სალივანი, პერი, გარდნერი, რიჩარდსი, ს. დევისი, ანდერტონი, შერვუდი, ლეონარდსენი (ეთერინგტონი 76), ტარიკო (რებროვი 87), ლ. ფერდინანდი (ივერსენი 46), შერინგემი

მწვრთნელი: გლენ ჰოდლი

ევერტონი: სიმონსენი, ნეისმიტი, ანსუორთი, სტაბსი, ვეირი, ალექსანდერსონი (კლარკი 60), ჯემილი, გესკოინი (ჯ. მური 82), ჰაიბერტი, კ. კემპბელი, დ. ფერგიუსონი

მწვრთნელი: უოლტერ სმიტი

გაფრთხილება: ვეირი, ფერგიუსონი

მსაჯი: უილკისი

36 056 მაყურებელი

**ჩარლტონი — ასტონ ვილა**

წუხელ გვიან დამთავრდა (იხ. მეორე გვერდზე) და მისი შედეგი ცხრილში შეტანილი არაა

# იქსის უქმეები



REUTERS მანჩესტერიდან

მანჩესტერი — ბლექბერნი. რვიდან რვა: რუუდ ვან ნისტელროიმ პრემიერლიგის რეკორდი დაამყარა

**მოგეხსენებათ,** ტოტალიზატორის ენაზე იქსი ფრეს გულისხმობს. წინა უქმეებზე კი პრემიერლიგაში ექვსი ფრე შედგა. ამ ექვსიდან ხუთი ერთნაირი ანგარიშით — 1:1 დასრულდა. ფეხბურთში ყველაფერი ხდება და თანაც, ტურის განრიგი იმგვარი იყო, რომ ერთმანეთს ოთხი თანაბარძალოვანი წყვილი ხვდებოდა. „ტოტენჰემსა" და „ევერტონს" შორის გამარჯვებულის გამოვლენა ისეთივე ძნელი გამოდგა, როგორც „ლიდსსა" და „არსენალს" შორის უკეთესის პოვნა.

ამ ფრეების შაბათ-კვირიდან კი ის გამოვიდა, რომ მოიგეს იმათ, ვისაც თითქოს რაღაც საფეხბურთო განგებით აუცილებლად უნდა განემტკიცებინათ თავისი სატურნირო მდგომარეობა. „იფსვიჩი" დერბიში ჩავიდა, იქიდან სამი ქულა წამოიღო და ბოლო ოთხი თვის განმავლობაში პირველად ასცდა ქვედა სამეულს. „მანჩესტერმა" კი „ბლექბერნს" სძლია და „ნიუკასლის" მიერ ლესტერში დაკარგული ორი ქულის და „ლიდს" — „არსენალის" ფრის წყალობით ნამდვილი ლიდერი შეიქნა.

„ოლდ ტრეფორდზე" მართლაც დიდი ამბავი იყო, ერთი, რომ ელოდნენ რუუდ ვან ნისტელროის ზედიზედ მერვე გოლს, რაც პრემიერლიგის რეკორდის დამყარებას ნიშნავდა. მეორე, რომ ენდი კოული, რომელმაც 124 გოლი გაიტანა ალისფერი მაისურით თამაშისას, პირველად გადიოდა ამ მინდორზე „ბლექბერნის" სამოსით. მესამეც ის, რომ ბოლო 77 შეხვედრაში „მანჩესტერი" პირველად გავიდა მოედანზე წინა ტურის იდენტური შემადგენლობით.

კოულმა ტაში მიიღო, ვან ნისტელროიმ პენალტი შეაგდო (დარტყმის უფლება ბექჰემმა დაუთმო), „მანჩესტერმა" კი მოიგო.

„ამ სეზონში ასეა — თქვა სტუმართა მწვრთნელმა გრემ სუნესმა — საუცხოოდ ვთამაშობთ და ქულები გვაკლდება".

თუმცა, შაბათ საღამოს მანჩესტერიდან თუნდაც ქულის წაღება მეტად საძნელო საქმე იყო. იმავ ვან ნისტელროიმ მძლე თავურით ძელი დააზანზარა, როი კინის გამარჯვების გოლი კი, რაიან გიგზის ქუსლით პასს რომ მოჰყვა, მართლაც დიდებული იყო.

ამასობაში „ლივერპულმა" მორიგი ორი ქულა დაკარგა „ენფილდზე". მაიკლ ოუენის მორიგი გოლი და საერთოდ, მაიკლ ოუენი, აი, რაღა დარჩა კრიზისში მყოფი „ლივერპულისგან", რომელიც თვენახევრის წინ ნაღდი ჩემპიონი ეგონათ.

„ჩვენი მოთამაშეების უმრავლესობა ბურთს გაურბოდა" — ესღა თქვა მერსისაიდელთა დროებითმა თავკაცმა ფილ ტომპსონმა.

ამასობაში კი ფრთა გაშალა ბოლოხანს მიჩუმებულმა „ჩელსიმ", რომელსაც ფრთების გაშლამ „ვესტ ჰემთან" მოუწია. ჩაქუჩთა 5:1-ზე ძლევამ კლაუდიო რანიერის ათქმევინა, ჩემპიონობის შანსი ჯერ კიდევ გვაქვსო. ამ თამაშში ლონდონელმა პაოლო დი კანიომ ისე ამოსცხო წაქცეულ მეტოქეს ორთაშუა, დისკვალიფიკაცია ვინძლო, დიდხანს გაჰყვეს.



ჩელსი — ვესტ ჰემი. პაოლო დი კანიომ ჯოდი მორისს ძალიან მტკივნეულად დაარტყა

ტურის მთავარი შეხვედრა კი „ელანდ როუდზე" იყო, სადაც პოტენციური ლიდერები, ლონდონელი მეთოფეები „ლიდსს" სტუმრობდნენ. ლიდსში ძლიერი ქარი ქროდა და თერთმეტნი თითქოს ზურგის ქარი ეხმარებოდა შეხვედრის პირველ წუთებში, მაგრამ ბი ფაულერის თავურმა მასპინძლები დააწინაურა. ლიდსმა თითქოს თამაშის სადავეებიც იპყრა ხელთ და რეფერიმაც ყვითლების ფრიალს უმატა, მაგრამ ტიერი ანრის მახვილგონიერებამ და რობერ პირესის ბრწყინვალე დარტყმამ ანგარიში გაასწორა.

ეს მღვრიე თამაში იყო. ტრავმების ეპიდემიით ტანჯულმა „ლიდსმა" ბოლო ათ წუთშიღა წამოიწყო შტურმი.

და მაინც, მასპინძელთა მენეჯერ დევიდ ოლირის თქმით, „ამ მატჩის მოგება, ასე თამაშით, შეუძლებელი იყო".

არსენ ვენგერმა კი, რომლის გუნდმაც პოტენციური ლიდერობა დაკარგა, განაცხადა: „მეორე ტაიმში მოწინააღმდეგემ თამაში გამოაკეთა. ფრესაც ამ მეორე ტაიმს უნდა უმადლოდეს".

ლიდერი კი ძველი ნაცნობია.

**ირაკლი გამყრელიძე**

| | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 მანჩესტერი | 23 | 14 | 3 | 6 | 56:33 | 23 | 45 | 12 | 8 | 1 | 3 | 31:13 | 18 | 25 | 11 | 6 | 2 | 3 | 25:20 | 5 | 20 |
| 2 ნიუკასლი | 23 | 13 | 4 | 6 | 42:29 | 13 | 43 | 11 | 7 | 1 | 3 | 19:12 | 7 | 22 | 12 | 6 | 3 | 3 | 23:17 | 6 | 21 |
| 3 ლიდსი | 23 | 11 | 9 | 3 | 35:21 | 14 | 42 | 11 | 5 | 5 | 1 | 20:11 | 9 | 20 | 12 | 6 | 4 | 2 | 15:10 | 5 | 22 |
| 4 არსენალი | 22 | 11 | 8 | 3 | 43:26 | 17 | 41 | 11 | 5 | 3 | 3 | 23:19 | 4 | 18 | 11 | 6 | 5 | 0 | 20:7 | 13 | 23 |
| 5 ლივერპული | 23 | 11 | 7 | 5 | 32:24 | 8 | 40 | 11 | 5 | 4 | 2 | 14:10 | 4 | 19 | 12 | 6 | 3 | 3 | 18:14 | 4 | 21 |
| 6 ჩელსი | 23 | 9 | 10 | 4 | 40:23 | 17 | 37 | 11 | 5 | 4 | 2 | 24:12 | 12 | 19 | 12 | 4 | 6 | 2 | 16:11 | 5 | 18 |
| 7 ტოტენჰემი | 23 | 9 | 5 | 9 | 34:30 | 4 | 32 | 12 | 6 | 3 | 3 | 23:16 | 7 | 21 | 11 | 3 | 2 | 6 | 11:14 | -3 | 11 |
| 8 ასტონ ვილა | 22 | 8 | 8 | 6 | 29:27 | 2 | 32 | 12 | 6 | 4 | 2 | 15:10 | 5 | 22 | 10 | 2 | 4 | 4 | 14:17 | -3 | 10 |
| 9 ფულემი | 22 | 7 | 10 | 5 | 23:22 | 1 | 31 | 12 | 5 | 5 | 2 | 16:11 | 5 | 20 | 10 | 2 | 5 | 3 | 7:11 | -4 | 11 |
| 10 ჩარლტონი | 22 | 7 | 8 | 7 | 28:28 | 0 | 29 | 11 | 3 | 4 | 4 | 15:17 | -2 | 13 | 11 | 4 | 4 | 3 | 13:11 | 2 | 16 |
| 11 სანდერლენდი | 23 | 7 | 7 | 9 | 19:25 | -6 | 28 | 12 | 5 | 5 | 2 | 13:10 | 3 | 20 | 11 | 2 | 2 | 7 | 6:15 | -9 | 8 |
| 12 ვესტ ჰემი | 23 | 7 | 7 | 9 | 27:39 | -12 | 28 | 11 | 5 | 4 | 2 | 15:7 | 8 | 19 | 12 | 2 | 3 | 7 | 12:32 | -20 | 9 |
| 13 ევერტონი | 23 | 7 | 6 | 10 | 25:30 | -5 | 27 | 12 | 6 | 2 | 4 | 17:14 | 3 | 20 | 11 | 1 | 4 | 6 | 8:16 | -8 | 7 |
| 14 საუთჰემპტონი | 23 | 8 | 2 | 13 | 27:37 | -10 | 26 | 11 | 4 | 1 | 6 | 12:16 | -4 | 13 | 12 | 4 | 1 | 7 | 15:21 | -6 | 13 |
| 15 ბლექბერნი | 23 | 6 | 7 | 10 | 30:29 | 1 | 25 | 12 | 4 | 4 | 4 | 19:14 | 5 | 16 | 11 | 2 | 3 | 6 | 11:15 | -4 | 9 |
| 16 ბოლტონი | 23 | 5 | 10 | 8 | 27:35 | -8 | 25 | 11 | 2 | 5 | 4 | 9:17 | -8 | 11 | 12 | 3 | 5 | 4 | 18:18 | 0 | 14 |
| 17 იფსვიჩი | 23 | 6 | 6 | 11 | 31:33 | -2 | 24 | 12 | 4 | 2 | 6 | 17:14 | 3 | 14 | 11 | 2 | 4 | 5 | 14:19 | -5 | 10 |
| 18 მიდლსბრო | 22 | 6 | 5 | 11 | 21:31 | -10 | 23 | 10 | 4 | 2 | 4 | 13:14 | -1 | 14 | 12 | 2 | 3 | 7 | 8:17 | -9 | 9 |
| 19 დერბი ქაუნთი | 23 | 5 | 4 | 14 | 17:41 | -24 | 19 | 12 | 4 | 3 | 5 | 12:14 | -2 | 15 | 11 | 1 | 1 | 9 | 5:27 | -22 | 4 |
| 20 ლესტერი | 22 | 3 | 8 | 11 | 14:37 | -23 | 17 | 10 | 1 | 5 | 4 | 5:17 | -12 | 8 | 12 | 2 | 3 | 7 | 9:20 | -11 | 9 |

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| ანრი (არსენალი) | 16 |
| ჰასელბაინკი (ჩელსი) | 16 |
| ვან ნისტელროი (მანჩესტერი) | 15 |
| რიკეტსი (ბოლტონი) | 12 |
| შირერი (ნიუკასლი) | 11 |
| ოუენი (ლივერპული) | 11 |

**XXIV ტური**

**27 იანვარი**

ბოლტონი - მანჩესტერი
ჩარლტონი - დერბი ქაუნთი
იფსვიჩი - ფულემი
სანდერლენდი - მიდლსბრო
ასტონ ვილა - ევერტონი
ბლექბერნი - არსენალი
ჩელსი - ლიდსი
ლივერპული - ლესტერი
საუთჰემპტონი - ვესტ ჰემი
ტოტენჰემი - ნიუკასლი

## პირველი დივიზიონი

### XXX ტური

**ნორვიჩი 0:0 მილუოლი**

**უოტფორდი 1:2 მანჩესტერ სიტი**

1:0 სმიტი (26), 1:1 ვანჩოპე (30), 1:2 ჰოლგუსონი (80ა.კ)

**ვესტ ბრომვიჩი 1:0 უოლსოლი**

1:0 რობერტსი (41)

**ბარნსლი 3:3 ბრედფორდი**

0:1 შარპი (26), 1:1 ლამბდონი (40პ), 2:1, 3:1 შერონი (43, 60), 3:2, 3:3 უორდი (82, 88)

**ბირმინგემი 0:2 უიმბლდონი**

0:1 ჰიუზი (80), 0:2 ეგიმენგი (90)

**ბარნლი 1:2 შეფილდ უენსდი**

0:1 მაკლარენი (33), 1:1 ტეილორი (77პ), 1:2 კუქი (90)

**ქოვენთრი 0:0 სტოკპორტი**

**ქრიუ 2:0 გრიმსბი**

1:0 ტომასი (9), 2:0 სმიტი (25პ)

**კრისტალ პალასი 2:0 როტერჰემი**

1:0 მორისონი (55), 2:0 სმიტი (79)

**პრესტონი 0:2 ჯილინგემი**

0:1 ოსბორნი (29), 0:2 სმიტი (87)

**შეფილდ იუნაიტედი 0:0 ნოტინგემი**

**პორტსმუთი 2:3 ვულვერჰემპტონი**

1:0 ქვოში (11), 1:1 რაე (15), 1:2 ბლეიქი (61), 2:2 პროსინეჩკი (79), 2:3 სტარიჯი (85)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სიტი | 29 | 18 | 4 | 7 | 68:38 | 58 |
| ვულვზი | 29 | 16 | 7 | 6 | 46:26 | 55 |
| მილუოლი | 30 | 15 | 8 | 7 | 50:30 | 53 |
| ვესტ ბრომვიჩი | 30 | 15 | 6 | 9 | 34:23 | 51 |
| ბარნლი | 28 | 15 | 6 | 7 | 50:40 | 51 |
| კრისტალ პალასი | 30 | 16 | 2 | 12 | 54:41 | 50 |
| ნორვიჩი | 30 | 15 | 5 | 10 | 42:39 | 50 |
| ბირმინგემი | 30 | 13 | 8 | 9 | 46:36 | 47 |
| ქოვენთრი | 29 | 13 | 5 | 11 | 35:29 | 44 |
| პრესტონი | 29 | 11 | 10 | 8 | 44:38 | 43 |
| ჯილინგემი | 30 | 12 | 6 | 12 | 44:42 | 42 |
| უოტფორდი | 29 | 11 | 7 | 11 | 43:35 | 40 |
| ნოტინგემი | 30 | 9 | 13 | 8 | 32:27 | 40 |
| უიმბლდონი | 28 | 10 | 9 | 9 | 44:39 | 39 |
| შეფილდი | 30 | 9 | 12 | 9 | 32:35 | 39 |
| ბრედფორდი | 29 | 10 | 6 | 13 | 52:56 | 36 |
| პორტსმუთი | 29 | 10 | 6 | 13 | 42:47 | 36 |
| ბარნსლი | 30 | 7 | 11 | 12 | 42:55 | 32 |
| ქრიუ | 28 | 8 | 8 | 12 | 28:42 | 32 |
| როტერჰემი | 28 | 7 | 10 | 11 | 34:43 | 31 |
| უენსდი | 29 | 7 | 9 | 13 | 30:46 | 30 |
| უოლსოლი | 30 | 7 | 6 | 17 | 32:49 | 27 |
| გრიმსბი | 30 | 6 | 9 | 15 | 25:51 | 27 |
| სტოკპორტი | 30 | 2 | 7 | 21 | 25:67 | 13 |

## მეორე დივიზიონი

29-ე ტური: ბორნმუთი — ჰადერსფილდი 2:3; ბრენტფორდი — უიგანი 0:1; ბრაიტონი — კემბრიჯი 4:3; ბრისტოლი — ნორთჰემპტონი 1:3; ბერი — ტრანმერი 0:1; კოლჩესტერი — ჩესტერფილდი 1:2; ნოტსი — პორტ ვეილი 1:3; ოლდემი — რექსემი 3:1; პიტერბრო — სუინდონი 1:1; რედინგი — ბლეკპული 3:0; სტოკი — ქუინზ პარკი 0:1; უიკომბი — კარდიფი 0:1

## მესამე დივიზიონი

29-ე ტური: ტორკი — როვერსი 2:1; დარლინგტონი — საუთენდი 2:2; ჰალიფაქსი — ლინკოლნი 3:0; ჰალი — ექსეტერი 2:0; ლეიტონი — ჩელტენემი 0:2; ლუტონი — კარლაილი 1:1; მენსფილდი — ჰარტლპული 3:0; როჩდეილი — ოქსფორდი 1:1; რაშდენი — იორკი 3:0; სკანთორპი — კიდერმინსტერი 1:0; შრიუსბერი — პლიმუთი 3:1; სუონსი — მაკლსფილდი 0:1

## ესპანეთი

### პრიმერადივიზიონი. XXI ტური

**მალაგა 1:1 რეალი**

1:0 დელი ვალდესი (24), 1:1 მორიენტესი (67)
მალაგა: პედრო კონტრერასი, ლიტმანი, როტეტა, მიგელ ანხელი, ფერნანდო სანსი, ხოსემი, მუსამბა (ზარატე 74), რომერო, ხერარდო, დელი ვალდესი (კანაბალი 86), დარიო სილვა
მწვრთნელი: ხოაკინ პეირო ლუკასი
რეალი: კასილიასი, სალგადო, რობერტო კარლოსი, იერო (კარანკა 45), პავონი (სოლარი 60), ი. ელგერა, მაკელელე, ფიგუ, ზიდანი (მუნიტისი 87), რაული, მორიენტესი
მწვრთნელი: ვისენტე დელ ბოსკე
გაფრთხილება: როტეტა, რომერო, სალგადო, მორიენტესი
მსაჯი: მეხუტო გონსალესი
20 000 მაყურებელი

**რაიო ვალეკანო 2:1 ბარსელონა**

1:0 ბოლიჩი (25), 1:1 ხავი (56), 2:1 დე კინტანა (60)
რაიო ვალეკანო: ი. ეჩებერია, დე კინტანა, ალკასარი, მანისი, მიჩელი (ელდერი 88), კვედო, ფერონი (კორინო 84), პაბლო სანსი, არტეაგა, პერაგონი, ბოლიჩი (გლაუსიო 82)
მწვრთნელი: გრეგორიო მანსანო
ბარსელონა: რეინა, ფ. დე ბური, სერხი, კრისტენვალი, პუიოლი, ხავი, კოკუ (ხერარდი 72), გაბრი (როჩემბაკი 63), სავიოლა (ჯოვანი 80), რივალდო, კლუივერტი
მწვრთნელი: კარლოს რექსაჩი
გაფრთხილება: პერაგონი, არტეაგა, როჩემბაკი, პაბლო სანსი, პუიოლი
მსაჯი: გონსალეს ვასკესი
15 500 მაყურებელი

**ვალენსია 1:2 ვალიადოლიდი**

0:1 ლუის გარსია (16), 1:1 პელეგრინო (26), 1:2 ფერნანდო სალესი (35)
ვალენსია: კანისარესი, პელეგრინო, აიალა, კარბონი, ალბელდა, ბარახა (აიმარი 60), ვისენტე (კილი გონსალესი 70), რუფეტე, ანგულო, ა. ილიე (სალვა 51), მისტა
მწვრთნელი: რაფაელ ბენიტესი
ვალიადოლიდი: რიკარდო, პენია, მარკოსი, მარიო, ტორეს გომესი, ხესუსი, კამინერო (ტენა 60), ფერნანდო სალესი, ფერნანდო, ტოტე (რიკეტი 73), ლუის გარსია (ჩემს 84)
მწვრთნელი: პეპე მორე
გაფრთხილება: აიალა, ბარახა, პელეგრინო, პენია, კანისარესი, კილი გონსალესი
მსაჯი: ლოსანტოს ომარი
45 000 მაყურებელი

**მალიორკა 3:0 ბილბაო**

1:0 ლუკე (35), 2:0 ენგონგა (68პ), 3:0 ლოსადა (89)
მალიორკა: როა, მიგელ სოლერი, ფერნანდო ნინიო, ოლაიზოლა, ნადალი, კამპანო, ნოვო (კრისტიან დიასი 75), მარკოსი, პაუნოვიჩი (ლოსადა 71), ენგონგა, ლუკე (კარლოსი 90)
მწვრთნელი: სერჯიო კრეშიჩი
ბილბაო: ლაფუენტე კარლოს გარსია, ლაკრუსი, ორბაისი, მურილიო, გერერო (ტიკო 63), იესტე (ესკერო 63), ხავი გონსალესი, ალკისა (ურუტია 80), ხ. ეჩებერია, ურსაისი
მწვრთნელი: იუპ ჰაინკესი
გაფრთხილება: ლაკრუსი, ნოვო, პაუნოვიჩი, ენგონგა, ლუკე, ნადალი
მსაჯი: პერეს ბურული
20 000 მაყურებელი

**დეპორტივო 1:0 ლას პალმასი**

1:0 ნაჩო გონსალესი (66ს.კ.)
დეპორტივო: მოლინა, რომერო, ჯორჯევიჩი, დონატო, ექტორი, ფრანი (ამავისკა 45), სერხიო, ვიქტორი (ემერსონი 85), დუშერი, ტრისტანი (ჯალმინია 59), პანდიანი
მწვრთნელი: ხავიერ ირურეტა
ლას პალმასი: ნაჩო გონსალესი, ოლიასი (სარასუა 24), პაკუი, შურერი, ანხელი, ხოსიკო, ხაიო, ედუ ალონსო, ხორხე (ელოი 69), პაბლო ლაგო, რუბენი (სეკეიროსი 69)
მწვრთნელი: ფერნანდო ვასკესი
გაფრთხილება: დუშერი, შურერი, ემერსონი
მსაჯი: ესკონას ტორესი
27 000 მაყურებელი

**ტენერიფე 1:1 სელტა**

1:0 ბინუ (27), 1:1 კატანია (72)
ტენერიფე: სერხიო არაგონესესი, ლუსენმოვი, დავიდ ჩარკოსი, ბასავილბასო, ბასედასი (უგო მორალესი 66), მანელი, მარტი, ბინუ, ივან ანია (ნოსკო 80), მარიონი (ხავი ვენტა 51), ბიჩი ფუერტესი
მწვრთნელი: ხოსე პეპე მელი
სელტა: კავალიერო, ბერიზო, ხუანფრანი (სილვინიო 46), კოირა, სერხიო, ჯოვანელა (გუსტავო ლოპესი 48), კარპინი (ხესული 80), მოსტოვოი, ედუ, ლუქსენი, კატანია
მწვრთნელი: ვიქტორ ფერნანდესი
გაფრთხილება: ლუსენმოვი, კავალიერო, ხავი ვენტა, მოსტოვოი, კოირა, ბერიზო, კარპინი, ხავი ვენტა
გაძევება: ხავი ვენტა (87)
მსაჯი: რამირეს დომინგესი
11 000 მაყურებელი

**სოსიედადი 1:2 ალავესი**

1:0 კოვაჩევიჩი (7), 1:1 კრუიფი (79), 1:2 მაგნო (87)
სოსიედადი: ვესტერველდი, კვარმე, არანსაბალი, ლუის ალბერტო, ლოპეს რეკარტე, ხაბი ალონსო, ტაიფური, დე პედრო (ხაბილონდო 72), ხოსლოვი (არანბურუ 59), იდიაკესი, კოვაჩევიჩი (დე პაულა 76)
მწვრთნელი: ჯონ ტოშაკი
ალავესი: კოკე კოლჩინი, ტელიესი, ლორენსი, იბონ ბეგონია (ვიჩგე 60), ჯელი, პაბლო, ასტუდილიო, ტურიელი (კრუიფი 70), მარა (მაგნო 54), რუბენ ნავარო
მწვრთნელი: ხოსე მანუელ ესნალ პარდო
გაფრთხილება: ტურიელი, ხაბი ალონსო, პაბლო, არანბურუ
მსაჯი: ლოპეს ნიეტო
28 000 მაყურებელი

**ესპანიოლი 1:1 ბეტისი**

1:0 პალენსია (79), 1:1 ჟოაუ ტომასი (88)
ესპანიოლი: მორა, ლოპო, სოლდევილა, ნავასი, დავიდ გარსია (რიკარდო 46), მორალესი, როხერი, ვატესი (ოსკარი 70), მარტინ პოსე, დე ლუკასი (პალენსია 54), ტამუდო
მწვრთნელი: ფრანსისკო ხავი ფლორესი
ბეტისი: პრატსი, ლუის ფერნანდესი, ტაისი, ფილიპესკუ, ხუანიტო, იტო (ვარელა 83), დენილსონი, ხოაკინი (ჟოაუ ტომასი 82), გუდიონსონი (მერინო 61), ბენჯამინი, ამატო
მწვრთნელი: ხუანდე რამოსი
გაფრთხილება: იტო, ხუანიტო, ნავასი, რიკარდო, როხერი
მსაჯი: ანსუატეგი როჩა
21 800 მაყურებელი

**სევილია 4:2 სარაგოსა**

0:1 აკუნია (12), 1:1 რეიესი (18), 2:1, 3:1 ოლივერა (50, 52), 3:2 გალეტი (58), 4:2 სალასი (90)
სევილია: ნოტარიო, ხავი ნავარო, ხუანმი, პაბლო ალფარო, ნიეგუსი, ფ. სალასი, კასკერო, გალიარდო, ლუის ხილი (ტომასი 65), მოიზესი (ტოედტლი 90), რეიესი (ოლივერა 35)
მწვრთნელი: ხოაკინ კაპაროსი
სარაგოსა: ლაინესი, რებოსიო (კომლიენოვიჩი 69), აგუადო, პაბლო, პაკო ხემესი, არაგონი, ველასკა, ზაინიუ (იორდი 63), აკუნია, ხუანელე გალეტი
მწვრთნელი: ფრანსისკო ჩიჩი როხო
გაფრთხილება: აგუადო, ნიეგუსი, ოლივერა, არაგონი, კასკერო, პაბლო, იორდი
მსაჯი: უნდიანო მალენკო
30 000 მაყურებელი

**ოსასუნა 2:2 ვილიარეალი**

1:0 ალოიზი (3), 1:1 გიარე (25), 2:1 პიცი (43ს.კ.), 2:2 გიარე (60)
ოსასუნა: უნსუე, იანგუასი (რივერო 82), ხოსუე კრუჩაგა, პაბლო კონტრერასი, ალფრედო, პალასიოსი (მონტენეგრო 69), პუნიალი, ფერნანდო, გამბედო, ალოიზი (არმენტანო 82)
მწვრთნელი: მიგელ ანხელ ლოტინა
ვილიარეალი: ლოპეს ვალეხო, არუაბარენა, ბერუე (კალეხა 55), გალვანი, კიკე ალვარესი, ბალესტეროსი, გალკა, კანია, ხორხე ლოპესი, პიცი, გიარე
მწვრთნელი: ვიქტორ მუნიოსი
გაფრთხილება: იანგუასი, პაბლო კონტრერასი, გალკა, კიკე ალვარესი
მსაჯი: პერეს ლასა
17 109 მაყურებელი

# თქვენ დაკარგეთ ათი ათასი



მალიორკა — ბილბაო. მასპინძელი მარკოს მარტინი (მარცხნივ) და ბიტორ ალკისა

REUTERS პალმა დე მალიორკიდან

**აუ, რამდენია!** იმაზე მოგახსენებთ, პრიმერადივიზიონის ათივე მატჩის შედეგი რომ გამოგეცნოთ, ტოტალიზატორში ათი ათასიანი კოეფიციენტი გამოგივიდოდათ. აბა, როგორ — „ბარსელონამ" წააგო, „ვალენსიამ" წააგო, „რეალმა" ფრედ ითამაშა...

„დეპორტივო" გადარჩა, უფრო სწორედ კი, ლასპალმასელმა მეკარე ნაჩო გონსალესმა გადაარჩინა, რომელმაც ავტოგოლი მიითვალა, რომელიც შეხვედრაში ერთადერთი გამოდგა. ამ გოლში დიდი იყო ჯალმინიას წვლილი. იგი მეორე ტაიმში შევიდა დიეგო ტრისტანის ნაცვლად. ბრაზილიელმა კუთხურიდან ჩაჰკიდა, ნაჩოს კი მიმართულება აერია და ბურთი საკუთარი კარისკენ მოიგერია. კიდევ კარგი, ასე მოხდა (ცხადია, ლაკორუნიელთათვის), თორემ მასპინძლები გამტანნი არ იყვნენ. ასე კი „დეპორტივომ" ზედიზედ მეშვიდე საშინაო თამაში მოიგო, ხოლო „ლას პალმასი" ბოლო შვიდ მატჩში პირველად დამარცხდა.

და რა გუნდია „ვალიადოლიდი"? წინა ტურში „დეპორტივოს" 3:0 მოუგო, ახლა კი „ვალენსია" დაამარცხა და ეს ვალენსიელთა პირველი საშინაო მარცხი იყო ამ სეზონში. მასპინძელთა არგენტინელმა რობერტო ფაბიან აიალამ, რომელზეც ამბობენ, „მანჩესტერ იუნაიტედი" ეპატიჟებაო, მე-16 წუთზე პენალტი აიკიდა, რაც ლუის გარსიამ გოლად აქცია. მაურისიო პელეგრინომ ათიოდ წუთში კი გაათანაბრა, მაგრამ პირველივე ტაიმში ფერნანდო სალესმა კვლავ სტუმრები დააწინაურა, რის მერეც ანგარიში აღარ შეცვლილა. ვალიადოლიდელთა მეორე გოლი კი სანტიაგო კანისარესის სუსტი თამაშის შედეგად გავიდა.

მატჩამდე „ბარსელონას" კაპიტანი სერხი ამბობდა, „რაიო ვალეკანო" ბოლოადგილოსანი კი არის, მაგრამ მუშა და უტეხი გუნდიაო. ისე აგიხდეთ ყველაფერი...

„ბარსა", ცხადია, უტევდა, მაგრამ რალაცნაირად აჭრილი იყო და სიმწვავე აკლდა. ამით ისარგებლეს ვალეკანოს უბნელებელმა და ჯერ ბოსნიელმა ელვირ ბოლიჩმა ოცი მეტრიდან, მერე კი რამონ დე კინტანამ ხორდი ფერონის პასით, ორი გოლი გაუტანეს კატალონიელებს. ამ ორ გოლს შორის ხავიმ იხეირა — მეკარე იმანოლ ეჩებერიას თავზე გადაუგდო ბურთი, მაგრამ მეტს ველარ გამორჩა.

„რეალმა" ისე ითამაშა პირველი ტაიმი მალაგაში, დელი ვალდესის გოლი სრულიად კანონზომიერი და სამართლიანი გახლდათ. პანამელს საგოლე პასი მისმა მეწყვილე დარიო სილვამ მისცა. მეორე ტაიმში მადრიდელთა თამაში თამაშს [illegible] რობერტო კარლოსის პასით ფერნანდო მორიენტესის გოლიც და მატჩის საბოლოო შედეგიც [illegible] ჩანს. ისიც გავიხსენოთ, რომ ამ გუნდების პირველი წრის მატჩიც, „სანტიაგო ბერნაბეუზე" 1:1 დასრულდა.

იმდენჯერ ითქვა, „ბილბაო" სტუმრად ჩინებულად თამაშობსო, რომ წააგო. პალმა დე მალიორკულმა ანგარიშმა ბასკები მეორედან მეხუთე ადგილამდე დააქვეითა, ხოლო „მალიორკა" გასავარდნთა ზონას ააცილა. კუნძულელები ინდივიდუალური ოსტატობით გაიღნენ ფონს. პირველი გოლი ალბერტო ლუკეს სოლო გარღვევას მოჰყვა, მესამე კი რობერტო ლოსადასას, ერთიც ვისენტე ენგონგამ შეაგდო პენალტით.

„რეალ სოსიედადი" თავიდანვე დაწინაურდა, თითქმის მატჩის ბოლომდე იგებდა და მაინც წააგო. ის პირველი გოლი კი „ლაციოდან" 5,8 მილიონ დოლარად დაბრუნებულმა დარკო კოვაჩევიჩმა გაიტანა. ბოლო თერთმეტ წუთში კი სანსებასტიანელთა ბედის ბორბალი უკუღმა დატრიალდა, რაც ნიშნავს, რომ იოჰან კრუიფის ძემ, ხორდიმ, გაათანაბრა, მოსელინ მაგნომ კი სანდერ ვესტერფელდს ახლო კუთხეში გამარჯვებისა შეუგდო.

„ესპანიოლმა", რომელმაც ბოლო საშინაო მატჩში „ბარსელონა" დაამარცხა და „რეალ ბეტისმა", კარგა ხანია (წინა სამი მატჩი) რომ არ მოეგო, ფრედ ითამაშეს. ზოგადად სევილიელები უკეთ გამოიყურებოდნენ, მაგრამ სახიფათო მომენტების რაოდენობას თუ დავითვლით, მასპინძლები, ბარსელონელები სჯობდნენ. ამიტომაც „მალაგა" — „რეალის" მატჩის მსგავსად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ფრე ლოგიკური და სამართლიანი შედეგია. ისიც აღვნიშნოთ, რომ ტრიბუნებზე შეკრებილთ კარგა ხანს მოუხდათ გოლის ლოდინი და როდესაც იმედი გადაეწურათ, ერთბაშად ორი იხილეს, თუმცა ასევე შევნიშნოთ, რომ მეორე ანუ ბეტისელთა გატანილი, სულაც არ ეამათ. ანგარიში 79-ე წუთზე ხუან ფრანსისკო პალენსიამ გახსნა. მან საჯარიმო მოედნიდან სამი მეტრის მოშორებით მყოფმა დაარტყა და როცა მატჩის დასრულებას ორიოდე წუთი უკლდა, ჟოაუ ტომასმა გაათანაბრა.

**გიორგი დარჯანია**

| № | | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 | რეალი | 21 | 11 | 6 | 4 | 38:23 | 15 | 39 | 11 | 8 | 3 | 0 | 24:9 | 15 | 27 | 10 | 3 | 3 | 4 | 14:14 | 0 | 12 |
| 2 | ალავესი | 20 | 11 | 3 | 6 | 22:13 | 9 | 36 | 11 | 7 | 1 | 3 | 12:7 | 5 | 22 | 9 | 4 | 2 | 3 | 10:6 | 4 | 14 |
| 3 | დეპორტივო | 21 | 11 | 3 | 7 | 34:28 | 6 | 36 | 10 | 8 | 1 | 1 | 22:7 | 15 | 25 | 11 | 3 | 2 | 6 | 12:21 | -9 | 11 |
| 4 | სელტა | 21 | 8 | 10 | 3 | 38:24 | 14 | 34 | 11 | 6 | 4 | 1 | 24:11 | 13 | 22 | 10 | 2 | 6 | 2 | 14:13 | 1 | 12 |
| 5 | ბილბაო | 21 | 9 | 7 | 5 | 29:29 | 0 | 34 | 11 | 3 | 5 | 3 | 12:14 | -2 | 14 | 10 | 6 | 2 | 2 | 17:15 | 2 | 20 |
| 6 | ბარსელონა | 21 | 9 | 6 | 6 | 31:20 | 11 | 33 | 10 | 6 | 3 | 1 | 23:8 | 15 | 21 | 11 | 3 | 3 | 5 | 8:12 | -4 | 12 |
| 7 | ვალენსია | 21 | 8 | 9 | 4 | 24:19 | 5 | 33 | 10 | 6 | 3 | 1 | 11:5 | 6 | 21 | 11 | 2 | 6 | 3 | 13:14 | -1 | 12 |
| 8 | ბეტისი | 21 | 9 | 6 | 6 | 22:20 | 2 | 33 | 11 | 7 | 2 | 2 | 14:7 | 7 | 23 | 10 | 2 | 4 | 4 | 8:13 | -5 | 10 |
| 9 | ვალიადოლიდი | 21 | 9 | 4 | 8 | 25:34 | -9 | 31 | 11 | 6 | 2 | 3 | 14:9 | 5 | 20 | 10 | 3 | 2 | 5 | 11:25 | -14 | 11 |
| 10 | სევილია | 21 | 8 | 6 | 7 | 34:27 | 7 | 30 | 10 | 4 | 4 | 2 | 19:12 | 7 | 16 | 11 | 4 | 2 | 5 | 15:15 | 0 | 14 |
| 11 | ლას პალმასი | 21 | 7 | 6 | 8 | 22:18 | 4 | 27 | 11 | 5 | 5 | 1 | 16:8 | 8 | 20 | 10 | 2 | 1 | 7 | 6:10 | -4 | 7 |
| 12 | მალაგა | 21 | 6 | 8 | 7 | 24:26 | -2 | 26 | 11 | 4 | 4 | 3 | 16:15 | 1 | 16 | 10 | 2 | 4 | 4 | 8:11 | -3 | 10 |
| 13 | ესპანიოლი | 21 | 7 | 5 | 9 | 25:32 | -7 | 26 | 11 | 6 | 2 | 3 | 19:13 | 6 | 20 | 10 | 1 | 3 | 6 | 6:19 | -13 | 6 |
| 14 | ვილიარეალი | 21 | 6 | 6 | 9 | 22:25 | -3 | 24 | 11 | 4 | 3 | 4 | 13:11 | 2 | 15 | 10 | 2 | 3 | 5 | 9:14 | -5 | 9 |
| 15 | ოსასუნა | 21 | 6 | 6 | 9 | 20:27 | -7 | 24 | 10 | 3 | 3 | 4 | 9:10 | -1 | 12 | 11 | 3 | 3 | 5 | 11:17 | -6 | 12 |
| 16 | სარაგოსა | 21 | 7 | 3 | 11 | 20:31 | -11 | 24 | 10 | 4 | 2 | 4 | 12:14 | -2 | 14 | 11 | 3 | 1 | 7 | 8:17 | -9 | 10 |
| 17 | მალიორკა | 21 | 6 | 5 | 10 | 23:29 | -6 | 23 | 10 | 4 | 3 | 3 | 14:8 | 6 | 15 | 11 | 2 | 2 | 7 | 9:21 | -12 | 8 |
| 18 | ტენერიფე | 21 | 6 | 4 | 11 | 15:24 | -9 | 22 | 10 | 4 | 2 | 4 | 11:10 | 1 | 14 | 11 | 2 | 2 | 7 | 4:14 | -10 | 8 |
| 19 | სოსიედადი | 21 | 5 | 4 | 12 | 25:31 | -6 | 19 | 10 | 3 | 3 | 4 | 16:13 | 3 | 12 | 11 | 2 | 1 | 8 | 9:18 | -9 | 7 |
| 20 | რაიო ვალეკანო | 20 | 4 | 5 | 11 | 21:34 | -13 | 17 | 9 | 4 | 1 | 4 | 11:11 | 0 | 13 | 11 | 0 | 4 | 7 | 10:23 | -13 | 4 |

**ბომბარდირები**

| | |
|---|---|
| კატანია (სელტა) | 11 |
| რაული (რეალი) | 10 |
| ურსაისი (ბილბაო) | 10 |
| მორიენტესი (რეალი) | 9 |
| ლუკე (მალიორკა) | 9 |

**XXII ტური**
27 იანვარი

რეალი - ბეტისი
ვალიადოლიდი - მალაგა
ლას პალმასი - ვალენსია
ბილბაო - დეპორტივო
ალავესი - მალიორკა
სელტა - სოსიედადი
ვილიარეალი - ტენერიფე
ბარსელონა - ოსასუნა
სარაგოსა - რაიო ვალეკანო
სევილია - ესპანიოლი

## მეორე დივიზიონი

### XXIII ტური

**ატლეტიკო 1:0 ეიბარი**
1:0 დიეგო ალონსო (51)

**ხიმნასტიკი 0:0 ბურგოსი**

**ოვიედო 0:0 რასინგი**

**ნუმანსია 0:0 უელვა**

**ხერესი 1:2 ესტრემადურა**
0:1 პიერი (11), 1:1 კალე (63), 1:2 პედრო ხოსე (90)

**ალბასეტე 0:1 სალამანკა**
0:1 ტომასი (90)

**ბადახოსი 1:2 სპორტინგი**
1:0 ხორნეტი (22), 1:1, 1:2 ვილა (41, 49პ)

**კორდობა 3:1 ლევანტე**
0:1 სეტვალსი (31), 1:1 სორია (49), 2:1 ნავარო (67), 3:1 ალფონსო (90)

**ელჩე 1:0 ლეგანესი**
1:0 მოა (43)

**პოლი ეხიდო 1:0 ხაენი**
1:0 ბორდი (7)

**მურსია 1:2 ფეროლი**
1:0 ტიტო (12), 1:1 მ. რედონდო (47), 1:2 ემერი (71)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ატლეტიკო | 23 | 15 | 4 | 4 | 37:15 | 49 |
| ხერესი | 23 | 13 | 3 | 7 | 26:19 | 42 |
| რასინგი | 23 | 10 | 8 | 5 | 28:19 | 38 |
| უელვა | 23 | 9 | 10 | 4 | 22:16 | 37 |
| ბურგოსი | 23 | 10 | 6 | 7 | 23:20 | 36 |
| ოვიედო | 23 | 8 | 11 | 4 | 21:13 | 35 |
| ალბასეტე | 23 | 9 | 7 | 7 | 23:15 | 34 |
| სალამანკა | 23 | 8 | 10 | 5 | 32:29 | 34 |
| ფეროლი | 23 | 10 | 3 | 10 | 31:30 | 33 |
| ეიბარი | 23 | 8 | 7 | 8 | 24:15 | 31 |
| კორდობა | 23 | 8 | 6 | 9 | 28:28 | 30 |
| სპორტინგი | 23 | 7 | 8 | 8 | 29:29 | 29 |
| ესტრემადურა | 23 | 7 | 8 | 8 | 19:21 | 29 |
| ბადახოსი | 23 | 8 | 5 | 10 | 21:25 | 29 |
| ნუმანსია | 23 | 7 | 8 | 8 | 22:29 | 29 |
| ხაენი | 23 | 8 | 5 | 10 | 21:28 | 29 |
| ელჩე | 23 | 7 | 8 | 8 | 18:25 | 29 |
| მურსია | 23 | 6 | 8 | 9 | 20:25 | 26 |
| ლეგანესი | 23 | 5 | 9 | 9 | 14:22 | 24 |
| ლევანტე | 23 | 4 | 9 | 10 | 22:35 | 21 |
| ხიმნასტიკი | 23 | 4 | 7 | 12 | 18:28 | 19 |
| პოლი ეხიდო | 23 | 3 | 8 | 12 | 18:31 | 17 |

## იტალია

### სერია A. XIX ტური

**ფიორენტინა 1:1 მილანი**

0:1 ხოსე მარი (52), 1:1 ადრიანო (90)
შევჩენკომ ვერ გაიტანა პენალტი (70, მეკარე)
ფიორენტინა: მანინგერი, ტორიჩელი, ადანი (ვანოლი 18), მორეტი, ტაროცი, ბარონიო (კოისი 64), ამარალი, კ. ამორუზო (ე. გონსალესი 56), დი ლივიო, მორფეო, ადრიანო
მწვრთნელი: ოტავიო ბიანკი
მილანი: აბიატი, როკე ჟუნიორი, შამოტი, კოსტაკურტა, პელეგი, კონტრა (ბროკი 79), გატუზო, ალბერტინი, სერჟინიო, შევჩენკო (დონატი 77), ხოსე მარი
მწვრთნელი: კარლო ანჩელოტი
გაფრთხილება: გატუზო, ვანოლი, მორეტი, შამოტი, ალბერტინი, გატუზო, ადრიანო
გაძევება: გატუზო (75)
მსაჯი: პაპარესტა
25 000 მაყურებელი

**ინტერი 2:0 პარმა**

1:0 სენსინი (2ს.კ.), 2:0 ვიერი (84)
ინტერი: ტოლდო, ხ. ძანეტი, კორდობა, მატერაცი, გრეშკო, ს. კონსეისაუ (ვივასი 75), ფარინოსი, კ. ძანეტი, რეკობა (ემრე 72), ვიერი, კალონი (ვენტოლა 79)
მწვრთნელი: ექტორ რაულ კუპერი
პარმა: ფრეი, ფერარი, სენსინი (მარკიონი 51), ფ. კანავარო, დიანა, ალმეიდა, ლამუში (მიკუ 65), ჟუნიორი, ბოლანო, დი ვაიო, ბონაცოლი (ბაქან შუქური 56)
მწვრთნელი: გედეონე კარმინიანი
გაფრთხილება: ალმეიდა
მსაჯი: როზეტი
56 000 მაყურებელი

**უდინეზე 1:1 რომა**

1:0 დი მიკელე (48), 1:1 ბატისტუტა (82)
მუციმ ვერ გაიტანა პენალტი (87, მეკარე)
უდინეზე: ტურჩი, გარგო, სოტილი, ტ. მანფრედინი, მარტინესი, პინცი, დ. პიზარო (მარკოს პაულუ 46), ალმირონი (კაბალიერო 67), პინედა, მუცი, დი მიკელე
მწვრთნელი: ჯამპიერო ვენტურა
რომა: ანტონიოლი, პანუჩი, ძებინა, ვ. სამუელი, კაფუ, ლიმა (ასუნსაო 81), ემერსონი, ტომაზი (მონტელა 55), კანდელა, ბატისტუტა, დელვეკიო (ფუზერი 81)
მწვრთნელი: ფაბიო კაპელო
გაფრთხილება: პინცი, ემერსონი, ძებინა, სამუელი
მსაჯი: ტრენტალანჯე
17 000 მაყურებელი

**იუვენტუსი 3:0 ატალანტა**

1:0 ტაკინარდი (34), 2:0, 3:0 ტრეზეგე (39, 73)
იუვენტუსი: ბუფონი, ტურამი, ფერარა (მონტერო 83), იულიანო (კ. ძენონი 90), პესოტო, ძამბროტა, ა. კონტე ტაკინარდი (დავიდსი 79), ნედვედი, დელ პიერო, ტრეზეგე
მწვრთნელი: მარჩელო ლიპი
ატალანტა: ტაიბი, პაგანინი, კარერა, სალა (რუსტიკო 46), პინარდი, რინალდი, ესპინალი, ძაური (კავალი 47), დონი, კოლომბო, კომანდინი (საუდატი 46)
მწვრთნელი: ჯოვანი ვავასორი
გაფრთხილება: ესპინალი, ნედვედი
მსაჯი: პიერი
25 000 მაყურებელი

**ლაციო 5:0 პერუჯა**

1:0 ინძაგი (9), 2:0 ლოპესი (32), 3:0 ფიორე (52), 4:0 სტანკოვიჩი (57), 5:0 ნეგრო (63)
ლაციო: პერუცი, პანკარო, ფ. კოუტუ, ნეგრო, სტზარი, პობორსკი, ჯანიკედა, ლივერანი (დ. ბაჯო 69), დ. სტანკოვიჩი, კრესპო (ფიორე 26), ს. ინძაგი (კ. ლოპესი 26)
მწვრთნელი: ალბერტო ძაკერონი
პერუჯა: ტარდიოლი, სოლიანო, დი ლორეტო, რეზაეი, ზე მარია, ბლაზი, გატი (ბეზერესი 46), მილანეზე (გროსო 46), ტედესკო, ბაიოკო, ვრიზასი
მწვრთნელი: სერსე კოზმი
გაფრთხილება: პობორსკი, ჯანიკედა, სტზარი, გატი
მსაჯი: ბერტინი
35 000 მაყურებელი

**ბოლონია 3:1 კიევო**

1:0 ძაული (40), 2:0 კრუზი (70), 2:1 ბეგეტო (73), 3:1 ძაული (90)
მანფრედინიმ ვერ გაიტანა პენალტი (45, ააცილა)
ბოლონია: პალიუკა, გამბერინი, ფალკონე, ძაკარდო, ნერვო, ოლივე, ბრიგი, ტარანტინო, ბეკაა (ბრიოსკი 79), ძაული, ხ. კრუზი
მწვრთნელი: ფრანჩესკო გვიდოლინი
კიევო: ლუპატელი, ფ. მორო, დანჯელო, დანა, ს. ლანა, ერიბერტო, ბარონე, ფირმანი (ფრანჩესკინი 53), კ. მანფრედინი (ლ. ბეგეტო 53), ფ. კოსატო, მარაცინა (ლორენცი 60)
მწვრთნელი: ლუიჯი დელ ნერი
გაფრთხილება: კოსატო, ფრანჩესკინი, ბეგეტო, ძაული
გაძევება: დანა (53)
მსაჯი: კოლინა
23 000 მაყურებელი

# ფაბიო და ფრანჩესკო გაძარცულები



REUTERS მილანიდან

**ინტერი — პარმა. მილანელმა კრისტიან ვიერიმ პარმელი მეკარე სებასტიან ფრეიც მოატყუა და სეზონში მეცამეტე გოლი გაიტანა**

**ბრეშა 1:2 ტორინო**

1:0 ილანა (52), 1:1 ფერანტე (82), 1:2 ვერგასოლა (87)
ბრეშა: კასტელაცი, ბონერა, კალორი, მანგონე, შოპი (მ. ესპოზიტო 75), ა. ფილიპინი, ილანა, ე. ფილიპინი (ტარე 87), ჯუნტი, ტონი, სუსი
მწვრთნელი: კარლო მაცონე
ტორინო: ბუჩი, გალანტე, ფატორი, დელი კარი, ასტა, ვერგასოლა, დე აშენტისი, მ. კასტელინი, მასპერო (სკარკილი 60), ოსმანოვსკი (ფერანტე 60; კომოტო 90), კ. ლუკარელი
მწვრთნელი: ჯანკარლო კამოლეზე
გაფრთხილება: ასტა, ბონერა, ოსმანოვსკი, გალანტე, ფატორი, ასტა
გაძევება: ასტა (89)
მსაჯი: პელეგრინო
10 000 მაყურებელი

**ლეჩე 0:0 პიაჩენცა**

ლეჩე: კიმენტი, ჟუარესი, პოპესკუ, სავინო, ბალერი, კონტიკიო, პიანჯერელი, ტონეტო (ჩირილო 86), კოლონელო (ჯორჯეტი 46), ვუგრინეცი, ჩევანტონი (კონანი 29)
მწვრთნელი: ალბერტო კავაზინი
პიაჩენცა: გუარდალბენი, კარდონე (კრისტანტე 72), ლამაკი, ა. ლუკარელი, ტოსტო, გაუტიერი, სტატუტო (მატუზალემი 67), ვოლპი, დი ფრანჩესკო, პოჯი, უბნერი (კაჩა 67)
მწვრთნელი: ვალტერ ნოველინო
გაფრთხილება: კონტიკიო, ბალერი, ლამაკი, პოჯი
მსაჯი: ტრეფოლონი
11 579 მაყურებელი

**ვერონა 1:0 ვენეცია**

1:0 ოდო (15)
ფრიკმა ვერ გაიტანა პენალტი (84, ააცილა)
ვერონა: ფერონი, მ. კანავარო, ძანკი (კასეტი 77), ტეოდორანი, ოდო (მატეასი 90), მაცოლა, ჯ. კოლუჩი, სერიჩი (დაინელი 67), კამორანეზი, ფრიკი, სალვეტი
მწვრთნელი: ალბერტო მალეზანი
ვენეცია: ჯ. როსი, კონტეპი, ბიორკლუნდი (პავანი 54), ბილიკა, ბეტარინი, დე ფრანჩესკი, მარასკო, დ. ანდერსონი, ბრესანი (დი ნაპოლი 49), ვალტოლინა (დონეტი 63), მაგალიანესი
მწვრთნელი: ალფრედო მანი
გაფრთხილება: ანდერსონი, კამორანეზი, ძანკი
მსაჯი: ბიროლდი
13 514 მაყურებელი

**ფაბიო კაპელო,** ასე გაცეცხლებული, ვინ იცის საკუთარ ცოლსაც არასდროს უნახავს. თვალებიდან სულ ნაპერწკლებს აკვესებდა. ჯერ იყო და შუა თამაშში მსაჯ ტრენტალანჯეს სულ ხელები უშალა და თამაშის ბოლოსაც, გვირაბში გაუჩინარებამდე, გვარიანად იყვირა. რატომ? აი, ამას ძნელად თუ გეტყვით, რადგან მატჩის შემდეგ, პრესკონფერენციაზე ასე განაცხადა:

„შედეგი სამართლიანი იყო. ჩვენ რამდენიმე სახიფათო მომენტს გადავურჩით, ხოლო მეკარე ანტონიოლის პენალტის მოგერიებისთვის საგანგებო მადლობა მინდა გადავუხადო“.

მოდი, ახლა და გაიგე რატომ შლიდა კაპელო ხელებს. იქნებ საკუთარ ფეხბურთელებზე გაბრაზებული ეჩხუბებოდა არბიტრსაც და გარშემო სივრცესაც?

ხოლო ანტონიოლიმ პენალტი რომ მოიგერია, ანგარიში უკვე 1:1 იყო. ესე იგი, შეიძლება ითქვას, რომ ჩემპიონი დამარცხებას გადაარჩინა. მართალია, დამარცხების გამო ცხრილში ბევრი არაფერი შეიცვლებოდა (ფრითაც მეორე ადგილზე რჩებოდა), მაგრამ მაინც ჯობს „ინტერს“ ერთი ქულით ჩამორჩეს, ვიდრე ორით.

პენალტი კი იმიტომ დაინიშნა, რომ ქებით დათარსული რომაელი მცველი ჯონათან ძებინა შეცდა, უდინელ თავდამსხმელს ბურთის მოპარვის საშუალება მისცა და შემდეგ მისი საჯარიმოში წაქცევით სცადა მდგომარეობის გამოსწორება. „რომას“ საბედნიეროდ რობერტო მუციმ გოლი ვერ გაიტანა. აღსანიშნავია, რომ მუციმ ორი კვირის წინაც ვერ გაიტანა თერთმეტმეტრიანი.

„უდინეზეს“ თავკაცი ჯამპიეტრო ვენტურა: „ეს უკვე მეორედ ააცილა იმ ფეხბურთელმა, რომელსაც გუნდისთვის უამრავი მნიშვნელოვანი გოლი აქვს გატანილი“.

საერთოდ, ამ შეხვედრაში „რომას“ გაუჭირდა. ჯერ იყო, დავიდე დი მიკელეს მიერ საჯარიმოში მცველისა და მეკარის ჩამოტოვებასა და დარტყმას ჩემპიონთა ჩამორჩენა მოჰყვა, ხოლო მას მერე, რაც გაბრიელ ბატისტუტამ გაქვითა, ის პენალტი დაინიშნა, რომელზეც ზემოთ მოგახსენეთ.

და სერია A-ს სათავეში კვლავ „ინტერი“ ჩაუდგა. ექტორ რაულ კუპერის „შავ-ლურჯებმა“ „პარმას“ 2:0 მოუგეს. პირველი გოლი საკუთარ კარში პარმელმა ნესტორ სენსინიმ შეაგდო. მეორე კი შორეული დარტყმით კრისტიან ვიერიმ.

„დღეს ყველა ასპექტში კარგად ვითამაშეთ“ — კმაყოფილი დარჩა კუპერი.

რაც შეეხება „იუვენტუსს“, რომელიც მესამე ადგილზეა, ალბათ, გარკვეული გაგებით, საქართველოს პირველობის გუნდად შეგვიძლია მივიჩნიოთ. ყოველ შემთხვევაში, როდესაც „ბებერი ქალბატონი“ შინ თამაშობს, „დელე ალპის“ ტრიბუნები დამთრგუნველად ცარიელი ჩანს, მოსაწყენი სანახაობაა.

მაგრამ ეს ნაწილობრივ „დელე ალპის“ მინუსი უფროა, ვიდრე „იუვენტუსის“ ან იტალიის ჩემპიონატისა. მაგალითად, ამბობენ, ამ ნაგებობის ბოლო რიგიდან მინდორი 120 მეტრითაა მოშორებული. გარდა ამისა, საკუთრივ ტურინელებს აქვთ ფეხბურთისადმი ცოტა პრანჭია დამოკიდებულება (ჩვენ ასე გვგონია) — თუ მაინცდამაინც ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალი ან „იუვე“ — „რომა“ არ არის, ისე სტადიონზე არ დადიან, ხოლო ვინც დადის, იმათთვის მთელი სტადიონი ძალიან დიდია.

„იუვენტუსისა“ და „ატალანტას“ მატჩი 3:0 დასრულდა. ჯერ იყო და ალესიო ტაკინარდიმ შორიდან აჰკრა ბურთს (თან ხელს უშლიდნენ), რომელიც მეკარე მასიმო ტაიბის მიტოვებულ კარში ჩაეშვა. შემდეგ მარცხნიდან ჩაწოდებულს დავიდ ტრეზეგემ მიუჩინა ადგილი სადაც ვერ არის და მეორე ტაიმში ისევ ტრეზეგემ გამოიჩინა თავი [illegible]

„გუნდმა დიდი ყურადღებით ითამაშა, რითაც [illegible] ყველამ კარგად ითამაშა“ — ბრძანა მატჩის დამთავრების შემდეგ „იუვეს“ მწვრთნელმა მარჩელო ლიპიმ.

და აჰ, „კიევო“! „ბოლონიამ“ 3:1 მოუგო. თავიდან, ბოლონიელმა ძაულიმ ანგარიში რომ გახსნა (ძაულიმ 90-ე წუთზეც გაიტანა გოლი), ვერონელმა კრისტიან მანფრედინიმ პენალტი ვერ შეაგდო. შემდეგ „ბოლონიას“ მწვრთნელი ფრანჩესკო გვიდოლინი გახელდა და მსაჯმა კოლინამ ტრიბუნაზე აუშვა. გამოხდა ხანი და მსაჯმა კოლინამ „კიევოს“ მცველი ლორენცო დანა მინდვრიდან გვირაბში გააგზავნა. მეორე გოლი არგენტინელმა ხულიო კრუზმა შეაგდო, ვერონელთაგან კი ერთადერთი პასუხის ავტორი ლუიჯი ბეგეტო იყო.

გაძევებული მწვრთნელი გვიდოლინი: „კოლინას ძალიან ზრდილობიანად ვუთხარი, რომ მის მიერ დანიშნულ პენალტს არ ვეთანხმებოდი, ასე რომ, დიდი არაფერი დამიშავებია და იმედი მაქვს, შემდეგ ტურსაც ტრიბუნაზე არ გამატარებინებენ“.

„კიევოს“ თავკაცი ლუიჯი დელ ნერი: „დაცვაში ჩვეული ყურადღება ვერ გამოვიჩინეთ და „ბოლონია“ გამარჯვებას იმსახურებდა“.

„ლაციო“ კი ადგა და „პერუჯას“ 5:0 მოუგო. რა თქვა პრესკონფერენციაზე ალბერტო ძაკერონიმ, ვერ გეტყვით, მაგრამ ეჭვი გვაქვს კმაყოფილი იქნებოდა.

**ბაჩუნა ძედია**

| № | | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 | ინტერი | 19 | 12 | 5 | 2 | 35:16 | 19 | 41 | 10 | 7 | 1 | 2 | 19:8 | 11 | 22 | 9 | 5 | 4 | 0 | 16:8 | 8 | 19 |
| 2 | რომა | 19 | 11 | 7 | 1 | 29:12 | 17 | 40 | 10 | 7 | 3 | 0 | 16:5 | 11 | 24 | 9 | 4 | 4 | 1 | 13:7 | 6 | 16 |
| 3 | იუვენტუსი | 19 | 10 | 7 | 2 | 35:14 | 21 | 37 | 10 | 7 | 2 | 1 | 23:8 | 15 | 23 | 9 | 3 | 5 | 1 | 12:6 | 6 | 14 |
| 4 | კიევო | 18 | 10 | 3 | 5 | 33:25 | 8 | 33 | 8 | 6 | 1 | 1 | 16:8 | 8 | 19 | 10 | 4 | 2 | 4 | 17:17 | 0 | 14 |
| 5 | მილანი | 19 | 8 | 8 | 3 | 27:19 | 8 | 32 | 9 | 4 | 5 | 0 | 14:7 | 7 | 17 | 10 | 4 | 3 | 3 | 13:12 | 1 | 15 |
| 6 | ბოლონია | 19 | 9 | 4 | 6 | 20:19 | 1 | 31 | 10 | 7 | 1 | 2 | 14:9 | 5 | 22 | 9 | 2 | 3 | 4 | 6:10 | -4 | 9 |
| 7 | ლაციო | 18 | 7 | 7 | 4 | 26:13 | 13 | 28 | 9 | 5 | 4 | 0 | 19:3 | 16 | 19 | 9 | 2 | 3 | 4 | 7:10 | -3 | 9 |
| 8 | ვერონა | 19 | 8 | 4 | 7 | 26:27 | -1 | 28 | 10 | 6 | 3 | 1 | 16:9 | 7 | 21 | 9 | 2 | 1 | 6 | 10:18 | -8 | 7 |
| 9 | ტორინო | 19 | 6 | 5 | 8 | 23:25 | -2 | 23 | 9 | 5 | 0 | 4 | 14:10 | 4 | 15 | 10 | 1 | 5 | 4 | 9:15 | -6 | 8 |
| 10 | პიაჩენცა | 19 | 6 | 4 | 9 | 24:25 | -1 | 22 | 9 | 4 | 0 | 5 | 13:11 | 2 | 12 | 10 | 2 | 4 | 4 | 11:14 | -3 | 10 |
| 11 | უდინეზე | 19 | 6 | 4 | 9 | 26:32 | -6 | 22 | 10 | 2 | 3 | 5 | 13:18 | -5 | 9 | 9 | 4 | 1 | 4 | 13:14 | -1 | 13 |
| 12 | პერუჯა | 19 | 6 | 4 | 9 | 20:28 | -8 | 22 | 9 | 4 | 3 | 2 | 10:6 | 4 | 15 | 10 | 2 | 1 | 7 | 10:22 | -12 | 7 |
| 13 | ატალანტა | 19 | 6 | 4 | 9 | 24:34 | -10 | 22 | 10 | 3 | 3 | 4 | 14:18 | -4 | 12 | 9 | 3 | 1 | 5 | 10:16 | -6 | 10 |
| 14 | ლეჩე | 19 | 4 | 7 | 8 | 19:26 | -7 | 19 | 10 | 2 | 4 | 4 | 10:11 | -1 | 10 | 9 | 2 | 3 | 4 | 9:15 | -6 | 9 |
| 15 | ბრეშა | 19 | 4 | 7 | 8 | 21:32 | -11 | 19 | 9 | 2 | 4 | 3 | 15:19 | -4 | 10 | 10 | 2 | 3 | 5 | 6:13 | -7 | 9 |
| 16 | პარმა | 19 | 4 | 6 | 9 | 22:30 | -8 | 18 | 9 | 3 | 4 | 2 | 13:11 | 2 | 13 | 10 | 1 | 2 | 7 | 9:19 | -10 | 5 |
| 17 | ფიორენტინა | 19 | 4 | 4 | 11 | 21:38 | -17 | 16 | 10 | 3 | 3 | 4 | 11:14 | -3 | 12 | 9 | 1 | 1 | 7 | 10:24 | -14 | 4 |
| 18 | ვენეცია | 19 | 2 | 4 | 13 | 16:32 | -16 | 10 | 9 | 1 | 3 | 5 | 9:13 | -4 | 6 | 10 | 1 | 1 | 8 | 7:19 | -12 | 4 |

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| ვიერი (ინტერი) | 13 |
| ტრეზეგე (იუვენტუსი) | 13 |
| უბნერი (პიაჩენცა) | 13 |
| დი ვაიო (პარმა) | 12 |
| დონი (ატალანტა) | 12 |
| შევჩენკო (მილანი) | 11 |

**XX ტური**

27 იანვარი

პარმა - ბოლონია
ლეჩე - ბრეშა
ატალანტა - ფიორენტინა
ვენეცია - ინტერი
კიევო - იუვენტუსი
ტორინო - ლაციო
რომა - პიაჩენცა
მილანი - უდინეზე
პერუჯა - ვერონა

### სერია B

**XXI ტური**

**კოზენცა 0:0 სამპდორია**

**კალიარი 4:0 პალერმო**

1:0 კამარატა (44), 2:0 სუაზო (48პ), 3:0 ლუზენტი (53), 4:0 კ. ესპოზიტო (80პ)

**კომო 1:2 რეჯინა**

0:1 დიონიჯი (21), 1:1 ოლივეირა (29), 1:2 დიონიჯი (67პ)

**ემპოლი 5:1 ბარი**

1:0, 2:0 ბრეშიანო (36, 45), 3:0 მაკარონე (60პ), 3:1 სპინესი (67), 4:1 ბრეშიანო (73), 5:1 დი ნატალე (81)

**ჯენოა 1:1 პისტოიეზე**

1:0 ფრანკიოზო (38პ), 1:1 ძინი (54)

**მოდენა 2:0 კროტონე**

1:0 კამარა (30), 2:0 დომიცი (63)

**სალერნიტანა 3:2 ჩიტადელა**

1:0 ვინიაროლი (9), 2:0 კამპედელი (31), 3:0 ტედესკო (49), 3:1 ამორე (87), 3:2 ბაიკუ (90)

**ტერნანა 2:2 მესინა**

1:0 მიკოლი (8), 2:0 მედრი (10), 2:1 გუტიერესი (13), 2:2 მარა (89)

**ვიჩენცა 2:1 სიენა**

1:0 კრისტალინი (40), 1:1 მანდელი (47), 2:1 მარკოლინი (72)

**ანკონა — ნაპოლი**

წუხელ გვიან დამთავრდა (იხ. მეორე გვერდზე) და მისი შედეგი ცხრილში შეტანილი არაა

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მოდენა | 21 | 12 | 7 | 2 | 40:14 | 43 |
| ემპოლი | 21 | 13 | 4 | 4 | 42:20 | 43 |
| რეჯინა | 21 | 12 | 7 | 2 | 31:16 | 43 |
| კომო | 21 | 12 | 3 | 6 | 28:21 | 39 |
| ნაპოლი | 19 | 9 | 5 | 5 | 26:21 | 32 |
| ვიჩენცა | 21 | 8 | 8 | 5 | 29:28 | 32 |
| სამპდორია | 21 | 8 | 6 | 7 | 30:25 | 30 |
| სალერნიტანა | 20 | 8 | 6 | 6 | 29:28 | 30 |
| პალერმო | 21 | 8 | 5 | 8 | 28:33 | 29 |
| კოზენცა | 21 | 8 | 4 | 9 | 26:33 | 28 |
| ჯენოა | 21 | 6 | 9 | 6 | 25:21 | 27 |
| მესინა | 21 | 6 | 8 | 7 | 24:24 | 26 |
| ბარი | 21 | 7 | 5 | 9 | 20:28 | 26 |
| კალიარი | 21 | 5 | 8 | 8 | 20:21 | 23 |
| პისტოიეზე | 21 | 5 | 8 | 8 | 17:21 | 23 |
| ანკონა | 20 | 6 | 4 | 10 | 19:31 | 22 |
| ჩიტადელა | 21 | 6 | 3 | 12 | 26:35 | 21 |
| ტერნანა | 21 | 3 | 10 | 8 | 23:30 | 19 |
| სიენა | 21 | 3 | 6 | 12 | 17:35 | 15 |
| კროტონე | 21 | 2 | 6 | 13 | 20:35 | 12 |

### სერია C1/a

მე-20 ტური: ლეკო — სპალ 1:0; ლუკეზე — პიზა 1:0; მონცა — ლუმეცანე 0:1; პადოვა — კარარეზე 4:1; რეჯანა — ჩეზენა 2:0; სპეცია — ალძანო 2:1; ტრევიზო — ვარეზე 1:1; ტრიესტინა — ალბინოლეფე 1:0. ლივორნო — არეცო წუხელ გვიან დამთავრდა

### სერია C1/b

მე-20 ტური: ბენევენტო — ლოდიჯანი 0:1; დი სანგრო — ტარანტო 1:2; კიეტი — ასკოლი 3:0; ფერმანა — სორა 2:0; აკილა — პესკარა 1:1; ლანჩანო — კატანია 2:1; ნოჩერინა — პეზარო 0:2; ტორესი — აველინო 1:1; ვიტერბეზე — ჯულიანოვა 2:0

# იტალიის ჩემპიონატი

## მეცხრამეტე ტურის მატჩი

## ფიორენტინა 1:1 მილანი

კახა კალაძეს ტრავმის გამო არ უთამაშია

# ოქტავიოს კარგი და კარლოს ცუდი

**კახა კალაძეს** ამ შეხვედრაში ტრავმის გამო არ უთამაშია.

ხოლო, „მილანის“ იმედს, რომ სკუდეტოსთვის მებრძოლთა სამეულს კვალში ჩაუდგებოდა, ამჯერად ფლორენციელი ადრიანოს მიერ შეხვედრის ბოლო წუთზე გათანაბრებულმა ანგარიშმა შეუშალა ხელი.

თავიდან „მილანი“ იგებდა — ხოსე მარიმ ანგარიში გახსნა. შემდეგ, როდესაც მსაჯმა პაპარესტამ „ფიორენტინას“ კარში პენალტი დანიშნა, „შავ-წითელთა“ სამ ქულას თითქოს საფრთხე აღარსაიდან ემუქრებოდა, მაგრამ თურმე ნუ იტყვი და, ამ სამი ქულის საფრთხე ფლორენციელთა კარში იდგა. საფრთხემ, ეროვნებით ავსტრიელმა, ხოლო გვარ-სახელით ალექს მანინგერმა მილანელ სუპერვარსკვლავს, ანდრეი შევჩენკოს პენალტი აუღო.

ასე და ამგვარად, „ფიორენტინას“ ახალ მწვრთნელს, ოტავიო ბიანკის ჩინებული სტარტი გამოუვიდა, ხოლო მილანელთა მწვრთნელს, კარლო ანჩელოტის კრიტიკოსები კვლავ ტყავს გააძრობენ, ფატიჰ თერიმის ნაცვლად მოსულმა უკეთესი ვერაფერი მოიფიქრეო.

თერიმი ნოემბერში გაუშვეს, მის ადგილას მისულმა ანჩელოტიმ კი საქმის დიდად გამოსწორება ვერ შეძლო — „მილანი“ მეხუთეზეა და „ინტერს“ 9 ქულით ჩამორჩება.

**ბაჩუნა ქედია**



ანდრეი შევჩენკო (მარჯვნივ) უგოლოდ დარჩა, პენალტიც ვერ გაიტანა

# პორტუგალია

## I ლიგა. XIX ტური

### ვარზიმი 2:1 სეტუბალი

0:1 რუი მიგელი (2), 1:1 პაულუ პიედადე (43), 2:1 ვინიციუსი (64)

### მარიტიმუ 3:1 ბეირა მარი

1:0 დანი (10), 2:0 გაუჩო გომეში (40), 2:1 ლობაუ კარვალიუ (51), 3:1 გაუჩო გომეში (89)

### ფერეირა 2:2 ალვერკა

1:0 გუვეია (44), 2:0 მაურო (49), 2:1 კუინზინიუ (81), 2:2 ზ. სუარეში (90)

### სანტა კლარა 1:1 ლეირია

1:0 დალსოტო (65), 1:1 დერლე სილვა (90)

### ბოავიშტა 2:0 პორტუ

1:0 ა. პეტი (44), 2:0 მარტელინიუ (90)

### სპორტინგი 2:0 ბელენენსეში

1:0, 2:0 ჟარდელი (28, 84)

### სალგეიროში 1:4 ბენფიკა

0:1 ჟულიო სეზარი (17), 1:1 ჟოაუ პედრუ (45), 1:2, 1:3 იანკაუსკასი (48, 73), 1:4 სიმაო (90)

### გიმარაეში 3:1 ფარენსე

0:1 აბრეუ (3პ.კ.), 1:1 გუგა სანტუში (45), 2:1 ფ. სუარეში (60), 3:1 რ. ალმეიდა (81)

### ბრაგა — ჟილ ვისენტე

წუხელ გვიან დამთავრდა (იხ. მეორე გვერდზე) და მისი შედეგი ცხრილში შეტანილი არაა

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სპორტინგი | 19 | 12 | 4 | 3 | 42:15 | 40 |
| ბოავიშტა | 19 | 12 | 3 | 4 | 33:13 | 39 |
| ბენფიკა | 19 | 9 | 8 | 2 | 33:21 | 35 |
| ლეირია | 19 | 9 | 7 | 3 | 34:17 | 34 |
| პორტუ | 19 | 10 | 3 | 6 | 31:18 | 33 |
| მარიტიმუ | 19 | 9 | 2 | 8 | 25:21 | 29 |
| გიმარაეში | 19 | 8 | 4 | 7 | 23:21 | 28 |
| ბელენენსეში | 19 | 8 | 4 | 7 | 26:28 | 28 |
| ფერეირა | 19 | 6 | 7 | 6 | 24:29 | 25 |
| ჟილ ვისენტე | 18 | 7 | 3 | 8 | 23:30 | 24 |
| სანტა კლარა | 19 | 6 | 6 | 7 | 17:24 | 24 |
| ბრაგა | 18 | 6 | 5 | 7 | 24:18 | 23 |
| სალგეიროში | 19 | 6 | 3 | 10 | 19:39 | 21 |
| ალვერკა | 19 | 5 | 4 | 10 | 24:37 | 19 |
| ბეირა მარი | 19 | 4 | 6 | 9 | 28:34 | 18 |
| ფარენსე | 19 | 5 | 3 | 11 | 15:30 | 18 |
| სეტუბალი | 19 | 4 | 5 | 10 | 20:24 | 17 |
| ვარზიმი | 19 | 3 | 5 | 11 | 15:37 | 14 |

## II ლიგა

მე-19 ტური: აკადემიკა — ოვარენსე 2:1; ამადორა — ფელგეირაში 3:1; მორეირენსე — ნაცალი 2:1; ავეში — ოლივეირენსე 2:0; შავეში — პორტიმონენსე 2:0; ლამაში — მაია 1:2; რიუ ავე — ლეცა 0:0; ნასიონალი — პენაფიელი 4:1; ესპინიუ — კამპომაიორენსე 2:1

# ბელგია

## I დივიზიონი. XIX ტური

### ლიერსი 3:3 ბევერენი

1:0 პიუსგემსი (18), 1:1, 1:2 დანილევიჩიუსი (21, 38), 2:2, 3:2 ტომპსონი (40, 43), 3:3 ვლამინკი (55)

ლიერსი: ვან დერ სტრაეტენი, შოძილაძე (გადიაგა 46), ნიკოლოვსკი, დე როეკი, სმეეტსი, კაციჩი, სესლარი (ფრიგარდი 74), ლეენი, სეელსი, ტომპსონი, პიუსგემსი

მწვრთნელი: რეჟი ვან ეკერი

2 000 მაყურებელი

### აალსტი 0:1 ვესტერლო

0:1 პელიჩი (26)

### ბრიუგე 2:4 ლოკერენი

1:0 ლანგე (26), 2:0 ენგელბერტი (29), 2:1 დე ბრუელი (36პ.კ.), 2:2 დე ბიული (38), 2:3 ბანგურა (55), 2:4 ზუნდი (63)

### ანდერლეხტი 5:2 ლუვიე

1:0 იესტროვიჩი (12), 1:1 უედეკი (42), 2:1 კრასონი (44), 3:1 ჰასი (50), 4:1, 5:1 დე ბილდე (58, 76), 5:2 ტილმანი (78)

### შარლერუა 3:1 მოლენბეკი

1:0 პივალიევიჩი (34), 1:1 ორიგი (36), 2:1, 3:1 ადელინო (57, 66)

### გენტი 1:1 მუსკრონი

0:1 გრეგორი (19), 1:1 კაკლამანოსი (52)

### ლომელი 0:1 სენტ ტრუიდენი

0:1 მიტროვიჩი (16)

### გენკი 2:1 ანტვერპენი

0:1 ლელეუ (3), 1:1, 2:1 სკოკო (6, 42)

### ბეერსხოტი — სტანდარდი გადაიდო

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გენკი | 19 | 12 | 6 | 1 | 56:25 | 42 |
| ბრიუგე | 19 | 13 | 1 | 5 | 44:24 | 40 |
| სტანდარდი | 18 | 12 | 4 | 2 | 38:18 | 40 |
| გენტი | 19 | 12 | 4 | 3 | 34:22 | 40 |
| ანდერლეხტი | 19 | 11 | 6 | 2 | 43:22 | 39 |
| ლოკერენი | 19 | 10 | 5 | 4 | 31:20 | 35 |
| ბეერსხოტი | 18 | 7 | 6 | 5 | 36:25 | 27 |
| სენტ ტრუიდენი | 19 | 7 | 4 | 8 | 27:28 | 25 |
| შარლერუა | 19 | 7 | 3 | 9 | 18:36 | 24 |
| მუსკრონი | 19 | 7 | 2 | 10 | 36:30 | 23 |
| ვესტერლო | 19 | 6 | 3 | 10 | 30:36 | 21 |
| ლომელი | 19 | 5 | 6 | 8 | 29:37 | 21 |
| ლიერსი | 19 | 4 | 6 | 9 | 29:34 | 18 |
| აალსტი | 19 | 5 | 3 | 11 | 19:42 | 18 |
| ანტვერპენი | 19 | 4 | 5 | 10 | 25:33 | 17 |
| მოლენბეკი | 19 | 5 | 2 | 12 | 24:36 | 17 |
| ლუვიე | 19 | 3 | 6 | 10 | 23:42 | 15 |
| ბევერენი | 19 | 1 | 6 | 12 | 20:52 | 9 |

## II დივიზიონი

21-ე ტური: მონსი — დენდერლეუვ 1:0; გეელი — დესელი 2:4; ჰეუსდენი — ჰამონი 0:0; მეხელენი — რუზელარე 2:2; სტრომბეეკი — ლიეჟი 1:3; ვიზე — სერკლი 0:1; ოსტენდე — ინგელმუნსტერი 1:2; ტიუბიზი — რონსე 1:2. ვირტონი — დაინცე გადაიდო

# შოტლანდია

## პრემიერლიგა. XXV ტური

### აბერდინი 0:1 რეინჯერსი

0:1 ამორუზო (34)

რეინჯერსი: კლოსი, რიკსენი, კ. მური, ლ. ამორუზო, კონტერმანი, ტ. ვიდმარი, ბ. ფერგიუსონი, რ. დე ბური, ფლო, შ. არველაძე, კანიჯა

მწვრთნელი: ალექს მაკლიში

მსაჯი: მაკკარი

17 846 მაყურებელი

### დანდი იუნაიტედი 1:0 დანდი

1:0 მაკინტაირი (90)

დანდი: სპერონი, სმიტი, დელ რიო, ფუ, ბეგეტო, რომანო, რაე (არტერო 25), ტორესი, კარანსა (მაკკეი 73), სარა, მილნი (კაბალიერო 61)

თემურ ქეცბაია, ზურაბ ხიზანიშვილი და გიორგი ნემსაძე ტრავმირებულნი არიან

მწვრთნელი: ივანო ბონეტი

12 851 მაყურებელი

### სელტიკი 2:1 სენტ ჯონსტონი

0:1 დ. დოდსი (6), 1:1 ლარსონი (9), 2:1 ტომპსონი (11)

### დანფერმლაინი 3:1 მოზერუელი

1:0 სკერლა (25), 2:0 მეისონი (49), 3:0 ბულენი (59), 3:1 მაკფადენი (77)

### ჰიბერნიანი 2:2 კილმარნოკი

1:0 ე. ურტადო (11), 2:0 ჯ. ფაულერი (63პ.კ.), 2:1 ტ. ჯონსონი (65), 2:2 კ. ბოიდი (90)

### ლივინგსტონი 2:0 ჰარტსი

1:0 ბინგემი (54), 2:0 დ. ფერნანდესი (66)

# აბერდინ, ორი ბიჭი შენ!

## ამბავი სამი ქულისა და თავში ჰენის დაშვენისა



სელტიკი — სენტ ჯონსტონი. გლაზგოელი ლუბომირ მორავჩიკის მაკრატელა

**აბერდინიდან** სამი ქულის წაღება პატარა ამბავი არ არის — შობა-ახალწლამდე იყო, იქაურებმა „სელტიკი“ თოვლის გუნდებით და ორი უპასუხო გოლით რომ დაბომბეს. ინციდენტი „აბერდინი“ — „რეინჯერსის“ მატჩშიც მოხდა. 25-ე წუთზე მასპინძელთა შუახაზელი რობი უინტერსი კუთხურის ჩასაწოდებლად ემზადებოდა, როცა მეტოქე გუნდის ფანების ტრიბუნიდან მას მონეტები დაუშინეს. ერთი მონეტა უინტერსს თავშიც კი მოხვდა. ტრავმა სერიოზული არ აღმოჩნდა, მაგრამ „აბერდინის“ გულშემატკივრები ისე გახელდნენ, რომ დაახლოებით ერთი ოცეული მინდორზე გადასხეს — ეს იყო უმოკლესი გზა „რეინჯერსის“ ფანთა ტრიბუნისკენ. მსაჯი მაიკლ მაკკარი ისე მოიქცა, როგორც უნდა მოქცეულიყო — ფეხბურთელებს გასახდელისკენ გაუძღვა. ფანები კი, საბედნიეროდ, მალე დამშვიდნენ, საქმეში პოლიცია ჩაერია და მატჩი 15-17 წუთის შემდეგ განახლდა.

ათ წუთში კი გოლიც გავიდა. ლორენცო ამორუზომ მეტოქეს ბურთი აართვა, წინ წაიწია და დაახლოებით 25 მეტრიდან დააქუხა — ბურთი ისე გაფრინდა, „აბერდინის“ მეკარე უძლური აღმოჩნდა.

ამის შემდეგ დიდად საინტერესო არაფერი მომხდარა. გუნდებმა ერთხელაც ვერ შექმნეს სახიფათო მომენტი. რაც შეეხება შოთა არველაძეს, ეს მისი ზედიზედ მესამე უგოლო პრემიერლიგური მატჩი გახლდათ. თუმცა ალექს მაკლიშს ჩვენებურზე აუგი არ დასცდენია.

„სელტიკს“ ვითომდა იოლად უნდა მოეგო ბოლოადგილოსან „სენტ ჯონსტონისთვის“, მაგრამ ასე არ მოხდა. აუტსაიდერმა ჩინებულად დაიწყო მატჩი, გოლიც გაიტანა, მაგრამ არ გაუმართლა. „სენტ ჯონსტონი“ ფრეს ნამდვილად იმსახურებდა, თუმცა გლაზგოელებმა კლასის და გამოცდილების ხარჯზე მაინც იმარჯვეს. „ჯონსტონიდან“ ძალიან აქებენ 25 წლის ნახევარმცველ პოლ ჰარტლეის. სწორედ მან გაატანინა გოლი დარენ დოდსს. გაზეთი „სანი“ ნიძლავსაც კი გამოდის, თუ „სენტ ჯონსტონი“ გავარდება, პოლ ჰარტლეი მაინც პრემიერლიგაში ითამაშებსო. თვით ჰარტლეიმ კი თქვა: „მთელი კვირა ვარჯიშებზე სულ იმაზე ვლაპარაკობდით, რომ როგორმე მატჩის დასაწყისში გაგვეტანა გოლი და 25-30 წუთში საპასუხო არ გაგვეშვა. მაგრამ „სელტიკმა“ მალევე გაათანაბრა...“

უქართველებოდ დარჩა „დანდი“, თემურ ქეცბაიას, ხიზანიშვილის და ნემსაძის დარად, მუხლმა უმუხთლა და სამატჩო განაცხადშიც ამიტომ ვერ აღმოჩნდა.

დანდური დერბი კი მართლაც შედგა. მატჩი თანაბარ ბრძოლაში წარიმართა და თვალსასეიროც გამოდგა. „დანდი“ მხოლოდ ბოლო წუთზე გატყდა — მის საჯარიმოში ჩაკიდებული ჯარიმა ჯიმ მაკინტაირმა თავურით აქცია გოლად.

თუ თავურებზე მიდგა საქმე, პირველ ტაიმში ფან ჟისაც უნდა გაეტანა, მაგრამ „იუნაიტედის“ მეკარე პოლ გილასერმა არ დაანება. ერთი სიტყვით, ორივე გუნდის გოლკიპერმა იყოჩაღა, თუმცა მათგან საუკეთესო მაინც ჯულიან სპერონი გახლდათ.

**დავით თაბართქილაძე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სელტიკი | 24 | 22 | 1 | 1 | 57:12 | 67 |
| რეინჯერსი | 24 | 16 | 6 | 2 | 53:17 | 54 |
| ლივინგსტონი | 24 | 12 | 7 | 5 | 35:20 | 43 |
| ჰარტსი | 25 | 10 | 4 | 11 | 34:31 | 34 |
| აბერდინი | 24 | 10 | 3 | 11 | 32:36 | 33 |
| კილმარნოკი | 24 | 9 | 5 | 10 | 25:28 | 32 |
| დანფერმლაინი | 24 | 9 | 4 | 11 | 28:38 | 31 |
| დანდი იუნაიტედი | 25 | 7 | 7 | 11 | 24:43 | 28 |
| დანდი | 23 | 7 | 5 | 11 | 23:35 | 26 |
| მოზერუელი | 25 | 6 | 6 | 13 | 32:48 | 24 |
| ჰიბერნიანი | 25 | 5 | 8 | 12 | 29:38 | 23 |
| სენტ ჯონსტონი | 25 | 3 | 4 | 18 | 16:42 | 13 |

## ბომბარდირები

| | |
|---|---|
| ლარსონი (სელტიკი) | 17 |
| ფლო (რეინჯერსი) | 15 |
| ჰარტსონი (სელტიკი) | 11 |
| არველაძე (რეინჯერსი) | 9 |
| უინტერსი (აბერდინი) | 9 |

## პირველი დივიზიონი

24-ე ტური: ერდრი — ინვერნესი 3:0; არბროთი — ფოლკირკი 0:1; ეარი — კლაიდი 0:1; რეით როვერსი — სტ. მირენი 1:0; როს ქაუნთი — პარტიკ თისლი 0:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პარტიკ თისლი | 23 | 15 | 4 | 4 | 44:23 | 49 |
| ერდრი | 21 | 13 | 7 | 1 | 43:15 | 46 |
| ეარი | 23 | 9 | 4 | 10 | 36:33 | 31 |
| ინვერნესი | 23 | 9 | 3 | 11 | 45:38 | 30 |
| სტ. მირენი | 22 | 7 | 8 | 7 | 24:27 | 29 |
| კლაიდი | 22 | 8 | 5 | 9 | 27:37 | 29 |
| ფოლკირკი | 21 | 8 | 4 | 9 | 34:39 | 28 |
| არბროთი | 22 | 8 | 1 | 13 | 25:44 | 25 |
| როს ქაუნთი | 21 | 6 | 3 | 12 | 22:31 | 21 |
| რეით როვერსი | 22 | 4 | 7 | 11 | 31:44 | 19 |

## მეორე დივიზიონი

22-ე ტური: ბერიკი — მორტონი 0:0; კლაიდბენკი — ქუინზ პარკი ... — ქოუდენბითი 1:0; ფორფარი — ალოა 4:1; ჰამილტონი — სტრენრარი 2:0; ქუინ ოფ საუთ — სტენჰაუზმური 1:0

## მესამე დივიზიონი

22-ე ტური: ალბიონი — ისტ სტირლინგი 5:1; ბრეჩინი — ელგინი 1:0; ისტ ფაიფი — მონტროუზი 2:0; ქუინზ პარკი — პიტერჰედი 2:0; სტირლინგი — დამბარტონი 2:1

# კონკაკაფის ოქროს თასი



სალვადორელი ხორხე როდრიგესი მექსიკელ ტომას კამპოსს წამოეწია

## A ჯგუფი

მექსიკა — სალვადორი 1:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მექსიკა | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 3 |
| სალვადორი | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | 0 |
| გვატემალა | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 |

გუშინ: მექსიკა — გვატემალა

ხვალ: გვატემალა — სალვადორი

## B ჯგუფი

აშშ — სამხრეთ კორეა 2:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| აშშ | 1 | 1 | 0 | 0 | 2:1 | 3 |
| სამხ. კორეა | 1 | 0 | 0 | 1 | 1:2 | 0 |
| კუბა | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 |

გუშინ: კუბა — აშშ ხვალ: სამხრეთ კორეა — კუბა

## C ჯგუფი

კოსტა რიკა — მარტინიკა 2:0; კოსტა რიკა — ტრინიდადი და ტობაგო 1:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კოსტა რიკა | 2 | 1 | 1 | 0 | 3:1 | 4 |
| ტრინიდადი | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 1 |
| მარტინიკა | 1 | 0 | 0 | 1 | 0:2 | 0 |

დღეს: ტრინიდადი და ტობაგო — მარტინიკა

## D ჯგუფი

კანადა — ჰაიტი 2:0; ჰაიტი — ეკვადორი 2:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კანადა | 1 | 1 | 0 | 0 | 2:0 | 3 |
| ჰაიტი | 2 | 1 | 0 | 1 | 2:2 | 3 |
| ეკვადორი | 1 | 0 | 0 | 1 | 0:2 | 0 |

დღეს: კანადა — ეკვადორი



REUTERS

ლანსი — მარსელი. მასპინძელი დანიელ მორეირა: ზოგჯერ ბურთს კაცი გადააფრინდება

# მესამე, მეოთხე, მეხუთე... პირველი ამათთან სუსტია

## საფრანგეთი

### თასის მეთექვსმეტედფინალი

ისი-ლე-მულინო (VIII) — ამიენი (I) 0:1; სენ ბრიესტი (IV) — ნანსი (I) 0:2; შანჟე (V) — რეიმსი (III) 0:3; მონტანარდე (VI) — ლა რომ-სიურიონი (III) 4:2; ლანსი — მარსელი 0:1; ლუსიტანოსი (III) — ბორდო 2:0; ლიბურნი (IV) — მეცი 2:1დ.დ. (1:1); რენი — ლორიანი 1:2; ბასტია — სოშო 2:1დ.დ. (1:1); ლავალი (I) — ნიმი (I) 0:0 (პენ.3:5); ლიონი — შატორუ (I) 0:2; იზიური (V) — პსჟ 0:1; ლუან-კუიზო (III) — გენგამი 2:0; მონაკო — მონპელიე 2:1. სედანი — აიაჩო (I) და სტრასბური (I) — ტრუა გადაიდო

**რად სჭირდებათ** ამდენი ვარსკვლავები ფრანგულ ვაი-გრანდებს? იმისთვის, რომ „ბორდომ“ საფრანგეთის თასის მეორე ეტაპზე მწარედ წააგოს მესამედივიზიონელ „ლუსიტანოსთან“?! ეს სახელი ჩვენ არაფერს გვეუბნება, ან რას იტყვით „ლიბურნ სენსერინზე“? მოგახსენებთ, მეოთხე დივიზიონის ბინადარმა „ლიბურნმა“ „მეცი“ იმსხვერპლა. ძირითადი დრო ფრედ 1:1 დასრულდა, თუმც 118-ე წუთზე ლიბურნელმა პატრიკ მორომ გამარჯვებისა შეაგდო.

„მეცის“ მარცხმა პირდაპირპროპორციულად იმოქმედა მის მწვრთნელზე, ალბერ კარტიეზე. კლუბის პრეზიდენტმა კარლო მოლინარიმ კარტიეს შერცხვენა არ აპატია და უმუშევრად დატოვა. მისი ადგილი დროებით მეორე მწვრთნელმა ფრანსის დე ტადეომ ჩაიბარა.

თუ დღეს „მეცი“ დიდი ვერაფერი ხვითოა, „შატორუს“ მიერ „ლიონის“ დაჩოქებამ დიდი გნიასი გამოიწვია. „ლიონის“ თავკაცი ჟაკ სანტინი: „ვაღიარებ, რომ ეს დიდი მოულოდნელობაა. ჩემ თავს ვეკითხები — რატომ წავაგეთ? — იმიტომ, რომ დავიღალეთ? კი, მაგრამ, „შატორუმაც“ ხომ მესამედ ითამაშა ამ კვირაში? — ჩანს, მიზეზი სხვაგან უნდა ვეძიოთ და ვფიქრობ, მე მას მივაგნებ“.

ჟაკ სანტინი როდის მიაგნებს მიზეზს არ ვიცით, მაგრამ ბერნარ ტაპიმ და მარსელის „ოლიმპიკის“ მწვრთნელმა ალბერ ემონმა, ალბათ, გუნდის ახალი ლიდერი აღმოაჩინეს. მადრიდის „რეალიდან“ გადმოყვანილმა ალბერტო რივერას გოლმა თასის გათამაშებას „ლანსი“ ჩამოაცილა. ეს იყო ლანსელთა პირველი მარცხი მშობლიურ მოედანზე ამ სეზონში. აქვე შეგახსენებთ, რომ „ლანსი“ ლიგის თასიდან „მონაკომ“ მიაბრძანა და საფრანგეთის ჩემპიონატის ლიდერს პერსპექტივაში ჩემპიონობაღა დარჩა.

„მონაკოს“ თემა განვაგრძოთ და აღვნიშნოთ დიდიე დეშანის გუნდის წარმატებული სვლა როგორც ლიგის, ისე საფრანგეთის თასის გათამაშებაში. „მონაკომ“ „მონპელიე“ მინიმალური სხვაობით დაამარცხა და მერვედფინალში გავიდა.

ბოლოს პსჟ-ც ვახსენოთ, რამეთუ პარიზელებმა სტუმრად, რის ვაი-ვაგლახით, მეხუთე (!) დივიზიონელ „იზიურს“ უშეღავათო ბრძოლაში ოდენ 1:0 სძლიეს.

**ვაჟა ხუციშვილი**

### მეორე დივიზიონი

გადადებული მატჩები: ვასკეალი — ლე მანი 1:1; სენტ ეტიენი — გრენობლი 1:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბოვე | 23 | 11 | 9 | 3 | 26:12 | 42 |
| აიაჩო | 23 | 11 | 7 | 5 | 30:18 | 40 |
| სტრასბური | 20 | 11 | 6 | 3 | 29:12 | 39 |
| ლე ავრი | 21 | 9 | 9 | 3 | 28:14 | 36 |
| ლე მანი | 23 | 9 | 7 | 7 | 25:25 | 34 |
| ნიცა | 23 | 10 | 3 | 10 | 31:26 | 33 |
| კაენი | 23 | 8 | 8 | 7 | 33:34 | 32 |
| ამიენი | 22 | 8 | 7 | 7 | 28:25 | 31 |
| შატორუ | 20 | 8 | 5 | 7 | 23:20 | 29 |
| გენიონი | 21 | 6 | 11 | 4 | 23:24 | 29 |
| ნანსი | 20 | 7 | 7 | 6 | 24:20 | 28 |
| გრენობლი | 23 | 7 | 7 | 9 | 21:32 | 28 |
| ლავალი | 22 | 7 | 6 | 9 | 24:30 | 27 |
| ნიორი | 23 | 5 | 11 | 7 | 25:27 | 26 |
| ვასკეალი | 23 | 7 | 5 | 11 | 24:32 | 26 |
| კრეტეი | 23 | 5 | 8 | 10 | 23:29 | 23 |
| სენტ ეტიენი | 21 | 5 | 8 | 8 | 21:30 | 23 |
| ისტრი | 22 | 4 | 9 | 9 | 18:25 | 21 |
| მარტიგი | 22 | 5 | 6 | 11 | 17:29 | 21 |
| ნიმი | 22 | 3 | 9 | 10 | 19:28 | 18 |

# ტრაბზონს ისე არ ასცდება, როგორც...

ეროვნული ბიბლიოთეკა



ტრაბზონი — ბეშიქთაში. ტრაბზონელმა ფანობამ 0:5 იწყინა

## თურქეთი

მე-18 ტური: სამსუნი — ფენერბაჰჩე 1:0; დიარბაქირი — გენჩლერბირლიგი 1:2; მალათია — ისთანბული 2:0; ანკარაგიუჯიუ — ანთალია 2:0; გალათასარაი — გაზიანთეფი 2:0; ბურსა — გიოზთეფე 0:0; იოზგათი — დენიზლი 0:1; ქოჯაელი — რიზე 2:1; ტრაბზონი — ბეშიქთაში 0:5-ზე ჩაიშალა

**„ტრაბზონისა“** და „ბეშიქთაშის“ მატჩის დასრულებამდე რამდენიმე წუთით ადრე ტრიბუნებზე ისეთი რიარია ატყდა, რომ მსაჯი იძულებული გახდა, შეხვედრა დროზე ადრე შეეწყვიტა. მიზეზი კი მასპინძელთა კარში შეგორებული ხუთი უპასუხო ბურთი გახლდათ, რამაც ტრაბზონელი ფანები ისე განარისხა, იქაურობა ცეცხლს მისცეს ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით. მერე ქვების სროლასაც მიჰყვეს ხელი და თამაშიც შეწყდა.

ფულადი ჯარიმა და სტადიონის დისკვალიფიკაცია მასპინძლებს კისერზე ადევთ. რა და როგორ იქნება, ამას მაღლა, თურქეთის ფეხბურთის ფედერაცია გაარკვევს. აღსანიშნავია, რომ „ტრაბზონის“ მწვრთნელიც, გერმანელია — ჰანს პეტერ ბრიგელი, წარსულში ცნობილი ფეხბურთელი ისევე როგორც „ბეშიქთაშის“ თავკაცი, კრისტოფ დაუმი (კოკაინის ცნობილი მყნოსავი). ჰოდა, დაუმს თვისტომი რომ დაენდო და ერთით ან ორით ნოლი მოეგო, ასეთი ამბავი, ალბათ, არ ატყდებოდა.

არც მესამე გერმანელს, „ფენერბაჰჩეს“ დამრიგებელს, ვერნერ ლორანტს გაუთენდა ნათელი დღე. პირველივე მატჩი მისმა „ფენერმა“ „სამსუნთან“ დათმო.

პირველ წრეში „სამსუნმა“ მხოლოდ ერთი საშინაო შეხვედრა გამართა, დანარჩენები კი სტუმრად. ეს იმიტომ, რომ სტადიონი წესრიგში არ ჰქონდა. აქედან მოყოლებული „სამსუნი“ მხოლოდ მასპინძელი იქნება და ერთადერთი გასვლითი თამაში სტამბოლში „ბეშიქთაშთან“ უწევს.

**ვაჟა ხუციშვილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გალათასარაი | 18 | 13 | 3 | 2 | 48:23 | 42 |
| ბეშიქთაში | 17 | 11 | 3 | 3 | 45:23 | 36 |
| ფენერბაჰჩე | 18 | 11 | 1 | 6 | 36:20 | 34 |
| ანკარაგიუჯიუ | 18 | 9 | 3 | 6 | 42:28 | 30 |
| ისთანბული | 18 | 9 | 3 | 6 | 19:17 | 30 |
| გაზიანთეფი | 18 | 8 | 4 | 6 | 25:21 | 28 |
| ქოჯაელი | 18 | 8 | 4 | 6 | 26:27 | 28 |
| ბურსა | 18 | 8 | 3 | 7 | 22:26 | 27 |
| ტრაბზონი | 17 | 7 | 4 | 6 | 28:21 | 25 |
| დენიზლი | 18 | 5 | 6 | 7 | 31:25 | 21 |
| დიარბაქირი | 18 | 6 | 3 | 9 | 29:34 | 21 |
| სამსუნი | 18 | 6 | 3 | 9 | 17:26 | 21 |
| გიოზთეფე | 18 | 5 | 6 | 7 | 13:30 | 21 |
| რიზე | 18 | 4 | 7 | 7 | 21:24 | 19 |
| გენჩლერბირლიგი | 18 | 4 | 6 | 8 | 26:35 | 18 |
| ანთალია | 18 | 4 | 5 | 9 | 24:41 | 17 |
| იოზგათი | 18 | 4 | 4 | 10 | 24:33 | 16 |
| მალათია | 18 | 5 | 0 | 13 | 15:37 | 15 |

# მანჩესტერი VS ლივერპული

## დღეს „ოლდ ტრეფორდი“ გადადებული მატჩი 24.00



„ლივერპულის“ და „მანჩესტერის“ ბოლო მატჩი მაიკლ ოუენისა (№10) იყო

## ოღონდ დაცვას ელვიძოს

**შარშან**, 4 ნოემბერს, „ლივერპულმა“ „ენფილდ როუდზე“ „მანჩესტერ იუნაიტედს“ უმასპინძლა და 3:1 დაამარცხა. აქედან ორი გოლი მაიკლ ოუენმა გაიტანა. ეს გამოდგა ლივერპულელთა ზედიზედ მეოთხედ მოგებული მატჩი ისტორიული მეტოქის წინააღმდეგ.

იმის მერე ორ თვეზე მეტი გავიდა და პრემიერლიგაშიც ბევრი რამ შეიცვალა. კერძოდ ის, რომ სერ ალექს ფერგიუსონის გუნდმა აღმასვლა იწყო, რითაც ცხრილს სათავეში ჩაუდგა, ხოლო ფილ ტომპსონის არმიამ უფერული თამაშით პირველი ადგილი დათმო. ისიც უნდა ვთქვათ, რომ ცოტა ხნის წინ „ლივერპული“ ქულათა გვარიანი სხვაობით უსწრებდა „იუნაიტედს“ და მომავალ ჩემპიონადაც უფრო მეტად ენფილდელებს მიიჩნევდნენ, ვიდრე ოლდტრეფორდელებს.

დღევანდელ შეხვედრაში ორივე გუნდიდან, ალბათ, განსაკუთრებით თავდამსხმელებს — რუუდ ვან ნისტელროის და მაიკლ ოუენს მიაქცევენ მცველები ყურადღებას. აგერ უკვე რვა ტურია, რაც ჰოლანდიელი ფორვარდი მოედანს უგოლოდ არ ტოვებს, რითაც პრემიერლიგის ახალი რეკორდი დაამყარა.

ოუენის შედეგი ამასთან შედარებით მოკრძალებულია, მაგრამ მაინც ვთქვათ — 6 გოლი ბოლო 11 შეხვედრაში.

ცალკე უნდა ითქვას ნორვეგიელ ნახევარმცველ იონ არნე რიისეს შესახებაც, რომელმაც გოლების გატანას უხშირა. ჩვენ კი არა, ფილ ტომპსონმაც აღნიშნა ამის თაობაზე: „მაიკლ ოუენი მართლაც წარმატებულ სეზონს ატარებს, ბოლო ხანს მას რიისეც აჰყვა და გოლების გატანას უხშირა. ემილ ჰესკის ამ სეზონში ბევრი ვერ გააქვს, თუმც საერთო ჯამში მის თამაშს დადებითად ვაფასებ“ — თქვა მწვრთნელის მოვალეობის შემსრულებელმა.

სტატისტიკოსებმა კი ასეთი რამეც გამოთვალეს: „ლივერპულის“ ნახევარმცველებმა ამ სეზონში სულ 15 გოლი გაიტანეს, აქედან ბოლო სამ თვეში ხუთჯერ გამოიჩინეს თავი.

აქვე ისიც ვთქვათ, თუ რას წერს ბრიტანული პრესა „იუნაიტედზე“: „მანჩესტერის“ ბოლოდროინდელი შედეგების გათვალისწინებით, ალექს ფერგიუსონს თავდასხმის ხაზისთვის საყვედური არ ეთქმის. მან ისიც იცის, რომ თუ დაცვამ ჩათვლიმა, ეს შესაძლოა მის გუნდს ძვირად დაუჯდეს და ამით მოგებათა სერიაც შეწყვიტოს“.

დაცვის ხაზზე ყურადღების გამახვილება რომ მართებს, ამას სერ ალექსიც არ მალავს.

**ნიკა შუბლაძე**

*პრემიერლიგაში (1992 წლიდან) 19 თამაშიდან 8 მოიგო მანჩესტერმა, 5 — ლივერპულმა, ხოლო 6 შეხვედრა ფრედ დამთავრდა*

*სულ ეს გუნდები (პრემიერლიგა, ინგლისის ჩემპიონატი, ინგლისის თასი, ლიგის თასი, ევროტურნირები) 137-ჯერ შეხვდნენ ერთმანეთს, „მანჩესტერმა“ მოიგო 48, „ლივერპულმა“ — 47, ფრედ 42 მატჩი დასრულდა*

*„ლივერპულმა“ „ოლდ ტრეფორდზე“ პრემიერლიგაში 9 თამაში ჩაატარა. 1 მოიგო მანჩესტერმა, 4 მოიგო „ლივერპულმა“, 4 მატჩი ფრედ დასრულდა*

*„ლივერპულმა“ „მანჩესტერს“ ბოლო 4 მატჩიდან ოთხივე მოუგო.*

*„ლივერპული“ ბოლო 5 შეხვედრაში არ დამარცხებულა „მანჩესტერთან“, აქედან ორი შეხვედრა „ოლდ ტრეფორდზე“ ჩატარდა*

*პრემიერლიგის დაარსების შემდეგ „ლივერპულმა“ „ოლდ ტრეფორდზე“ პირველად 2000 წლის 17 დეკემბერს მოიგო (1:0)*

*მანჩესტერში „ოლდ ტრეფორდზე“ ჩატარებულ ბოლო ოთხ შეხვედრაში „ლივერპული“ მხოლოდ ერთხელ დამარცხდა*

*თუ „ლივერპულმა“ ამ სეზონში „მანჩესტერს“ მეორე შეხვედრაც მოუგო, ასეთი მიღწევა მისთვის 1895 წლის შემდეგ მერვე გამოდგება*

Cup of Nations 2002

# აფრიკის ეროვნებათა თასი 2002 (მალი). 19 იანვარი — 10 თებერვალი

## ალაგ წითელ, ალაგ ყვითელ — აფრიკა მალის ფერია

### A ჯგუფი. I ტური

**მალი 1:1 ლიბერია**

0:1 ვეა (45), 1:1 კეიტა (87)

**მალი:** მ. სიდიბე, ა. კულიბალი, ფ. დიაკარა, ბ. დიარა, ა. კამარა (ა. დიაკიტე 21), კეიტა, ბ. ტურე, ი. კულიბალი (დისა 60), მ. დიარა, ჯ. სიდიბე (დ. კულიბალი 71), ბაგაიოკო

**ლიბერია:** ბრეიტონი, რობერტსი, გებრო, დიქსონი, კოჯო, სებვე მაკორი, დეიე, სეტორი (მენიონგარი 79), ვეა, დება

მსაჯი: აბდელაკიმ შელმანი (ლიბია)

60 000 მაყურებელი

### B ჯგუფი. I ტური

**ბურკინა ფასო 0:0 სამხრეთ აფრიკა**

**ბურკინა ფასო:** კაბორე, ბ. სისე, ტალი, ტასემბედო, უატარა, დოსამა, პენანდეტიგირი, ა. ტურე (კამბუ 51), იამეოგო (სანუ 53), ბარო (უედრაოგო 67), დაგანო

**სამხრეთ აფრიკა:** ვონკი, მაბიზელა, კარნელი, ისა, მოკოენა, ტინკლერი, ფორჩუნი (მნგუმნი 58), ზუმა, ბაკლი, მაკკარტნი (ნომვეტე 69), ბარტლეტი (აუგუსტი 17)

მსაჯი: ფალა ნდოიე (სენეგალი)

13 000 მაყურებელი

### C ჯგუფი. I ტური

**კამერუნი 1:0 კონგოს დრ**

1:0 მბომა (40)

**კამერუნი:** ალიუმი, ჯერემი, სონგი, კალა, ჩატო, ფოე, ლორენი, ოლემბე (დიკა 60), ვომე, მბომა, ეტოო (სუფო 90)

**კონგოს დრ:** ტოკალა, კაიემბე, კისომბე, იუვულადიო, ბაკასუ, მაიელე (მზიავანგა 62), მბაიო, კიფუ (ტეკუმუ 69), ბუკასა, ნონდა (ლისასი 85), ლუა-ლუა

მსაჯი: კოფი კოდიჯა (ბენინი)

15 000 მაყურებელი

### D ჯგუფი. I ტური

**ეგვიპტე 0:1 სენეგალი**

0:1 დიაწა (83)

**ეგვიპტე:** ელ ჰადარი, ომარა, ჰ. რამზი, ელ საკა, ჰ. საიდი, რადვანი, ტ. საიდი, ბარაქათი (ფაჰმი 75), ჰასანი, ბებო (ემამი 75), ჰოსამი

**სენეგალი:** სილვა, დაფი, სარი (დიოპი 84), კოლი, ა. სისე, ა. კამარა, ფადიგა, დიუფი, დიაწა, ნდიაე (ტიავუ 69), დიაო

მსაჯი: მოჰამედ გუეზაზი (მაროკო)

15 000 მაყურებელი

**განელთათვის** 26 მარტი იგივეა, რაც ქართველთათვის 26 მაისი და ახალაშენებულ „26 მარტზე“, სამოცი ათასი კაცის თვალწინ აფრიკის ეროვნებათა თასის 23-ე გათამაშება დაიწყო, რომელიც მალი — ლიბერიის მატჩით გაიხსნა.

სტადიონი, ცხადია, მალურ წითელ-ყვითელ-მწვანე ფერებით იყო „შემოსილი“, ხოლო ადგილობრივი პოლიცია სარბიელის გარეთ თავმოყრილ უბილეთო ქომაგებს ებრძოდა. აბა, საიდან უნდა ჰქონოდათ საწყალ გალელებს (უფრო სწორად, მათ უმრავლესობას) ბილეთის ფული (თან ამდენი ადგილიც სადაა სტადიონზე), როცა დასავლეთ აფრიკის უდიდესი ქვეყანა მსოფლიოში ერთ-ერთ უღარიბესად ითვლება ერთ სულ მოსახლეზე წელიწადში 250 დოლარი შემოსავლით. მალელებს ისიც კი ვერ გაუგიათ, სად იშოვა მთავრობამ ის ასი მილიონი დოლარი, კონტინენტის პირველობის გამართვას რომ დასჭირდა.

თუმცა ფეხბურთთან ყოველივე ამას რა საერთო აქვს? ბევრიც არაფერი. ამიტომ ვთქვათ, რომ ამხელა მსხვერპლის გამღები მალელები ჟორჟ ვეამ არ გაახარა და მათ ნაკრებს ჩემპიონატის პირველი გოლი გაუტანა. ვეა კი ვინც არის, მოგეხსენებათ — 1995 წლის მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელი, ლიბერიის ნაკრების კაპიტანი და იმავდროულად მწვრთნელიც და ნაკრების ტექნიკური დირექტორიც. მოკლედ, ჟორჟ ვეა თავად არის ლიბერიის ნაკრები.

გოლის გატანის მიუხედავად, ვეამ მატჩის შემდეგ თქვა, უკმაყოფილო ვარ, სამი ქულა გვეკუთვნოდა და ოდენ ერთს დავჯერდითო.

ლიბერიელებმა ქულა კი იმიტომ მიიღეს, რომ თამაშის მიწურულს, 87-ე წუთზე ლორიანელმა სეიდუ კეიტამ გაათანაბრა, რაც ტურნირის მასპინძელთათვის გვარიანი შვება იყო. მაგრამ დახეთ, ზოგი ამბობს, კეიტას გოლი რა შუაშია, ფულს დახარბებულმა ლიბერიელებმა უჯიგროდ ითამაშეს და ფრეზე უკეთეს შედეგს იმიტომ ვერ გამორჩნენო. შეგახსენებთ, რომ ლიბერიელები (ვეას გარდა) ჩემპიონატში თამაშს უარობდნენ, ფედერაციამ კლუბებში გაცდენილი დროისთვის პრემიები გადაგვიხადოსო და სანამ დაპირება არ მიიღეს, ანუ მატჩამდე ორი დღით ადრე, არც უვარჯიშიათ. ეს არგუმენტი სიმართლესთან ახლოს უნდა იყოს, მაგრამ აი, რას ამბობს ლიბერიელი ნახევარმცველი კელვინ სებვე თანაგუნდელთა სახელით: „თამაშის დროს ფულზე სულაც არ ვფიქრობდით, თუმცა ისიც სათქმელია, რომ დაპირებული პრემიები ჯერაც არ მიგვიღია“. ამაზეა ნათქვამი, ფიცი მწამს, ბოლო მაკვირვებსო. ვერმოგება კი სებვემ ასე ახსნა: „შეტევაში კარგად ვირჯებოდით და თუ ვერ მოვიგეთ, მცველთა ბრალია“. ესეც თქვენ ნაკრების ერთსულოვნება.

მალელთა პოლონელმა მწვრთნელმა ჰენრი კასპერჩაკმა კი აღნიშნა: „ჩემპიონატის პირველი მატჩი ყოველთვის მძიმე სათამაშოა, მით უმეტეს, როცა მასპინძელი ხარ — ორმაგი წნეხის ქვეშ ხარ მოქცეული. კმაყოფილი ვარ, რომ ეს გამოცდა ცუდად არ ჩაგვიბარებია“.

შაბათს, ჩემპიონატის გახსნის დღეს, ეს ერთი თამაში იყო, კვირას კი კიდევ სამი გაიმართა.

მსოფლიოს ჩემპიონატზე გასულმა სენეგალმა D ჯგუფში დაამარცხა ეგვიპტე, თუმც ეს გამარჯვება იოლად არ მოუპოვებია. მატჩის დასრულებამდე შვიდი წუთით ადრე ფრანგულ „რენში“ მოთამაშე მცველს, ლიმი დიაწას შორეული, მაგრამ ზუსტი თავური რომ არა, აქაც ფრე იქნებოდა.

თამაში ეგვიპტულ „ფარაონთა“ იერიშებით დაიწყო და მთელი პირველი ტაიმი ასე გაგრძელდა, მაგრამ ბევრჯერ თქმული ერთხელაც გავიმეოროთ — კარგი თამაში ისაა, გოლს რომ გაიტან, ეგვიპტელებმა კი ეს ვერ შეძლეს.

შესვენების მერე აფრიკული ფეხბურთის ახალმა ფავორიტებმა იძალეს და რომ არა ეგვიპტელი მეკარის ესამ ელ ჰადარის ყოჩაღობა, გოლს ბევრად ადრეც გაიტანდნენ. იყოჩაღაო, ვთქვით და ელ ჰადარიმ ლანსელ ელ ჰაჯი დიუფსა და სედანელ ანრი კამარას რამდენიმე ისეთი ბურთი აუღო, ოლივერ კანს შეშურდებოდა. ისე კი აღვნიშნოთ, რომ სენეგალის ნაკრების წევრთა უმრავლესობა ფრანგული დივიზიონის მოთამაშეა. ოღონდ ერთიცაა, რამდენიც უნდა ვაქოთ, ეგვიპტელი მეკარე, ის გვიანი გოლის მის სინდისზეა: სენეგალელებმა კუთხური ჩააწოდეს და ელ ჰადარიმ მოიგერია, იქ კი, საჯარიმოს გარედან, ბურთს თავი დაჰკრა და სენეგალიც ჯგუფის ლიდერად იქცა.

მატჩის მერე დიუფი წუწუნებდა: „რამდენიმე ისეთი მომენტი გავაფუჭე, ჩემი თავისთვის ვერ მიპატიებია, თუმცა დარწმუნებული ვარ, ტურნირზე ბევრ გოლს გავიტან, თან უფრო რთული პოზიციიდან. ახლა კი მთავარი ის იყო, რომ მოვიგეთ“.

თამაშის მომგებმა დიატამ კი განაცხადა: „პირველ ტაიმში დაცვაში ვცოდავდით და რაკი ზურგი მოშიშვლებული გვქონდა, ჩვენი თავდამსხმელები თამამად ვერ უტევდნენ. შესვენების შემდეგ თამაში გამოვასწორეთ და შედეგიც მივიღეთ“.

სხვათა შორის, ეგვიპტე და სენეგალი მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპზეც ერთ ჯგუფში იყვნენ და ეგვიპტე ერთადერთი გუნდი გამოდგა, რომლის დამარცხებაც პირველადგილოსანმა სენეგალელმა „ლომებმა“ ვერ შეძლეს.

აფრიკული ფეხბურთის დიდი მცოდნეობა სულაც არ არის საჭირო, სამხრეთ აფრიკის ნაკრები ბურკინა ფასოსთან B ჯგუფის პირველ მატჩში უდავო ფავორიტად რომ მიგვეჩნიათ. მაგრამ ეგრე სად არის, ყველა მატჩი ლოგიკურად მთავრდებოდეს. ასე მოხდა — თავგამოდების მიუხედავად, სამხრეთელებმა გოლი ვერ გაიტანეს, თუმცა ამ უგოლო ფრეში ლოგიკაც არის — „ბაფანა ბაფანამ“ კაპიტანი და უპირველესი მეგოლე შონ ბარტლეტი გამიზეზებული მუხლის ტრავმის გამო მე-17 წუთზევე დაკარგა, რის გამოც კარგად დაწყებულ იერიშებს დაგვირგვინება არ უვარგოდა. ეს საქმე კი ბენი მაკარტის ევალებოდა. რამდენიმე შანსი ჰქონდა სიბუსისუ ზუმასაც და ვერც მან ივარგა.

სამხრეთაფრიკელთა შეტევებიდან გამომდინარე, რაც თავიდანვე მოსალოდნელი იყო, ბურკინაფასოელთა მწვრთნელებმა — პიერი ვებოანგამ და ჟაკ იამეოგომ თავიანთი თამაში კონტრშეტევებზე ააგეს და ცოტა იღბალიც რომ ჰქონოდათ, მცირე სენსაციას დიდად აქცევდნენ. ამათგან ბრწყინვალე შანსი ჰქონდა ბელგიურ „გენკში“ დაბანაკებულ მუშუნი დაგადოს, მაგრამ მაკარტიზე და ზუმაზე მეტს ვერც ის გამორჩა.

სამხრეთელებს ერთი მომენტიც გაუჩნდათ, მაგრამ მსაჯმა გატანის საშუალება არ მისცათ — ერიკ ტინკლერს საგოლედ უნდა მოექნია არბიტრმა რომ ჩასტვინა, იქამდე ბურთიმე მომხვდა და ტინკლერს ისე მიუვიდა, ამიტომ გაგრძელება არ ეგებისო.

უგოლო ფრე კი ყველაზე დიდი დარტყმა სამხრეთაფრიკელთა მწვრთნელისთვის, მოზამბიკელ კარლოს კეიროსისთვის გამოდგა. მას ისედაც ლანძღავდნენ, ბოლო ექვს თვეში ხეირიანი არაფერი გაგიკეთებიაო და საწყალს კიდევ ეს უნდოდა?

ჩემპიონმა კამერუნმა 1:0 მოუგო დემოკრატ კონგოელებს — ესენი C ჯგუფში თამაშობენ. ანგარიში შთამბეჭდავი არ გახლავთ, მაგრამ ევროპელ ბობოლა გუნდებში მოთამაშე კამერუნელების მოგება რა გასაკვირია. თუმცა არც ასეა საქმე. „მოუთვინიერებელი ლომები“, ერთადერთი აფრიკული გუნდი მსოფლიოს ჩემპიონატის მეოთხედფინალში რომ გაუღწევია, დაცვაშიც ბევრს სცოდავდა და თავდასხმაშიც. მხოლოდ პირველ ტაიმში კამერუნელი ფორვარდები ექვსჯერ ჩარჩნენ ოფსაიდში. რაღაც სჭირდა პარმელ პატრიკ მბომასაც, რომელმაც ორი ისეთი მომენტი გააფუჭა, კაცი უკეთესს ვერ ინატრებდა.

თავის მხრივ კარგი შანსი ჰქონდათ კონგოელებსაც, ნიუკასლელმა ტრეზორ ლამინა ლუა-ლუამ გვარიანად ანერვიულა კამერუნელი მცველები, მაგრამ მიზანი მანაც ვერ გაისწორა. ისევ მბომამ ივარგა და კამერუნელებს პირველი მატჩის მოაგებინა.

ბოლოს კი ეს ვთქვათ: მალელები დიდი ზარ-ზეიმით შეუდგნენ აფრიკის თასის გათამაშების სამასპინძლოდ მზადებას. სოფლის მშენებლობაც კი წამოიწყეს, სადაც თექვსმეტივე ნაკრებს ერთად უნდა ეცხოვრა, მაგრამ საქმე მიაგდეს (ხომ არ გეცნობათ?) და მალიში ჩასულმა ფეხბურთელებმა იქაურ მშენებელთა ნაცოდვილარს რომ შეხედეს, ძვირადღირებულ სასტუმროებში დაბინავება ამჯობინეს.

**გიორგი დარჯანია**




სენეგალელმა ელ-ჰაჯი დიუფმა ეგვიპტელ მოჰამად ომარას ბურთი არ დაანება

REUTERS



არაფერი შეგეშალოთ: მალელმა პოლიციელმა მალელ გულშემატკივარს მალი — ლიბერიის მატჩის წინ თავისი ადგილი მიუჩინა

REUTERS

# კიდევ ერთი

## რიო დე ჟანეიროში ვავა გარდაიცვალა



**რიო დე ჟანეიროს** გულის კლინიკაში 67 წლისა ალესრულა კიდევ ერთი დიდი ბრაზილიელი ფეხბურთელი, ედვალდო იზიდიო ნეტო, მსოფლიოში ვავას სახელით ცნობილი ცენტრფორვარდი.

მსოფლიოს ჩემპიონი 1958 და 1962 წლებში, ვავა, ამ ჩემპიონობის ერთ-ერთი მთავარი შემოქმედი და მთავარი მეგოლე იყო. მისი ყნოსვა და პოზიციის შერჩევის უნარი, ასევე მტკიცე ხასიათი ამ ფეხბურთელს დიდი ნაკრების მთავარმეგოლედ აქცევდა.

ვავა პერნამბუკოს შტატში დაიბადა და რიოში 1952 წელს მოხვდა, როცა „ვასკუ და გამაში" გადასულმა თავის სადებიუტო მატჩშივე გაიტანა გოლი და კლუბს რიო დე ჟანეიროს შტატის ჩემპიონობა მოაპოვებინა.

ვავა ბრაზილიური ფეხბურთის ნაღდი ვარსკვლავი იყო, მაგრამ 1958 წლის ჩემპიონატის პირველი მატჩები სათადარიგოთა სკამზე გაატარა. მწვრთნელმა ვისენტე ფეოლამ მერელა ჩასვა ძირითადში და ვავამაც ოთხ შეხვედრაში ხუთი გოლი გაიტანა, აქედან ორი ფინალში, შვედების წინააღმდეგ.

ამ ჩემპიონატის შემდეგ ვავა ევროპაში დარჩა და ორ წელიწადს ითამაშა მადრიდის „ატლეტიკოში", მერე კი სან პაულუში ჩავიდა და „პალმეირასს" შეუერთდა. 1962 წელს ის კვლავ მსოფლიოს ჩემპიონი გახდა.

ვავამ სულ ოცდაორჯერ ითამაშა ეროვნულ გუნდში და თოთხმეტი გოლი გაიტანა. მექსიკისა და შეერთებული შტატების გუნდებში მოგზაურობის შემდეგ ვავა გვარიანად გამდიდრდა და შინ დაბრუნებულმა, თავისი ბოლო სეზონი რიოს „პორტუგეზაში" გაატარა. თუმცა, მისი ცხოვრების გუნდი მაინც „ვასკუ" იყო და ვავაც არაერთხელ ამოდგომია მხარში ამ კლუბს, ფინანსურადაც კი.

ხალხმა ვავა უკანასკნელად კიდევ ერთი ბიკამპეონის, დიდის დაკრძალვაზე იხილა შარშან. როგორც ამბობენ, მეტად გამხდარი და დასუსტებული იყო. გულის ძლიერი შეტევა გასული წლის მიწურულს დაემართა, მას შემდეგ კლინიკაში იყო. დიდ ბიკამპეონებს, გარინჩასა და დიდის, კიდევ ერთი ვარსკვლავი მიუვიდათ იმქვეყნად, კაცი, რომელიც ნაკრებში ცოტას თამაშობდა და ბევრი გაჰქონდა.

**ირაკლი გამყრელიძე**



# ბლაჟევიჩმა გუნდი ვერ მოიფიქრა



მიროსლავ ბლაჟევიჩი

**როგორც ჩანს,** ხორვატი სპეციალისტი მიროსლავ ბლაჟევიჩი ჯერაც ვერ გარკვეულა საკუთარ თავში. ალბათ, გახსოვთ მისი ნათქვამი — ირანის ნაკრებს მსოფლიოს ჩემპიონატზე თუ ვერ გავიყვან, თავს ჩამოვიხრჩობო, თუმცა ეს ნათქვამადვე დარჩა. არ იფიქროთ, თითქოს ბლაჟევიჩის სიკვდილი გვინდოდა, უბრალოდ, მის სიფიცხეზე ვამახვილებთ ყურადღებას.

ირანის ნაკრებიდან წასვლის შემდეგ ხორვატმა უკრაინის ფეხბურთის ფედერაციასთან გააბა, მოლაპარაკებები, თუმც მოგვიანებით ამაზეც უარი თქვა.

გავიდა ხანი და საფეხბურთო სამყარო ბლაჟევიჩის ირანში დაბრუნებაზე ალაპარაკდა. არც ეს გამართლდა...

ბოლო ინფორმაციით, მიროსლავ ბლაჟევიჩთან მოლაპარაკებებს ბოსნია-ჰერცოგოვინის ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელობა აწარმოებდა და თითქმის შეთანხმებასაც მიაღწიეს, მაგრამ... ხორვატმა ისევ თავი გააქნია და უარის თქმა ამჯობინა.

აქვე გეტყვით იმასაც, რომ ბოსნია-ჰერცოგოვინის ნაკრებში ბლაჟევიჩის შესაძლო დანიშვნა თავიდანვე გააკრიტიკა ფრანგულმა „ლილის" თავკაცმა ვაჰიდ ჰალილჰოჯიჩმა. ის კი, მოგეხსენებათ, ბოსნიელია...

ახლა კი კიდევ ერთი ინფორმაცია, რომლის დასასრულიც, ალბათ, წინასწარ იცით — სპლიტის „ჰაიდუკი" მიროსლავ ბლაჟევიჩს მთავარ მწვრთნელობას სთავაზობს... იქნებ ახლა მაინც გატყდეს ნავსი, მით უმეტეს, ხორვატულ კლუბში სწორედ მისმა ყოფილმა შეგირდებმა — იგორ შტიმაცმა, ალენ ბოკშიჩმა, ალიოშა ასანოვიჩმა და სლავენ ბილიჩმა ჩადეს ფული.

**გიორგი ბაქაყაშვილი**

# სიძე უქია სიმამრსა

**ჰოლანდიაში** 2000-2001 წლების სეზონის საუკეთესოები დაასახელეს. ჰოლანდიელთა რჩეული გახდა „ფეიენოორდის" ნახევარმცველი მარკ ვან ბომელი. საინტერესოა, რომ ვან ბომელი „ფეიენოორდის" მენეჯერის, ბერტ ვან მარვიკის სიძეა. სწორედ ბერტ ვან მარვიკმა წარადგინა სიძე საუკეთესო ფეხბურთელის ნომინაციაზე. თავის დროზე ვან ბომელი ახალბედებშიც პირველობდა. ასეთივე გზა ქენის ბერხკამპსაც გაუვლია და იგივეს უწინასწარმეტყველებენ აიაქსელ რაფაელ ვან დერ ვაარტს, რომელმაც ახალგაზრდებს შორის პირველობა არავის დაუთმო. „ეინდჰოვენის" მეკარემ რონალდ ვატერეუსმა საუკეთესო კარის დარაჯის წოდება დაიმსახურა, მეორეზე გავიდა „ბრედას" ჯაბორ ბაბოსი, მესამეზე კი — ჰარალდ ვაპენაარი „უტრეხტიდან". შარშანდელი სეზონის რჩეულ კლუბად „ნაიმეგენი" აღიარეს, რომელმაც „ცვოლე" და „უტრეხტი" ჩამოიტოვა. არც მწვრთნელები დავიწყებიათ — „ვალვაიკის" ყოფილი თავკაცი სეფ ვერგოოსენი წლის სპეციალისტად მიიჩნიეს. იგი ამჟამად ბელგიურ „გენკს" წვრთნის და არცთუ ურიგო შედეგსაც აჩვენებს.

**ვაჟა ხუციშვილი**



მარკ ვან ბომელი

### გულფის თასი. II ტური

ომანი — ქუვეითი 3:1; ყატარი — საამიროები 2:0; საუდის არაბეთი — ბაჰრეინი 3:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ყატარი | 2 | 2 | 0 | 0 | 3:0 | 6 |
| საუდეთი | 2 | 1 | 1 | 0 | 4:2 | 4 |
| ომანი | 2 | 1 | 0 | 1 | 3:2 | 3 |
| საამიროები | 2 | 1 | 0 | 1 | 1:2 | 3 |
| ქუვეითი | 2 | 0 | 1 | 1 | 2:4 | 1 |
| ბაჰრეინი | 2 | 0 | 0 | 2 | 1:4 | 0 |

დღეს: ქუვეითი — ბაჰრეინი

ხვალ: საუდეთი — საამიროები, ომანი — ყატარი




☎ (877) 72 08 26

**იყიდება**

სამოთახიანი სუფთა ბინა დიდი ზალით, დიდი სამზარეულოთი და ორი საძინებელი ოთახით (მუდმივი დენი)

ცოტნე დადიანის ქუჩა. ტელ: 69-89-56 (საღამოს), 39-48-29 (დილით). კახა


### ფეხბურთის რუკასთან

**იტალიური** „ლაციოს" არგენტინელი თავდამსხმელი ერნან კრესპო „პერუჯასთან" მატჩში დაშავდა და 26-ე წუთზე შესაცვლელი შეიქნა. დედაქალაქური კლუბის ექიმების ცნობით, კრესპო სულ ცოტა ორი კვირით ვერ შეძლებს მოედანზე გასვლას.

**ესპანეთის ჩემპიონატის ბოლო ტურში, „მალაგასთან" მატჩში მხარი დაიზიანა მადრიდის „რეალის" კაპიტანმა ფერნანდო იერომ. იგი კლუბს ერთი თვით დააკლდება, ვერც ესპანეთის ნაკრებს დაეხმარება 13 თებერვალს პორტუგალიასთან ამხანაგურ შეხვედრაში. „ჯერჯერობით მის მხარს ვაკვირდებით. თუკი მდგომარეობა გართულდება, ალბათ, ოპერაციაც დასჭირდება" — განაცხადა „რეალის" ექიმმა ხუან კარლოს ერნანდესმა.**

**საფრანგეთის** ნაკრებისა და „მარსელის" მცველი ფრანკ ლებეფი მოსალოდნელზე ადრე გამოჯანმრთელდა და ვარჯიშიც დაიწყო. ჯერ კიდევ დეკემბერში ლებეფი აცხადებდა, რომ მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე მისი თამაში საეჭვო იყო, თუმც ახლა ყველაფერი სხვაგვარადაა. 33 წლის ფეხბურთელი უკვე „მარსელის" ძირითად შემადგენლობასთან ერთად ვარჯიშობს.

**გერმანული „ბაიერნის" განელმა მცველმა სამუელ კუფურმა განაცხადა, რომ ჯერაც არ იცის, დარჩება თუ არა კლუბში. „ჯერჯერობით ჩემი მომავალი არ გადამიწყვეტია. ყველაფერი შეიძლება მოხდეს" — არაერთგვაროვნად განმარტა კუფურმა. შეგახსენებთ, რომ 25 წლის განელი „ბაიერნში" 1993-94 წლების სეზონში გადავიდა და თითქმის ყველანაირი საკლუბო ჯილდო მოიპოვა.**

**იტალიის** ნაკრების ყოფილი თავკაცი ენცო ბეარზოტი შესაძლოა ფეხბურთში დაბრუნდეს. ქვეყნის მწვრთნელთა ასოციაციის პრეზიდენტ აძელიო ვიჩინის თქმით, მას ფეხბურთის ფედერაციის ტექნიკური კომიტეტის ხელმძღვანელობას სთავაზობენ. „იმედი მაქვს, ჩემი იდეა განხორციელდება. მას ტელეფონით ველაპარაკე და ძალიან გაუხარდა, ფეხბურთში დაბრუნების შესაძლებლობა რომ ეძლევა" — განაცხადა ვიჩინიმ. შეგახსენებთ, რომ 74 წლის ბარზოტიმ 1982 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე ოქროს მედლები მოაპოვებინა თანამემამულეებს.

**გერმანულმა „შალკემ" 2005 წლამდე გაუგრძელა კონტრაქტი პოლონელ მცველ ტომაშ ჰაიტოს. შეგახსენებთ, რომ 29 წლის პოლონელი გერმანულმა კლუბმა 2000 წლის ზაფხულში „დუისბურგისგან" 750 000 ევროდ იყიდა. „ჩვენ სულ რაღაც ერთ საათში შევთანხმდით. ძალიან მიხარია, მუნდიალამდე ყველაფერი რომ მოგვარდა" — თქვა ჰაიტომ.**

**ესპანეთის** ჩემპიონატის მორიგ ტურში კვირას „ბარსელონამ" მადრიდულ „რაიო ვალეკანოსთან" წააგო და კლუბის ხელმძღვანელობა განარისხა. „თუ ჩვენ ასეთ გუნდებთან წავაგებთ, პრეტენზია არაფერზე არ უნდა გვქონდეს. ჩვენთან ბევრი ვარსკვლავი თამაშობს, მაგრამ როგორც ჩანს, ეს საკმარისი არაა. „ბარსას" წინააღმდეგ ყველა 120 პროცენტით ინდომებს" — განაცხადა კლუბის ვიცე-პრეზიდენტმა ანხელ ფერნანდესმა.

**გერმანულმა გაზეთმა „ბილდმა" ფეხბურთის გულშემატკივართა შორის გამოკითხვა ჩაატარა თემაზე — „რომელი ფეხბურთელი იმსახურებს საკუთარ ხელფასს". გამოკითხვაში გამარჯვება „ბაიერნის" მეკარე ოლივერ კანს (74%) ერგო. მას ფეხდაფეხ მიჰყვა ბრაზილიელი თანაკლუბელი ჯოვანი ელბერი (65%). მესამე ადგილი ასევე ბაიერნელ მეჰმეთ შოლს (58%) ჩაბარდა. გულშემატკივართა აზრით ყველაზე ნაკლებად თავიანთ ჯამაგირს „შალკეს" ნახევარმცველი ანდრეას მიოლერი (20%), დორტმუნდელი კრისტიან ვიორნსი (27%) და „კაიზერსლაუტერნის" კაპიტანი მარიო ბასლერი (27%) იმსახურებენ.**

**არგენტინის** ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ხულიო გრონდონა ქვეყნის პირველ პირ ედუარდო დუალდეს შეხვდება. შეხვედრაზე არგენტინულ ფეხბურთში გამეფებულ კრიზისზე ისაუბრებენ. სავარაუდოდ, გრონდონა ქვეყნის პრეზიდენტს სტადიონებზე წესრიგის გამკაცრების აუცილებლობაზე დაელაპარაკება და ამ პრობლემის გადაჭრაში სახელმწიფოს ჩარევას მოითხოვს. თავის მხრივ არგენტინელ ფეხბურთელთა პროფკავშირის ხელმძღვანელობა ჩემპიონატის გადადებაზე იმსჯელებს. შეგახსენებთ, რომ კლაუსურა უკვე თებერვალში უნდა დაწყებულიყო.

**ინგლისის ნაკრებისა და „ვესტ ბრომვიჩის" ყოფილი ფეხბურთელი ჯეფ ესლი 59 წლისა გარდაიცვალა. შეგახსენებთ, რომ მან კლუბს 1968 წელს ინგლისის თასი მოაგებინა, როცა ფინალში „ევერტონს" გადამწყვეტი გოლი გაუტანა. საერთო ჯამში კი „ვესტ ბრომვიჩის" შემადგენლობაში 361 მატჩი ჩაატარა და 174 გოლი გაიტანა.**

**ბრაზილიელმა** „ფეხბურთის მეფემ", პელემ განაცხადა, რომ მისი ქვეყნის ნაკრებმა სრულიად უსარგებლო მეტოქეები შეარჩია მსოფლიოს ჩემპიონატამდე დაგეგმილ ამხანაგურ მატჩებში. „მე ვთვლი, რომ ბოლივიასთან და კოლუმბიასთან თამაში არაფერს მოგვცემს" — თქვა პელემ. ერთადერთი მეტოქე, რომელმაც პელეს მოწონება დაიმსახურა, პორტუგალიის ნაკრებია. „არაერთხელ მითქვამს, რომ ფიგუსა და რუი კოშტას გუნდი მსოფლიოს ჩემპიონატის აშკარა ფავორიტია" — დაამატა „ფეხბურთის მეფემ".

**იუგოსლავიურ „ცრვენა ზვეზდას" ახალი სპონსორი ჰყავს. ფიფას აგენტი რანკო სტოჯიჩი და მისი კომპანია „სტოჯიჩ კომპანი" ამიერიდან ბელგრადულ კლუბს დააფინანსებენ. შეგახსენებთ, რომ სტოჯიჩის ძალისხმევით „ცრვენა ზვეზდამ" რამდენიმე ახალი ფეხბურთელი და მთავარი მწვრთნელი ზვონკო ვარგა შეიძინა.**

**ჰოლანდიური** „პსვ ეინდჰოვენის" ვეტერანი მცველი იან ჰაინცე მძიმედ დაშავდა. 38 წლის ფეხბურთელს გერმანულ „ვერდერთან" საკონტროლო შეხვედრის მეხუთე წუთზევე მოუხდა მოედნის დატოვება. შეგახსენებთ, რომ ჰაინცე ჰოლანდიის მიმდინარე ჩემპიონატის პირველი წრის საუკეთესო მოთამაშედ აღიარეს. პსვ-მ საბოლოოდ შეძლო გამარჯვების მოპოვება — 2:1

**პარაგვაის ნაკრების კაპიტანმა ხოსე ლუის ჩილავერტმა მსოფლიოს ჩემპიონატზე თავისი გუნდის შანსებზე ილაპარაკა. „ახლა ძლიერი გუნდი გვყავს. სანტა კრუზი, კარდოზო, აკუნია დიდი ფეხბურთელები არიან" — განაცხადა ჩილავერტმა. მისი აზრით, პარაგვაის ნაკრები წინა მუნდიალზე მიღწეულ შედეგს გააუმჯობესებს. „მაშინ გამოცდილება გვაკლდა, სწორედ ამის გამო დავმარცხდით საფრანგეთთან მერვედფინალში". ახლა კი ყველაფერი სხვაგვარადაა" — დაამატა მან.**

# წარმოგიდგენთ

| დრო | № | მატჩი | 1 | X | 2 |
|---|---|---|---|---|---|
| | | **გერმანია. ბუნდესლიგა. XIX ტური. 26 იანვარი** | | | |
| 18.30 | 001 | შალკე-ბაიერნი | 2,8 | 3,1 | 2,3 |
| 18.30 | 002 | სტ. პაული-ვოლფსბურგი | 2,6 | 3,1 | 2,4 |
| 18.30 | 003 | ფრაიბურგი-ნიურნბერგი | 1,7 | 3,2 | 4,4 |
| 18.30 | 004 | შტუტგარტი-ჰამბურგი | 1,75 | 3,1 | 4,2 |
| 18.30 | 005 | მიუნხენი-კიოლნი | 1,7 | 3,2 | 4,4 |
| 18.30 | 006 | მიონხენგლადბახი-ლაუტერნი | 2,7 | 3,0 | 2,4 |
| 18.30 | 007 | ლევერკუზენი-ჰანსა | 1,35 | 4,0 | 7,5 |
| | 008 | ლევერკუზენი-ჰანსა 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| | | **27 იანვარი** | | | |
| 20.30 | 009 | დორტმუნდი-ჰერტა | 1,75 | 3,1 | 4,2 |
| 20.30 | 010 | კოტბუსი-ვერდერი | 3,2 | 3,1 | 2,1 |
| | | **გერმანია. II ბუნდესლიგა. XIX ტური. 25 იანვარი** | | | |
| 22.00 | 011 | დუისბურგი-ბაბელსბერგი | 1,8 | 3,1 | 4,0 |
| 22.00 | 012 | უნიონი-ობერჰაუზენი | 1,5 | 3,4 | 6,5 |
| 22.00 | 013 | კარლსრუე-ბოხუმი | 2,4 | 3,2 | 2,5 |
| | | **26 იანვარი** | | | |
| 18.00 | 014 | არმინია-როიტლინგენი | 1,55 | 3,4 | 5,6 |
| 18.00 | 015 | ფიურტი-ალენი | 1,8 | 3,2 | 3,8 |
| | | **27 იანვარი** | | | |
| 18.00 | 016 | საარბრიუკენი-შვაინფურტი | 2,2 | 3,2 | 2,9 |
| 18.00 | 017 | ალემანია-ჰანოვერი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 18.00 | 018 | აინტრახტი-ვალდჰოფი | 1,85 | 3,1 | 3,8 |
| | | **28 იანვარი** | | | |
| 23.15 | 019 | უნტერჰახინგი-მაინცი | 2,5 | 3,2 | 2,4 |
| | | **ინგლისი. პრემიერლიგა. გადადებული მატჩები. 22 იანვარი** | | | |
| 24.00 | 020 | მანჩესტერი-ლივერპული | 1,7 | 3,2 | 4,4 |
| | | **23 იანვარი** | | | |
| 23.45 | 021 | ლესტერი-არსენალი | 5,0 | 3,4 | 1,6 |
| | | **ინგლისი. I დივიზიონი. გადადებული მატჩი. 26 იანვარი** | | | |
| 19.00 | 022 | პორტსმუთი-უიმბლდონი | 2,2 | 3,1 | 3,0 |
| | | **ინგლისი. II დივიზიონი. XXX ტური. 22 იანვარი** | | | |
| 23.45 | 023 | ქემბრიჯი-უიკომბი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 23.45 | 024 | კარდიფი-სტოკი | 2,4 | 3,0 | 2,7 |
| 23.45 | 025 | ჰადერსფილდი-კოლჩესტერი | 1,65 | 3,2 | 5,0 |
| 23.45 | 026 | ნორთჰემპტონი-ბრენტფორდი | 2,4 | 3,2 | 2,5 |
| 23.45 | 027 | პორტ ვეილი-ოლდემი | 2,4 | 3,0 | 2,7 |
| 23.45 | 028 | ქუინს პარკი-ბორნმუთი | 1,5 | 3,4 | 6,5 |
| 23.45 | 029 | სუინდონი-ნოტსი | 1,9 | 3,1 | 3,6 |
| 23.45 | 030 | უიგანი-რედინგი | 2,5 | 3,2 | 2,4 |
| | | **ინგლისი. II დივიზიონი. XXXI ტური. 24 იანვარი** | | | |
| 23.45 | 031 | ბრენტფორდი-ბრაიტონი | 2,3 | 3,0 | 2,9 |
| | | **ინგლისი. III დივიზიონი. XXX ტური. 22 იანვარი** | | | |
| 23.45 | 042 | როვერსი-სუონსი | 1,85 | 3,2 | 3,6 |
| 23.45 | 043 | კარლაილი-რაშდენი | 2,4 | 3,1 | 2,6 |
| 23.45 | 044 | ექსეტერი-მენსფილდი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 23.45 | 045 | კიდერმინსტერი-ჰალიფაქსი | 1,5 | 3,5 | 6,0 |
| 23.45 | 046 | ლინკოლნი-ლეიტონი | 2,1 | 3,2 | 3,1 |
| 23.45 | 047 | მაკლსფილდი-შრუსბერი | 2,6 | 3,1 | 2,4 |
| 23.45 | 048 | ოქსფორდი-ტორკი | 1,75 | 3,2 | 4,3 |
| 23.45 | 049 | პლიმუთი-სკანთორპი | 1,6 | 3,4 | 5,0 |
| 23.45 | 050 | საუთენდი-ჰალი | 2,4 | 3,1 | 2,6 |
| 23.45 | 051 | იორკი-როჩდეილი | 2,7 | 3,2 | 2,3 |
| | | **23 იანვარი** | | | |
| 23.45 | 052 | ჩელტენემი-დარლინგტონი | 1,6 | 3,3 | 5,3 |
| | | **საფრანგეთი. I დივიზიონი. XXII ტური 23 იანვარი** | | | |
| 21.00 | 061 | ბორდო-სოშო | 1,7 | 3,0 | 5,0 |
| 23.30 | 062 | მონპელიე-ოსერი | 2,2 | 2,8 | 3,3 |
| 23.30 | 063 | გენგამი-ლილი | 2,6 | 2,7 | 2,7 |
| 23.30 | 064 | ლიონი-მარსელი | 1,6 | 3,2 | 5,6 |
| 23.30 | 065 | ბასტია-მეცი | 1,75 | 3,1 | 4,4 |
| 23.30 | 066 | ლორიანი-რენი | 2,3 | 3,0 | 2,9 |
| 23.30 | 067 | ტრუა-მონაკო | 2,1 | 3,0 | 3,3 |
| 23.30 | 068 | სედანი-ნანტი | 2,2 | 3,0 | 3,1 |
| | | **24 იანვარი** | | | |
| 23.45 | 069 | ლანსი-პსჟ | 2,0 | 2,9 | 3,6 |
| | | **საფრანგეთი. II დივიზიონი. XXIV ტური. 22 იანვარი** | | | |
| 23.15 | 073 | ნიცა-ნანსი | 2,1 | 2,8 | 3,5 |
| | | **23 იანვარი** | | | |
| 23.30 | 074 | მარტიგი-ლე მანი | 2,6 | 2,7 | 2,7 |
| 23.30 | 075 | ისტრი-ნიმი | 2,0 | 3,0 | 3,5 |
| 23.30 | 076 | სტრასბური-ნიორი | 1,45 | 3,4 | 7,5 |
| | 077 | სტრასბური-ნიორი 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| 23.30 | 078 | აიაჩიო-სტ. ეტიენი | 1,7 | 2,9 | 5,3 |
| 23.30 | 079 | ამიენი-კანი | 2,1 | 2,8 | 3,5 |
| 23.30 | 080 | ლავალი-ბოვე | 2,6 | 2,7 | 2,7 |
| 23.30 | 081 | ლე ავრი-შატორუ | 1,7 | 3,0 | 5,0 |
| 23.30 | 082 | გენიონი-კრეტეი | 1,65 | 2,9 | 6,0 |
| 23.30 | 083 | ვალანსი-გრენობლი | 2,0 | 2,7 | 4,0 |
| | | **იტალია. სერია „ა". XX ტური. 26 იანვარი** | | | |
| 23.30 | 087 | პარმა-ბოლონია | 2,2 | 2,8 | 3,3 |
| | | **27 იანვარი** | | | |
| 18.00 | 088 | ატალანტა-ფიორენტინა | 1,95 | 3,0 | 3,6 |
| 18.00 | 089 | ლეჩე-ბრეშა | 2,0 | 2,8 | 3,8 |
| 18.00 | 090 | მილანი-უდინეზე | 1,45 | 3,5 | 7,0 |
| | 091 | მილანი-უდინეზე 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| 18.00 | 092 | პერუჯა-ვერონა | 2,1 | 2,9 | 3,4 |
| 18.00 | 093 | რომა-პიაჩენცა | 1,3 | 4,4 | 8,0 |
| | 094 | რომა-პიაჩენცა 0:1 | 1,8 | 3,2 | 2,8 |
| 18.00 | 095 | ტორინო-ლაციო | 3,1 | 3,0 | 2,2 |
| 18.00 | 096 | ვენეცია-ინტერი | 5,0 | 3,4 | 1,6 |
| 23.30 | 097 | კიევო-იუვენტუსი | 2,9 | 2,8 | 2,4 |
| | | **იტალია. სერია „ბ". გადადებული მატჩი. 27 იანვარი** | | | |
| 18.00 | 098 | ნაპოლი-სალერნიტანა | 1,8 | 2,8 | 4,7 |
| | | **იტალია. სერია „ც1-ა". XXI ტური. 27 იანვარი** | | | |
| 17.30 | 099 | ალბინოლეფე-პადოვა | 2,0 | 2,6 | 4,2 |
| 17.30 | 100 | ალცანო-რეჯანა | 2,5 | 2,7 | 2,8 |
| 17.30 | 101 | არეცო-ტრიესტინა | 2,7 | 2,6 | 2,7 |
| 17.30 | 102 | კარარეზე-ლუკეზე | 2,7 | 2,6 | 2,7 |
| 17.30 | 103 | ჩეზენა-ლეკო | 1,85 | 2,6 | 5,0 |
| 17.30 | 104 | ლუმეცანე-ტრევიზო | 2,7 | 2,6 | 2,7 |
| 17.30 | 105 | პიზა-მონცა | 2,0 | 2,7 | 4,0 |
| 17.30 | 106 | სპალ-ლივორნო | 2,8 | 2,6 | 2,6 |
| 17.30 | 107 | ვარეზე-სპეცია | 2,3 | 2,5 | 3,4 |
| | | **იტალია. სერია „ც1-ბ". გადადებული მატჩი. 23 იანვარი** | | | |
| 17.30 | 108 | აველინო-ლოდიჯანი | 1,65 | 2,9 | 5,3 |
| | | **იტალია. სერია „ც1-ბ". XXI ტური. 27 იანვარი** | | | |
| 17.30 | 109 | ასკოლი-ლანჩანო | 1,65 | 2,9 | 6,0 |
| 17.30 | 110 | აველინო-დი სანგრო | 1,6 | 3,0 | 6,5 |
| 17.30 | 111 | კატანია-ფერმანა | 1,85 | 2,9 | 4,4 |
| 17.30 | 112 | ჯულიანოვა-აქილა | 1,7 | 2,8 | 5,6 |
| 17.30 | 113 | ლოდიჯანი-ნოჩერინა | 2,5 | 2,5 | 3,0 |
| 17.30 | 114 | პესარო-ტორესი | 2,0 | 2,5 | 4,4 |
| 17.30 | 115 | პესკარა-ბენევენტო | 1,55 | 3,1 | 7,0 |
| 17.30 | 116 | სორა-ვიტერბეზე | 2,6 | 2,6 | 2,8 |
| 17.30 | 117 | ტარანტო-კროტე | 1,55 | 3,1 | 7,0 |
| | | **ესპანეთი. I დივიზიონი. გადადებული მატჩი. 23 იანვარი** | | | |
| 23.30 | 118 | რაიო-ალავესი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| | | **ესპანეთი. I დივიზიონი. XXII ტური. 26 იანვარი** | | | |
| 00.30 | 119 | სელტა-სოსიედადი | 1,55 | 3,4 | 5,6 |
| | | **27 იანვარი** | | | |
| 20.00 | 120 | ვალიადოლიდი-მალაგა | 1,9 | 3,0 | 3,8 |
| 20.00 | 121 | ბილბაო-დეპორტივო | 2,4 | 3,1 | 2,6 |
| 20.00 | 122 | ალავესი-მალიორკა | 1,6 | 3,3 | 5,0 |
| 20.00 | 123 | ვილარეალი-ტენერიფე | 1,8 | 3,1 | 4,0 |
| 20.00 | 124 | ბარსელონა-ოსასუნა | 1,35 | 4,0 | 7,5 |
| | 125 | ბარსელონა-ოსასუნა 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| 20.00 | 126 | სარაგოსა-რაიო | 1,7 | 3,2 | 4,4 |
| 20.00 | 127 | სევილია-ესპანიოლი | 1,8 | 3,0 | 4,2 |
| 21.00 | 128 | ლას პალმასი-ვალენსია | 2,6 | 2,7 | 2,7 |
| 23.00 | 129 | რეალი-ბეტისი | 1,45 | 3,5 | 7,0 |
| | 130 | რეალი-ბეტისი 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| | | **ესპანეთი. II დივიზიონი. XXIV ტური. 26 იანვარი** | | | |
| 21.30 | 131 | ფეროლი-ატლეტიკო | 2,6 | 2,9 | 2,5 |
| 21.30 | 132 | ლევანტე-ელჩე | 2,3 | 2,6 | 3,3 |
| | | **27 იანვარი** | | | |
| 15.00 | 133 | ლეგანესი-მურსია | 2,1 | 2,5 | 4,0 |
| 15.00 | 134 | უელვა-ალბასეტე | 2,3 | 2,6 | 3,3 |
| 20.00 | 135 | რასინგი-ესტრემადურა | 1,6 | 3,0 | 6,5 |
| 20.00 | 136 | ბურგოსი-ოვიედო | 2,6 | 2,7 | 2,7 |
| 20.00 | 137 | ხაენი-ხიმნასტიკო | 1,75 | 2,8 | 5,0 |
| 20.00 | 138 | ეიბარი-პოლი ეხიდო | 1,5 | 3,4 | 6,5 |
| 20.00 | 139 | სალამანკა-კორდობა | 1,85 | 2,6 | 5,0 |
| 20.00 | 140 | სპორტინგი-ნუმანსია | 2,3 | 2,6 | 3,3 |
| 20.00 | 141 | ბადახოსი-სერესი | 2,5 | 2,7 | 2,8 |
| | | **პორტუგალია. I ლიგა. XX ტური. 26 იანვარი** | | | |
| 20.00 | 142 | გიმარაეში-სალგეიროში | 1,5 | 3,5 | 6,0 |
| 22.00 | 143 | პორტუ-მარიტიმუ | 1,45 | 3,5 | 7,0 |
| | 144 | პორტუ-მარიტიმუ 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| 01.00 | 145 | ალვერკა-სპორტინგი | 3,6 | 3,1 | 1,9 |
| | | **27 იანვარი** | | | |
| 19.00 | 146 | ლეირია-ფერეირა | 1,65 | 3,2 | 5,0 |
| 20.00 | 147 | ბეირა მარი-ვარზიმი | 1,6 | 3,4 | 5,0 |
| 20.00 | 148 | ჟილ ვისენტე-სანტა კლარა | 1,75 | 3,1 | 4,2 |
| 20.00 | 149 | ფარენსე-ბრაგა | 2,4 | 3,1 | 2,6 |
| 22.00 | 150 | ბელენენსეში-ბოავიშტა | 2,9 | 3,0 | 2,3 |
| 24.00 | 151 | სეტუბალი-ბენფიკა | 3,3 | 3,0 | 2,1 |
| | | **პორტუგალია. II ლიგა. გადადებული მატჩი. 23 იანვარი** | | | |
| 01.00 | 152 | ფელგეირაში-პორტიმონენსე | 2,8 | 3,1 | 2,3 |
| | | **პორტუგალია. II ლიგა. XX ტური. 27 იანვარი** | | | |
| 19.00 | 153 | ნავალი-ფელგეირაში | 1,5 | 3,5 | 6,0 |
| 19.00 | 154 | პენაფიელი-მორეირენსე | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 19.00 | 155 | ოვარენსე-ნასიონალი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 19.00 | 156 | ოლივეირენსე-აკადემიკა | 2,9 | 3,0 | 2,3 |
| 19.00 | 157 | რიუ ავე-ამადორა | 2,6 | 2,8 | 2,6 |
| 20.00 | 158 | პორტიმონენსე-ავეში | 1,75 | 3,1 | 4,2 |
| 20.00 | 159 | კამპომაიორენსე-შავეში | 1,85 | 3,1 | 3,5 |
| 20.00 | 160 | ლეცა-ლამაში | 2,0 | 3,1 | 3,4 |
| 20.00 | 161 | მაია-ესპინიუ | 1,95 | 3,1 | 3,5 |
| | | **ჰოლანდია. I დივიზიონი. XX ტური. 25 იანვარი** | | | |
| 23.00 | 162 | სპარტა-ჰერენვენი | 2,7 | 3,2 | 2,3 |
| | | **26 იანვარი** | | | |
| 22.30 | 163 | გრაფსხაპი-სიტარდი | 1,65 | 3,4 | 4,4 |
| 22.30 | 164 | როდა-ტვენტე | 1,95 | 3,2 | 3,4 |
| 22.30 | 165 | პსვ-ბრედა | 1,4 | 3,8 | 7,0 |
| | 166 | პსვ-ბრედა 0:1 | 1,95 | 3,2 | 2,4 |
| 23.00 | 167 | ალკმაარი-გრონინგენი | 1,65 | 3,4 | 4,4 |
| | | **27 იანვარი** | | | |
| 16.00 | 168 | უტრეხტი-ფეიენოორდი | 2,5 | 3,2 | 2,4 |
| 17.30 | 169 | დენ ბოსხი-აიაქსი | 3,6 | 3,2 | 1,85 |
| 17.30 | 170 | ვიტესი-ნაიმეგენი | 1,5 | 3,5 | 6,0 |
| 17.30 | 171 | ვალვაიკი-ტილბურგი | 1,8 | 3,2 | 3,8 |
| | | **ჰოლანდია. II დივიზიონი. XX ტური. 25 იანვარი** | | | |
| 23.00 | 172 | ოსი-ვენლო | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 23.00 | 173 | ექსელსიორი-ჰერაკლესი | 1,4 | 3,8 | 7,0 |
| | 174 | ექსელსიორი-ჰერაკლესი 0:1 | 1,95 | 3,2 | 2,4 |
| 23.00 | 175 | დენ ჰააგი-ჰაარლემი | 1,85 | 3,1 | 3,5 |
| 23.00 | 176 | როზენდაალი-კამბური | 2,3 | 3,2 | 2,7 |
| 23.00 | 177 | ზვოლე-ვოლენდამი | 1,5 | 3,5 | 6,0 |
| 23.00 | 178 | ეინდჰოვენი-მაასტრიხტი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| | | **26 იანვარი** | | | |
| 22.30 | 179 | ჰელმონდი-ტელსტარი | 2,3 | 3,2 | 2,7 |
| 22.30 | 180 | ემენი-იგლსი | 1,4 | 3,8 | 6,0 |
| 22.30 | 181 | ვეენდამი-დორდრეხტი | 1,9 | 3,2 | 3,5 |
| | | **ბელგია. I დივიზიონი. XX ტური. 25 იანვარი** | | | |
| 23.30 | 182 | ანდერლეხტი-ბეერსხოტი | 1,45 | 3,5 | 7,0 |
| | 183 | ანდერლეხტი-ბეერსხოტი 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| | | **26 იანვარი** | | | |
| 23.00 | 184 | სტ. ტრუიდენი-შარლერუა | 1,95 | 3,3 | 3,3 |
| 23.00 | 185 | ლუვიე-გენკი | 4,0 | 3,2 | 1,75 |
| 23.00 | 186 | ანტვერპენი-ლიერსი | 2,0 | 3,1 | 3,4 |
| 23.00 | 187 | ბევერენი-ბრიუგე | 5,3 | 3,8 | 1,5 |
| 23.00 | 188 | ლოკერენი-აალსტი | 1,35 | 4,0 | 7,5 |
| | 189 | ლოკერენი-აალსტი 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| 23.00 | 190 | ვესტერლო-გენტი | 3,4 | 3,3 | 1,9 |
| | | **27 იანვარი** | | | |
| 16.00 | 191 | მოლენბეკი-სტანდარდი | 4,0 | 3,2 | 1,75 |
| 18.00 | 192 | მუსკრონი-ლომელი | 1,75 | 3,2 | 4,0 |
| | | **ბელგია. II დივიზიონი. XXII ტური. 26 იანვარი** | | | |
| 22.30 | 193 | დესელი-ფლაანდერენი | 1,85 | 3,0 | 4,0 |
| 23.00 | 194 | ვირტონი-ჰეუსდენი | 3,0 | 3,1 | 2,2 |
| | | **27 იანვარი** | | | |
| 18.00 | 195 | დენდერლეუ-ვიზე | 1,65 | 3,1 | 5,3 |
| 18.00 | 196 | სერენი-მეხელენი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 18.00 | 197 | რუსელარე-პატრო | 1,8 | 3,2 | 3,8 |
| 18.00 | 198 | დაინცე-სტრომბეკი | 2,3 | 2,9 | 3,0 |
| 18.00 | 199 | ლიეჟი-ტიენენი | 1,5 | 3,4 | 6,5 |
| 18.00 | 200 | რონსე-გეელი | 1,85 | 2,9 | 4,2 |
| 18.00 | 201 | ინგელმუნსტერი-მონსი | 1,7 | 3,2 | 4,4 |
| | | **საბერძნეთი. XIII ტური. 27 იანვარი** | | | |
| 17.00 | 202 | აკრატიტოსი-ეგალეო | 1,6 | 3,4 | 5,0 |
| 17.00 | 203 | ოფი-ქსანთი | 1,85 | 3,0 | 4,0 |
| 17.00 | 204 | ოლიმპიაკოსი-არისი | 1,3 | 4,4 | 8,0 |
| | 205 | ოლიმპიაკოსი-არისი 0:1 | 1,8 | 3,2 | 2,8 |
| 17.00 | 206 | პანაჰაიკი-იონიკოსი | 1,9 | 3,1 | 3,6 |
| 17.00 | 207 | პანათინაიკოსი-ეთნიკოსი | 1,2 | 5,6 | 10,0 |
| | 208 | პანათინაიკოსი-ეთნიკოსი 0:1 | 1,5 | 3,5 | 3,5 |
| 17.00 | 209 | პანიონიოსი-ირაკლისი | 2,3 | 2,9 | 3,0 |
| 17.00 | 210 | პაოკ-აეკ | 2,5 | 2,9 | 2,6 |
| | | **თურქეთი. XIX ტური. 22 იანვარი** | | | |
| 15.30 | 211 | მალათია-ანკარაგუჩუ | 2,7 | 3,0 | 2,4 |
| 22.00 | 212 | ფენერბაჩე-ისთამბული | 1,4 | 3,8 | 7,0 |
| | 213 | ფენერბაჩე-ისთამბული 0:1 | 1,95 | 3,2 | 2,4 |
| | | **23 იანვარი** | | | |
| 15.30 | 214 | გოზთეპე-დიარბაქირი | 1,95 | 3,1 | 3,5 |
| 15.30 | 215 | რიზე-იოზგათი | 1,75 | 3,0 | 4,4 |
| 15.30 | 216 | ანთალია-ქოჯაელი | 2,3 | 3,1 | 2,8 |
| 15.30 | 217 | სამსუნი-გენჩლერბირლიგი | 1,8 | 3,1 | 4,0 |
| 15.30 | 218 | გაზიანთეპი-ტრაბზონი | 1,9 | 3,1 | 3,6 |
| 21.00 | 219 | დენიზლი-გალათასარაი | 4,4 | 3,1 | 1,7 |
| | | **24 იანვარი** | | | |
| 22.00 | 220 | ბეშიქთაში-ბურსა | 1,35 | 4,0 | 7,5 |
| | 221 | ბეშიქთაში-ბურსა 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| | | **შოტლანდია. პრემიერლიგა. XXV ტური. 22 იანვარი** | | | |
| 23.45 | 232 | სტ. ჯონსტონი-დანდი იუნაიტედი | 3,0 | 3,1 | 2,2 |
| | | **23 იანვარი** | | | |
| 23.45 | 233 | სელტიკი-ჰარტსი | 1,25 | 5,0 | 9,0 |
| | 234 | სელტიკი-ჰარტსი 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| 23.45 | 235 | დანდი-ლივინგსტონი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 23.45 | 236 | დანფერმლაინი-რეინჯერსი | 6,0 | 3,5 | 1,5 |
| 23.45 | 237 | ჰიბერნიანი-აბერდინი | 2,3 | 3,1 | 2,8 |
| 23.45 | 238 | მაზერველი-კილმარნოკი | 2,4 | 3,1 | 2,6 |
| | | **შოტლანდია. I დივიზიონი. გადადებული მატჩები. 22 იანვარი** | | | |
| 23.45 | 239 | ეარდრი-სენტ მირენი | 1,75 | 3,2 | 4,0 |
| | | **26 იანვარი** | | | |
| 19.00 | 240 | რეითი-არბროთი | 2,2 | 3,2 | 2,9 |
| 19.00 | 241 | როსი-ეირი | 3,4 | 3,3 | 1,9 |
| | | **შოტლანდია. II დივიზიონი. XXIII ტური. 26 იანვარი** | | | |
| 19.00 | 242 | ალოა-კლაიდბანკი | 2,4 | 3,2 | 2,5 |
| 19.00 | 243 | კოუდენბითი-ქუინი | 2,4 | 3,0 | 2,7 |
| 19.00 | 244 | მორტონი-ფორფარი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 19.00 | 245 | სტრანრარი-ბერვიკი | 1,75 | 3,3 | 3,8 |
| | | **შოტლანდია. III დივიზიონი. XXIII ტური. 26 იანვარი** | | | |
| 19.00 | 246 | დამბარტონი-ალბიონი | 2,3 | 3,1 | 2,8 |
| 19.00 | 247 | ისტ სტირლინგი-პიტერჰედი | 3,3 | 3,2 | 2,0 |
| 19.00 | 248 | ელგინი-ისტ ფაიფი | 1,75 | 3,3 | 3,8 |
| 19.00 | 249 | მონტროუზი-სტირლინგი | 1,9 | 3,2 | 3,5 |
| 19.00 | 250 | ქუინს პარკი-ბრექინი | 4,0 | 3,4 | 1,7 |
| | | **გერმანია. თასი. მერვედფინალი. 22 იანვარი** | | | |
| 22.00 | 251 | ჰანოვერი-ლევერკუზენი | 3,5 | 3,2 | 1,9 |
| | | **23 იანვარი** | | | |
| 23.15 | 252 | ბაიერნი-ვოლფსბურგი | 1,3 | 4,4 | 8,0 |
| | | **ინგლისი. ლიგის თასი. ნახევარფინალი. II წრე. 22 იანვარი** | | | |
| 23.45 | 269 | ბლეკბერნი-უენსდეი | 1,4 | 3,8 | 7,0 |
| | | **23 იანვარი** | | | |
| 00.05 | 270 | ტოტენჰემი-ჩელსი | 2,4 | 3,1 | 2,6 |
| | | **იტალია. თასი. ნახევარფინალი. I წრე. 23 იანვარი** | | | |
| 21.30 | 275 | პარმა-ბრეშა | 1,75 | 3,0 | 4,4 |
| 23.45 | 276 | მილანი-იუვენტუსი | 2,1 | 2,8 | 3,5 |
| | | **ესპანეთი. თასი. ნახევარფინალი. I წრე. 23 იანვარი** | | | |
| 21.30 | 277 | ბილბაო-რეალი | 2,7 | 3,0 | 2,4 |
| 24.00 | 278 | ფიგერესი-დეპორტივო | 4,7 | 3,3 | 1,65 |
| | | **ბელგია. თასი. მეოთხედფინალი. 23 იანვარი** | | | |
| 21.00 | 279 | ბრიუგე-ბევერენი | 1,15 | 6,0 | 12,0 |
| | | **საბერძნეთი. თასის 1/8 ფინალი. მე-2 მატჩი. 23 იანვარი** | | | |
| 21.00 | 280 | პანათინაიკოსი-ირაკლისი | 1,35 | 4,0 | 7,5 |
| | | **კოპა მერკოსური. ფინალი. მე-2 მატჩი. 25 იანვარი** | | | |
| 05.00 | 401 | სან ლორენსო-ფლამენგო | 1,95 | 3,1 | 3,5 |
| | | **კალათბურთი. 22 იანვარი** | | | |
| 04.00 | 501 | ვაშინგტონი-ფილადელფია | 1,7 | 12,0 | 1,7 |
| 04.30 | 502 | ორლანდო-ატლანტა | 1,2 | 12,0 | 3,5 |
| 04.30 | 503 | მაიამი-ჩიკაგო | 1,15 | 12,0 | 3,5 |
| 05.00 | 504 | მილუოკი-ფინიქსი | 1,3 | 12,0 | 2,8 |
| 05.30 | 505 | ჰიუსტონი-დალასი | 2,5 | 12,0 | 1,35 |
| 05.30 | 506 | სან ანტონიო-ნიუ ჯერსი | 1,35 | 12,0 | 2,5 |
| 07.30 | 507 | პორტლენდი-საკრამენტო | 1,7 | 12,0 | 1,7 |
| 07.30 | 508 | ლეიკერსი-დენვერი | 1,05 | 12,0 | 6,0 |
| | | **23 იანვარი** | | | |
| 04.00 | 509 | შარლოტი-სიეტლი | 1,55 | 12,0 | 1,9 |
| 04.00 | 510 | ბოსტონი-ინდიანა | 1,35 | 12,0 | 2,5 |
| 04.30 | 511 | დეტროიტი-მინესოტა | 1,7 | 12,0 | 1,7 |
| 05.00 | 512 | ტორონტო-ნიუ იორკი | 1,25 | 12,0 | 3,1 |
| 06.00 | 513 | იუტა-სან ანტონიო | 1,8 | 12,0 | 1,6 |
| 07.30 | 514 | კლიპერსი-ლეიკერსი | 2,3 | 12,0 | 1,35 |
| 07.30 | 515 | გოლდენ სტეიტი-მემფისი | 1,45 | 12,0 | 2,1 |
| | | **24 იანვარი** | | | |
| 04.00 | 516 | ვაშინგტონი-კლივლენდი | 1,3 | 12,0 | 2,5 |
| 04.30 | 517 | ორლანდო-მაიამი | 1,25 | 12,0 | 3,1 |
| 04.30 | 518 | ნიუ იორკი-ფინიქსი | 1,65 | 12,0 | 1,75 |
| 05.00 | 519 | მილუოკი-სიეტლი | 1,2 | 12,0 | 3,5 |
| 05.30 | 520 | ჰიუსტონი-ნიუ ჯერსი | 2,3 | 12,0 | 1,4 |
| 06.00 | 521 | დენვერი-დალასი | 2,3 | 12,0 | 1,4 |
| 06.00 | 522 | საკრამენტო-იუტა | 1,15 | 12,0 | 4,0 |
| 07.00 | 523 | პორტლენდი-მემფისი | 1,15 | 12,0 | 4,0 |
| | | **ჰოკეი. 22 იანვარი** | | | |
| 04.00 | 544 | აილენდერსი-რეინჯერსი | 1,8 | 4,0 | 2,2 |
| 04.00 | 545 | ფილადელფია-ოტავა | 1,6 | 4,0 | 2,7 |
| 04.30 | 546 | ატლანტა-ვაშინგტონი | 2,0 | 4,0 | 2,0 |
| 06.00 | 547 | კალგარი-ტორონტო | 2,0 | 4,0 | 2,0 |
| | | **23 იანვარი** | | | |
| 04.00 | 548 | ბუფალო-სტ. ლუისი | 2,0 | 4,0 | 2,0 |
| 04.00 | 549 | რეინჯერსი-ბოსტონი | 2,0 | 4,0 | 2,0 |
| 04.00 | 550 | ვაშინგტონი-მონრეალი | 1,8 | 4,0 | 2,2 |
| 04.00 | 551 | კაროლინა-ნეშვილი | 1,65 | 4,0 | 2,5 |
| 04.30 | 552 | პიტსბურგი-ტამპა ბეი | 1,65 | 4,0 | 2,5 |
| 04.30 | 553 | ფლორიდა-ნიუ ჯერსი | 2,1 | 4,0 | 1,9 |
| 05.00 | 554 | დეტროიტი-სან ხოსე | 1,5 | 4,0 | 3,0 |
| 05.00 | 555 | ედმონტონი-კოლორადო | 2,0 | 4,0 | 2,0 |
| 05.30 | 556 | ჩიკაგო-ფინიქსი | 1,4 | 4,0 | 3,4 |
| 05.30 | 557 | დალასი-ვანკუვერი | 1,7 | 4,0 | 2,4 |
| 07.30 | 558 | ანაჰაიმი-მინესოტა | 1,9 | 4,0 | 2,1 |
| | | **24 იანვარი** | | | |
| 04.00 | 559 | ოტავა-ბოსტონი | 1,9 | 4,0 | 2,1 |
| 04.00 | 560 | ფილადელფია-ნეშვილი | 1,3 | 4,0 | 4,0 |
| 04.00 | 561 | კოლუმბუსი-სან ხოსე | 2,4 | 4,0 | 1,7 |
| 04.30 | 562 | აილენდერსი-პიტსბურგი | 1,6 | 4,0 | 2,7 |
| 04.30 | 563 | ატლანტა-ნიუ ჯერსი | 2,0 | 4,0 | 2,0 |
| 06.00 | 564 | კალგარი-კოლორადო | 2,0 | 4,0 | 2,0 |
| 07.30 | 565 | ლოს ანჯელესი-მინესოტა | 1,6 | 4,0 | 2,7 |

საპრიზო 8,6 მილიონი $

# ვის აუწევენ ქაბას?

## ტიმ ჰენმანს ნამდვილად აღარ, ახლა ბიორკმანის ჯერია


ჯენიფერ კაპრიატი


მაგდალენა მალეევა გუშინ უმწეო იყო

მერვედფინალი

**ვაჟები**

**ტომას იოჰანსონი** (16, შვედეთი) — ადრიან ვონიეა (რუმინეთი) 6:7(6:8), 6:2, 6:0, 6:4; **იონას ბიორკმანი** (შვედეთი) — ტიმ ჰენმანი (6, დიდი ბრიტანეთი) 6:2, 7:6(8:6), 6:4; **შტეფან კუბეკი** (ავსტრია) — ფერნანდო გონსალესი (ჩილე) 7:5, 6:1, 6:7(3:7), 6:2; **ირჟი ნოვაკი** (28, ჩეხეთი) — დომინიკ ჰრბატი (სლოვაკეთი) 6:4, 6:2, 5:7, 6:2; **მარატ საფინი** (9, რუსეთი) — პიტ სამპრასი (8, აშშ) 6:2, 6:4, 6:7(5:7), 7:6(10:8); **უეინ ფერეირა** (სამხრეთ აფრიკა) — ალბერტ კოსტა (ესპანეთი) 4:6, 6:4, 4:6, 6:7(4:7), 9:7; **ტომი ჰაასი** (7, გერმანია) — როჯერ ფედერერი (11, შვეიცარია) 7:6(7:3), 4:6, 3:6, 6:4, 8:6; **მარსელო რიოსი** (ჩილე) — ნიკოლას ლაპენტი (23, ეკვადორი) 7:5, 6:2, 6:4

**ქალები**

**მარტინა ჰინგისი** (3, შვეიცარია) — ამანდა კუტცერი (15, სამხრეთ აფრიკა) 6:1, 6:0; **ვინუს უილიამსი** (2, აშშ) — მაგდალენა მალეევა (13, ბულგარეთი) 6:0, 6:3; **ადრიანა სერა ძანეტი** (იტალია) — მარტინა სუხა (სლოვაკეთი) 6:1, 7:5; **მონიკა სელეში** (8, აშშ) — ანაბელ მედინა გარიგესი (ესპანეთი) 4:2 (ტრავმა); **კიმ კლაისტერსი** (4, ბელგია) — იანეტ ჰუსაროვა (სლოვაკეთი) 6:0, 6:2; **ჯენიფერ კაპრიატი** (1, აშშ) — რიტა გრანდე (20, იტალია) 6:3, 7:6(11:9); **ამელი მორესმო** (7, საფრანგეთი) — მარლენ ვაინგარტნერი (გერმანია) 6:4, 4:6, 7:5; **ჟიუსტინ ენენი** (6, ბელგია) — ელენა დემენტიევა (12, რუსეთი) 6:0, 6:3

შაბათის „სარბიელის" საჩოგბურთო გვერდზე ეხატა რქიანი ვიკინგი, რომელსაც ავსტრალიის ღია პირველობაზე ტომას იოჰანსონის ქომაგი ვუწოდეთ, თუმცა ვიკინგები მელბურნში ყველა თავისიანს ქომაგობენ. არ არსებობს შემთხვევა, ავსტრალიის ღია პირველობას რქიანი მუზარადებით, დროშებით, ბუშტებით და საჭყვიტინოებით აღჭურვილი 20 სკანდინაველი მაინც არ დაესწროს. მათი ემოციები ჩოგბურთელებზე ფრიად მოქმედებს. ყოველ შემთხვევაში, გასული უქმეების გმირი იონას ბიორკმანი კარგა ხანს ლაპარაკობდა ამ თემაზე, ჩამოთვალა თითქმის ყველას სახელი და აღწერა, თუ როგორ შეკრულ-შეგუნდებულად ჩოგბურთელები და გულშემატკივრები. მოკლედ, ბიორკმანს ხალხი შეეშველა, მაგრამ საქმის მთავარი ნაწილი, ცხადია, თავად უნდა შეესრულებინა და მერე როგორი საქმის: ტიმ ჰენმანის პირისპირ მოხვდა „მელბურნ პარკის" ცენტრალურ კორტზე.

ბიორკმანი წყვილებში მაგარია, მელბურნშიც ყოფილა ჩემპიონი და, კაცმა რომ თქვას, ერთ დროს ერთეულთა რეიტინგებშიც მისი გვარი მე-4 პოზიციაზე ჩანდა (1997 წელს), მაგრამ ახლა 64-ე პოზიციაზე ვხედავთ, ამ დროს კი ჰენმანი წლების მანძილზე ოცეულს მიღმა არ გასულა და მატჩის კი არა, ტურნირის ფავორიტად მიიჩნევდნენ ვარსკვლავთა მთელი წყების გავარდნის შემდეგ.

მაგრამ ასე არ ხდება. ჩემპიონად გახდომას რამდენიმე უმძიმესი მატჩის მოგება სჭირდება და ოლიმპიური პრინციპი წაგების უფლებას გამორიცხავს. ერთი ნერვული დღე და ყველაფერს წერტილი დაესმება.

ჰენმანისთვის ეს დღე 20 იანვარს გათენდა, როცა მას ტვინი და ჩოგანი ერთად დაებლოკა და ბიორკმანს 3 სეტი მშრალად დაუთმო. სტატისტიკამ ბიორკმანის 118 ქულა აღრიცხა და ჰენმანისა 101. სხვაობა მცირეა და სწორედ ესაა ყურადსაღები. გეიმები მინიმალური სხვაობით სრულდებოდა, ანუ ჰენმანი ჩოგანს მარჯვედ ვერ იქნევდა სწორედ ყველაზე კრიტიკული გათამაშებებისას, როცა ერთ გასროლას ყველაფრის მოტრიალება შეეძლო. მიზეზი მარტივად წარმოგვიდგება — ჰენმანს ნერვებმა უღალატა, თორემ მისი კლასი ეჭვს არ იწვევს.

ეს მოსაზრება პირველმა თვით ინგლისელმა გამოთქვა, თუმცა მეტოქის დამსახურებანი არ გამორჩენია. კაცმა რომ თქვას, იგივე სტატისტიკა ბიორკმანის სასარგებლოს ბევრს არას ამბობს (უნებლიე შეცდომები 31:23, ეისები 7:4, ორმაგი შეცდომები 2:2, პირველი მოწოდების პროცენტი 54:64 და ა.შ.), მაინც უფრო ჰენმანმა წააგო, ვიდრე ბიორკმანმა მოიგო. წააგო და ეიფორიაც წამში მოისპო. ყოველ შემთხვევაში, ავტოგრაფის წასაწერ უკანალს დღეიდან ბიორკმანს უფრო მიუშვერენ, როგორც ავსტრალიის ღია პირველობაზე ერთ-ერთი მთავარი სენსაციის ავტორს.

სენსაციები კი სწორედაც მოაკლდა „დიდი სლემის" პირველ ტურნირს. ელიტა უკვე აგებს კი არა, ქვას ქვაზე არ ტოვებს. დარჩენილი ბოლო ორი წრეა, მარტინა ჰინგისმა 6:1, 6:0 დაამუღამა: ჯერ გერმანელ ბარბარა რიტნერს მოუგო ამგვარად, უქმეზე კი არცთუ უსახელო ამანდა კუტცერი გაანადგურა. სამხრეთაფრიკელი კუტცერი ჩოგბურთის ძალოვან ფრთას წარმოადგენს და ტექნიკური თამაშის მიმდევარი ჰინგისისთვის ეს ერთგვარად სიმბოლური გამარჯვება იყო. სიმბოლური იმ მხრივაც, რომ ტრავმის სრული მორჩენის შემდეგ ჰინგისი სერიოზულად პირველად ეთამაშა ელიტის წარმომადგენელს (ადრეულ რაუნდებში უფრო წვრილფეხობას მოერია) და ბეჭებზე გააკრა. ეს კარგის ნიშანია, მაგრამ ნამდვილი გამოცდა ჰინგისმა ჯერ კიდევ უნდა დაიჭიროს რომელიმე ძალიან ღონიერთან (ვინუს უილიამსი, მონიკა სელეში, ჯენიფერ კაპრიატი, კიმ კლაისტერსი), რომლებიც, ჰინგისის არ იყოს, თავიანთ გზაზე ყველაფერს ანგრევენ. უილიამსმა ბულგარელ მაგდალენა მალეევას 48 წუთში აუგო წესი და სტატისტიკის მორიგი ზეიმი ჩაშალა: მალეევას რომ მოეგო, ავსტრალიის ღია პირველობის მეოთხედ ფინალში სამი და იქნებოდა ნამყოფი — კატერინა, მანუელა და მაგდალენა. სტატისტიკა მართლა ოხერია...

მეოთხედფინალში შეხვდებიან უილიამსი და სელეში, რაც მაგარი ჯახების დაწყებას მოასწავებს. 8 რჩეულში ვიხილავთ აგრეთვე ჟიუსტინ ენენს და ამელი მორესმოს. ორშაბათ დილით მელბურნის ხვატი წვიმამ გაანელა, რაც ეამათ დასიცხულებს, მაგრამ კორტების დაცარიელებაც გამოიწვია. ამ დროს ერთ მათგანზე ბურთს უბარტყუნებდნენ ენენი და ელენა დემენტიევა, მეორეგან — მორესმო და მარლენ ვაინგარტნერი. ორივეგან ფავორიტებს თითო პარტიის მოგება მოესწროთ და ნახევარი საათის მერე (წვიმამ რომ გადაიღო), ორივე გავიდა „დამკაში", ოღონდ თუ ენენს ჯაფა არ დასდგომია, მორესმომ მატჩი მხოლოდ გადამწყვეტი ბურთების მოგებით დაინარჩუნა. არც კაპრიატის გზა ყოფილა ია-ვარდით მორთული. იტალიელმა რიტა გრანდემ, უფრო მეორე სეტში, კაპასი ბრძოლა გაუმართა. ტაიბრეიკის 6:5-ზე გრანდეს სეტ-პოინტი ჰქონდა და ზუსტად მაშინ ბურთი ბადეს მოარტყა. მერე „აუსტრალიან ოუფენის" მოქმედმა ჩემპიონმა დაიმსახურა ზედიზედ ორი მატჩპოინტი, მაგრამ ერთხელ ბადეს წააწყდა, მეორე ბურთი კორტის ფართში ვერ მოახვედრა და ბოლოს, როცა გრანდეს საბოლოოდ მოეშალა ნერვები, მისი ორმაგი შეცდომით ყველაფერი დამთავრდა. ტაბლო საათსა და 36 წუთს უჩვენებდა.

ტრავმებისგან მორჩენილმა მარსელო რიოსმა ეკვადორელ ნიკოლას ლაპენტის მოუგო. უჟმური რიოსი, ვისაც ბოლო წლებში ხასიათი ოდნავ გამოუსწორდა, მცირე ხნით მსოფლიოს პირველი ჩოგანიც იყო, თუმც თავის ახლანდელ ფორმას კრიტიკულად აფასებს.

„მაშინ უკეთ ვთამაშობდი — თქვა რიოსმა — იმ დროის რიოსი ტრავმებსაც უკეთ უმკლავდებოდა".

სადღეისოდ ჩილელი სრულიად ჯანმრთელადაა, არაფერი აწუხებს.

**დავით გულუა**


შვედი ქომაგები ხმაურობენ და ხარობენ: მათი კერპები იმარჯვებენ

ამბავ-ხაბარი

## ჩაქრა სამპრასი, ველარ კუშკუშებს

**ორშაბათს** პიტ სამპრასი ავსტრალიის ღია პირველობის ოფიციალური ფავორიტი გახდა. ეს არ ნიშნავს, რომ პისტოლ პიტს ქართული მენტალიტეტი ეწვია და ვილაცასთან საქმე ჩააწყო, უბრალოდ, ტოტალიზატორებში კოეფიციენტი მისი გამარჯვებისთვის გუშინდლამდე ყველაზე დაბალი იყო.

თავიდან სამპრასს არ აფასებდნენ. მელბურნელ ბუკმეიკერთა განსჯით, სამპრასის გაჩემპიონებაზე ფულის ჩამომსვლელი გვარიან რისკს ეწეოდა, ამიტომ გამართლების შემთხვევაში 15-ჯერ მეტი თანხა უნდა მიეღო. ამის მიზეზი რამდენიმე იყო: სამპრასის დაბალი განთესვა, მისი უხეირო თამაში შარშანდელ სეზონში და, ცხადია, ასაკი — მას საცა, ვეტერანს დაუძახებენ.

გამოხდა ხანი. ავსტრალიის ღია პირველობა პანტაპუნტით მიატოვეს ლეიტონ ჰიუიტმა, გუსტავო კუერტენმა, სებასტიენ გროჟანმა, ევგენი კაფელნიკოვმა, ტიმ ჰენმანმა და ბუკმეიკერებმა აღმოაჩინეს, რომ სამპრასის შანსები მორიგი ტიტულის მოსაგებად ფრიად სოლიდური გახდა. ასე არ იყო შარშანწინდელ უიმბლდონზე, როცა სეზონის განმავლობაში არცთუ წარმატებული „პისტოლ პიტი" უეცრად პოდიუმის თავზე შედგა?! და ჩვენში უფრო კუშად ხმობილი კოეფიციენტი მკვეთრად ჩამოხტა, გახდა 2,85. ეს იყო მარატ საფინთან მატჩის წინ და ოლოლო მელბურნელ ბუკმეიკერებს! საფინმა სამპრასს მერვედფინალი მოუგო, თან საკმაოდ ადვილად.

დიახ, თამაშზე თამაში ადვილ პროფესიათა რიგში არ შედის და ამ საქმის ქართველ პროფესიონალებს ვურჩევთ, დაფიქრდნენ, სანამ ფულს ვინუს უილიამსის გამარჯვებაზე შეაგდებდნენ, კოეფიციენტის სიდიდე მხოლოდ 2,25-ია. მარტინა ჰინგისზე ლარს თუ დადებთ, 3 ლარი მოგიბრუნდებათ და გასაკვირია, რით იმსახურებს აგდებულ მოპყრობას ჯენიფერ კაპრიატი, რომლის შანსებს 5,50-ით აფასებენ. შარშან ის იყო ჩემპიონი და ახლაც არა უშავს.

## კუტურიე გოგო ჭკუას არიგებს



**ფლორიდის** უნივერსიტეტის მაღალი მოდის ფაკულტეტის სტუდენტმა ვინუს უილიამსმა თქვა: სასურველი იქნება, თუ ჩემი ვაჟი კოლეგების ნაწილი თავის გარეგნობას ცოტა მეტად მიხედავსო.

„მე ვინმეს განსჯა კი არ მსურს, უბრალოდ, გემოვნებას ვუწუნებ — უთხრა უილიამსმა სააგენტო „როიტერს" — თქვენც კარგად იცით, კაცი ჩაცმულობითაც ფასდება. თუ წესიერად არ გაცვია, ეს მავნეა მხოლოდ შენთვის; როცა ცუდად გამოიყურები, თამაშის ხარისხიც გიფუჭდება".

თვითონ უილიამსი, მოგეხსენებათ, ქებულია თავის ფორმათა წარმოჩენის უნარით. მოტკეცილ, ბევრგან ნაჭერნაკლულ სამოსში ვინუსი კორტზე ფრიად მიმზიდველია, მაგრამ ორი აზრი ყველაზე იდეალურ შემთხვევებშიც არსებობს. კერძოდ, გაზეთ „სანდი ჰერალდ სანის" (მელბურნის გაზეთია) უგემოვნოთა შავ სიაში შავი ვენერაც მოხვდა. გაზეთის კრიტიკა დაიმსახურა უილიამსის სამოსმა ავსტრალიის ღია პირველობაზე, რომელშიც თეთრი ფერი ზეობს „სპაგეტის" ტიპის თხელი ქამრის თანხლებით.

მოხვდა ანა კურნიკოვას ახალ ლურჯ კაბას, დაიწუნეს ამანდა კუტცერის ტანისამოსი, ხოლო მარი პირსის ჩაცმულობას სულაც, გიჟური უწოდეს.

უილიამსი კი თანასქესელებსაც გადასწვდა, კოკავ, შენ გეუბნები, ლიტრავ, შენ გესმოდესო. ქალი პირველ რიგში ქალი უნდა იყოს — აღნიშნა 21 წლის ვინუსმა — და გარეგნობაზე მეტი უნდა იფიქროს, ვიდრე პირველი მოწოდების პროცენტზე. ყველას კარგ ჩაცმა-დახურვას ვუსურვებ".

# თსუ შქარაბაკოდ, მუშკუდიანით

**ჯერ კიდევ** ბათუმის „ბასკოში" თამაშისას ლევან ქარაბაკმა მუხლი მძიმედ დაიშავა და ზღვისპირელებს კარგა ხნით გამოაკლდა. სწორედ ეს გახდა იმის მიზეზი, რომ ქარაბაკი ჩემპიონთა შორის აღარაა.

თსუ-მ საქართველოს ჩემპიონატის ერთ-ერთ საუკეთესო, მაგრამ ჯერაც ტრავმამოუშუშებელ თავდამსხმელზე უარი არ თქვა, თავისთან მიიხმო და არც უნანია. ქარაბაკს მუხლი კი აწუხებდა, მაგრამ ამას ხელი არ შეუშლია მისთვის, გუნდის ლიდერი გამხდარიყო. მისი დამსახურებაა, თსუ უკლებლივ ყველა ფავორიტს ტოლ-სწორად რომ ეთამაშა და ოქროსმაძიებელთა მარაქაში გაერია.

ახლა კი, როცა ჩემპიონატის განახლებას აღარაფერი უკლია, ქარაბაკს თავი ძველმა ტრავმამ შეახსენა. იგი ოპერაციას იკეთებს და თსუ-ს ლიდერის გარეშე ყოფნა ექვსი კვირა მოუწევს. გუნდის ხელმძღვანელობას იმედი აქვს, რომ კალათბურთელი ექვსთა შეყრამდე მომჯობინდება, მანამდე კი ფონს უმისოდაც გავლენ.

ვარჯიშს შეუდგა დავით მუშკუდიანი. იგი თსუ-ს განაცხადში კი ჰყავდა, მაგრამ მას უცხოურ კლუბში სურდა კარიერის გაგრძელება და როგორც ჩანს, სასურველი ვარიანტი ვერ გამონახა.



ლევან ქარაბაკმა მუხლს უნდა მიხედოს

# შევარდენი ფრთების ტყუილად ფართხუნს არ აპირებს

## თუ დაგვაცადეს, ჩვენც გავფრინდებით

**თბილისის** „შევარდენის" ახალი მწვრთნელი მიხეილ კობეშავიძე არც მალავს, რომ მის გუნდს ექვსეულისთვის ბრძოლა არ ძალუძს. პირველ წრეში ავიაქარხნელებმა საკმაოზე მეტი მატჩი დათმეს, მხოლოდ ახალგაზრდულ „ქუთაისს" და სსუ-ს მოუგეს, რითაც შემდგომ ეტაპზე გასვლის შანსი თითქმის მოისპეს.

კობეშავიძე თადარიგს აქედანვე იჭერს და უკვე მომდევნო ჩემპიონატისთვის ემზადება. „შევარდენს" ორი ახალწვეული ჰყავს. რევაზ ჭირაქაძე, რომელიც ბოლოადგილოსან „ქუთაისში" ერთ-ერთი ნათელი წერტილი იყო, მეორე წრიდან თბილისელებს შეეწევა; ლაშა გამყრელიძისთვის კი „შევარდენი" პირველი უმაღლესლიგური გუნდია, იგი კადეტთა ნაკრების წევრია და ზაფხულში ლიტვაში გამართულ ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზეც უთამაშია. ფიზიკური მონაცემებით არ გამოირჩევა, მაგრამ საკმაოდ სწრაფია და ბურთს გონივრულად ათამაშებს.

თუ გუნდში დარჩა (მწვრთნელების ბედი ხომ ვიცით), მწვრთნელი „შევარდენისგან" ახალი გუნდის შექმნას აპირებს.

„სასწაული უნდა მოხდეს, რომ ექვსეულში მოვხვდეთ. ჩვენს სავარაუდო მეტოქეს, ანუ „მაკაბის" მეექვსე ადგილზე გასვლის გაცილებით უკეთესი შანსები აქვს. „მაკაბიმ" „აზოტი" და სტუ დაამარცხა, მას ჩვენზე სამით მეტი მოგება აქვს და შემდეგ ეტაპზეც ის ითამაშებს. ჩვენ კი უმაღლეს ლიგაში ადგილის შესანარჩუნებლად ვიბრძოლებთ, რაც არ გაგვიჭირდება და აქედანვე მომავალი სეზონისთვის მოვემზადებით. თუ დავრჩი, სრულიად ახალი გუნდის ჩამოყალიბებას ვაპირებ, რომელსაც გაცილებით მეტის პრეტენზია ექნება — გვითხრა გუშინ მიხეილ კობეშავიძემ.

„შევარდენი" კვირას თსუ-ს ამხანაგურად გაეჯიბრა და 10 ქულით დამარცხდა. მომავალ სპარინგ-პარტნიორად კი სავარაუდოდ რუსთავის „აზოტი" ეყოლება.

**ირაკლი ბერტაია**


სამკურნალო-დიაგნოსტიკური ცენტრი
კარდიოექსპრესდიაგნოსტიკა
გულის დაავადებების თანამედროვე სრულფასოვანი არაინვაზიური დიაგნოსტიკა

- კვალიფიციური კარდიოლოგთა კონსულტაცია
- გულის ტრანსეზოფაგული და ტრანსთორაკალური ექოსკოპია, ფერადი დოპლერი, სტრესექოსკოპია
- ფიზიკური დატვირთვის ტესტი ტრედმილით
- ტრანსეზოფაგული ელექტროფიზიოლოგიური კვლევა და სტრეს-ტესტი
- გულის რიტმის 24-საათიანი მონიტორირება (ჰოლტერის მეთოდით)
- არტერიული წნევის 24-საათიანი მონიტორირება
- ელექტროკარდიოგრაფია
- ლაბორატორიული კვლევა
- ულტრათანამედროვე აპარატურა, მონაცემების კომპიუტერული დამუშავება

თბილისი, ვაჟა-ფშაველას 83/11 (III და IV კვარტალს შორის, №1 სამკურნალო პროფილაქტიკური ცენტრის შენობა)
☎ 53-73-00; 95-00-33


**NBA. რეგულარული ჩემპიონატი**

# დაკიდებული ჯორდანი ხვდება, რამდენს კარგავს, ამდენს რომ კარგავს

**19 იანვარი**

**მაიამი 100:88 ინდიანა**

**მაიამი:** სტრიკლენდი (9 ქულა, 13 პასი), ჯონსი (23), გილი (13), გრანტი (12 ქულა, 10 მოხსნა), მურნინგი (12); ელისი (14), შაუსი (9), ჯეკსონი (4), გეტლინგი (4)

**ინდიანა:** როუზი (21), მილერი (14), ბენდერი (9), ფოსტერი (4), როჯერსი (5); ჰარინგტონი (14), კროშერი (12), ბესტი (9)

„მაიამი ჰიტისთვის" მზე იანვარში ამოვიდა და ვოვა სტეფანიას გუნდმა ახლაღა დაიწყო იმის კეთება, რასაც მისგან ორი თვის წინ ელოდა მაშინ ჯერაც ერთგული გულშემატკივარი. „ჰითმა" ისარგებლა „ინდიანას" ორი ლიდერის — ჯამაალ ტინსლის და ჯერმენ ონილის არყოფნით და ზედიზედ მეოთხე, ბოლო ათ შეხვედრაში კი მეშვიდე გამარჯვება ჩაიწერა, ხოლო „ინდიანას" ზედიზედ მარცხთა ჯაჭვი ხუთამდე დაუგრძელა.

„მაიამი" იგებს მაშინ, როცა მისი ცხრილის მეზობლები მარცხთა ბურანში გახვეულან. ამდენად, პატ რაილის შეგირდებს რამდენიმე საფეხურით ალზევების შანსი უჩანთ, „ნიუ იორკი" ზედიზედ შვიდი მარცხით დაზურგულა, „ატლანტა" — ექვსით, „კლივლენდს" კი არსად გამოეყოფა თავი, ამ პარასკევს ზედიზედ მეცხრე მეტოქეს დაეჩაგვრინა.

მცოდნენი „მაიამის" მეტამორფოზას გამთამაშებლის შეცვლას უკავშირებენ. შეტევათა ორგანიზაციის საქმეში როდ სტრიკლენდი აშკარად მეტად განსწავლულია, ვიდრე ენტონი კარტერი. სტრიკლენდი მეტოქის ნახევარზე ცეცხლს ანთებს და „მაიამიმაც" ბოლო სამ შეხვედრაში მეორედ უწია მანამდე ზედიზედ 35 მატჩში ვერმიღწეულ 100-ქულიან ზღვარს.

მაიამელთა მიყოლებით მეოთხე ზეობამ ჩვენებური სტეფანიას გარეშე ჩაიარა. ისე კი, ძირითადებს მაინცდამაინც არ დასჭირვებიათ ახალი სისხლი. მათ თავიდანვე მარჯვედ შეუტიეს და პირველ მეოთხედში 29:16 დაწინაურების შემდეგ შვიდ ქულაზე ახლოს არ გაიკარეს მეტოქე.

**18 იანვარი**

**მილუოკი 115:110 ორლანდო**

**მილუოკი:** ალენი (28), კასელი (26 ქულა, 9 მოხსნა, 8 პასი), ტომასი (22)

**ორლანდო:** მილერი (25), მაკგრეიდი (22)

**ფინიქსი 103:100 მინესოტა**

(ძირითადი დრო 93:93)

**ფინიქსი:** მარიონი (26 ქულა, 10 მოხსნა), მარბერი (23 ქულა, 8 მოხსნა, 8 პასი)

**მინესოტა:** გარნეტი (32 ქლა, 14 მოხსნა), ბილაფსი (26), შჩერბიაკი (22)

**ტორონტო 89:77 ნიუ ჯერსი**

**ტორონტო:** კარტერი (23)

**ნიუ ჯერსი:** კიდი (19)

**კლიპერსი 109:103 კლივლენდი**

**კლიპერსი:** ბრენდი (24 ქულა, 11 მოხსნა), რიჩარდსონი (22)

**კლივლენდი:** მილერი (24 ქულა, 10 პასი), მიური (24)

**საკრამენტო 121:97 გოლდენ სტეიტი**

**საკრამენტო:** ვებერი (26), სტოიაკოვიჩი (20)

**გოლდენ სტეიტი:** ჯემისონი (24), რიჩარდსონი (19)

**ბოსტონი 101:104 ჰიუსტონი**

**ბოსტონი:** პირსი (38 ქულა, 11 მოხსნა), უოლკერი (25 ქულა, 11 მოხსნა)

**ჰიუსტონი:** ფრენსისი (26 ქულა, 15 მოხსნა, 10 პასი), მობლი (21), გრიფინი (19)

**ინდიანა 93:96 დეტროიტი**

**ინდიანა:** როუზი (31), მილერი (20)

**დეტროიტი:** სტეკჰაუზი (32)

**დენვერი 96:90 სიეტლი**

**დენვერი:** ბოუენი (18), ჯონსონი (18)

**სიეტლი:** პეიტონი (25), ლუისი (19)

ნბა-ს უპირველეს ექსპლოატატორ „ლეიკერსს" ხშირი მარცხიანობის ჟამი უდგას და ცხრილის მწვერვალიდანაც ჩამოიჩოჩა, ხოლო დანარჩენმა ბობოლებმა მისი მემკვიდრეობისთვის დიდი ბრძოლა გააჩაღეს, ორი ყოჩაღი პროვინციელის — „საკრამენტოსა" და „მინესოტას" დავაში ჯერჯერობით პირველი მძლავრობს, თან მდევართა გულთსაზეთქად ისე იოლად იგებს თამაშებს, ბევრმა კალმოსანმა მისი სახით უკვე მომავალი ჩემპიონი დახატა.

ჩემპიონობისა რა მოგახსენოთ, იქამდე ჯერ ბლომად გზა დარჩენილა გასავლელი, აი, „კინგზის" „გოლდენ სტეიტთან" ცალი ხელით გამარჯვება კი უნდა აღვნიშნოთ.

ამასობაში, სანამ პატარა ქალაქელი „მეფეები" ქალაქ-გიგანტთა გაერთიანების, სან ფრანცისკოს სათავანო „მეომრებს" „სჯიდნენ", მინესოტელი „მგლები" ფინიქსში იქაურ „მზეებთან" დაიღაგნენ. „მგლების" გაწბილება მასპინძელთაგან ყველაზე მომეტებულად თავად ყოფილ „მგელს" სტივენ მარბერის მოუწადინებია. ყოფილ თანაგუნდელთა გამწარების სურვილმა ამ ჯეელს ბევრი კარგი რამ აკეთებინა. მანვე ჩააგდო ოვერტაიმის დამთავრებამდე ოთხი წამით ადრე 100:100 ანგარიშის შემცვლელი და გამარჯვების მომტანი სამქულიანი ხოლო კლუბმა და მედიამ ამის გამო თამაშში 28 სროლიდან 21-ის აცილება მიუტევა.

„მინესოტამ" ბოლო ათ თამაშში პირველად წააგო. შედეგად ვერც „საკრამენტოს" დაეწია და სულაც „ლეიკერსის" ზურგსუკან დარჩა.

ჰიუსტონელ მარჯვე ბიჭ სტივ ფრენსისს ერთი-ორი დღით გაუარა ქრონიკულმა შაკიკმა, ისიც თავისიანებს სტუმრად ზორბა „ბოსტონის" წამოქცევაში შეეშველა. ფრენსისს თავიდან არ წასვლია თამაში, პირველი ტაიმი ექვსი ქულით დაუმთავრებია, მაგრამ მეორე ტაიმში, მეტადრე ბოლო მეოთხედში აფეთქებულა და თავის წილად 14 ქულას გამოსულა. საბოლოოდ ფრენსისმა კარიერაში მეოთხედ შეაგროვა სამმაგი დუბლი და ადგილობრივ ქომაგთა კერპ პოლ პირსს 38 ქულა წყალში გადაუყარა.

**19 იანვარი**

**სან ანტონიო 81:98 ლეიკერსი**

**სან ანტონიო:** ბ. სმიტი (21), დანკანი (20 ქულა, 15 მოხსნა)

**ლეიკერსი:** ბრაიანტი (28)

**ჩიკაგო 69:77 ვაშინგტონი**

**ჩიკაგო:** მერსერი (14), არტესტი (14)

**ვაშინგტონი:** ვიტნი (20), ჯორდანი (16 ქულა, 12 მოხსნა)

**ფილადელფია 97:89 ნიუ იორკი**

**ფილადელფია:** აივერსონი (34), მუტომბო (24 ქულა, 16 მოხსნა)

**ნიუ იორკი:** სპრიუელი (32), ჰიუსტონი (25)

**ატლანტა 107:116 მილუოკი**

**ატლანტა:** ტერი (22), მუჰამედი (22)

**მილუოკი:** ალენი (31)

**შარლოტი 89:91 ტორონტო**

**შარლოტი:** კემპბელი (22), დევისი (18)

**ტორონტო:** კარტერი (34)

**დეტროიტი 94:91 ბოსტონი**

**დეტროიტი:** სტეკჰაუზი (28)

**ბოსტონი:** უოლკერი (28), პირსი (23)

**ნიუ ჯერსი 99:90 ჰიუსტონი**

**ნიუ ჯერსი:** ვან ჰორნი (22), კიტლზი (21)



დრონი, დრონი... მაიკლ ჯორდანი ჩიკაგოში სტუმარი გამხდარა

**ჰიუსტონი:** ნორისი (23), ტომასი (21)

**დალასი 106:103 იუტა**

**დალასი:** ნოვიცკი (34), ნეში (23)

**იუტა:** მელოუნი (28), სტოქტონი (24)

**მემფისი 103:119 ორლანდო**

**მემფისი:** გასოლი (26 ქულა, 17 მოხსნა), სოლომონი (23), ფოცისი 21)

**ორლანდო:** მაკგრეიდი (25 ქულა, 10 მოხსნა, 7 პასი), ჰადსონი (18)

**სიეტლი 104:77 დენვერი**

**სიეტლი:** პეიტონი (25 ქულა, 12 პასი, 7 მოხსნა), ლუისი (17)

**დენვერი:** ვან ექსელი (28)

**გოლდენ სტეიტი 102:105 მინესოტა**

**გოლდენ სტეიტი:** ჯემისონი (23)

**მინესოტა:** გარნეტი (21), ბილაფსი (21)

**პორტლენდი 113:93 კლიპერსი**

**პორტლენდი:** სტუდემაიერი (29)

**კლიპერსი:** მაილზი (20), რიჩარდსონი (19)

ბედმა მორიგი კვანტი დაუდო კალათბურთის გვირგვინმოხდილ მეფე მაიკლ ჯორდანს. მისი „ვაშინგტონი" „ჩიკაგო ბულზს" სტუმრობდა, გუნდს, რომლის შავ-წითელ-თეთრი მაისურა მაიკლს 13 წელიწადს ემოსა (ხანგრძლივ „შვებულებათა" გამოკლებით).

ჯორდანის მრავალი ფრენის მომსწრე და, რაღა თქმა უნდა, პირთამდე გადაჭედილმა „იუნაიტედ სენთერმა" მხურვალე დახვედრა მოუწყო იმ კაცს, რომლის 23-ნომრიანი მაისურა იმ დარბაზის ჭერზე ამაყად კიდია და რომელიც ამ დარბაზში პირველად გამოჩნდა სხვა გუნდის ფორმით მოსილი. მატჩის დაწყებამდე რამდენიმე წუთიან ოვაციაზე ჯორდანს ცრემლები წამოსცვივდა, მერე კი ახლომდგომს უთხრა, კარგი იქნებოდა, აქ სულაც არ მოვსულიყავიო.

ჭეშმარიტად. მაიკლისთვის აჯობებდა, იმ დღეს რაიმე მოემიზეზებინა და იქ არ გამოჩენილიყო. ხალხი მას ისე დახვდა, როგორც ჯერაც თავის კერპს და არა მეტოქეს. სწორედ ამას აურია მაიკლს თავ-გზა. თამაშზე კონცენტრაციის უნიკალური უნარის წყალობით ყველა მოთამაშეზე შორს წასულმა მაიკლმა ამჯერად საკუთარი თავი ვერ დაიმორჩილა. გრძნობებმოძალებული ერთობ დაბნეული გახლდათ და თამაშში 21 სროლიდან 14 ააცილა. ეს კიდევ არაფერი. მან ცხრაჯერ დაკარგა ბურთი და კარიერის ანტირეკორდიც დაამყარა.

„ვაშინგტონმა" კი მაინც მოიგო, რადგან მეტოქედ ნბა-ს უსუსტესი გუნდი „ჩიკაგო ბულზი" ჰყავდა. იმ დღეს ჯორდანთან ერთად უწინ მისი, აწ კი სხვისი „ჩიკაგო ბულზიც" დაბნეული იყო. მასპინძლებმა პირველ სამ მეოთხედში 40 ქულასაც ვერ უწიეს. მთლიანად ჯამში კი თამაშიდან სროლების 24,7 პროცენტი თუ ჩააგდეს და ლამის ლიგის ყველა დროის ანტირეკორდს გამოჰკრეს ხელი.

**ირაკლი ფირცხალავა**



**ფიდეს მსოფლიოს ჩემპიონატი**
მოსკოვი. 16-28 იანვარი

**ვასილი ივანჩუკი** (2) — **რუსლან პონომარიოვი** (3)



# შანსები — საპნის ბუშტები
## ივანჩუკი თავს ემტერება



**მხოლოდ** სამი პარტია დარჩა ფიდე-ს მსოფლიოს პირველობის კლასიკური ნაწილის დამთავრებამდე და თუ ფრე არ იქნება, აღარც გაგრძელდება — სულ თავიდან მოგებული პარტიით პონომარიოვი ლიდერობს და მისი უფროსი კოლეგისთვის მნიშვნელობა დაკარგა, თეთრებით ითამაშებს თუ შავებით, ერთხელ მაინც მოგებას უნდა ეცადოს.

მეოთხე პარტიაში ივანჩუკს ფერის კოზირი ჰქონდა, თუმცა თავიდან მეტოქემ მიიტანა იერიში. დაფის განაპირას პონომარიოვის შავი პაიკი ბურღივით იკაფავდა გზას და კინაღამ პირველ ჰორიზონტალს უწია, მაგრამ ივანჩუკმა აქეთ მოუყარა მთელი თავისი ძალები და პაიკმა ვერაფერი გააწყო. ენდშპილში თეთრებს ზედმეტი პაიკი ჰქონდათ და შანსიც, რომ მატჩის ანგარიში გაეთანაბრებინათ, მაგრამ ნაწყვარ ქულასდა გამორჩნენ.

პრესკონფერენციაზე ცნობისმოყვარე ჟურნალისტებმა თამაშის ხარისხის შეფასება ითხოვეს. პონომარიოვმა, ჯერ არცთუ მაღალიაო, რის მიზეზადაც ნერვული დაძაბულობა მოიყვანა, ხოლო ივანჩუკის პასუხი ბევრად ცოცხალი იყო: „ხარისხი ახლა საერთოდ არ მაინტერესებს." შედეგი აინტერესებს...

კვირა დასვენების დღე იყო. ივანჩუკი დიდ თეატრში წასვლას აპირებდა, პონომარიოვი — მწვრთნელ გენადი კუზმინის 56 წლისთავის აღნიშვნაში მონაწილეობას, გუშინ კი მე-5 პარტია გათამაშდა.

ივანჩუკმა კიდევ ერთხელ შეცვალა დებიუტი, e4-ზე ღია e5-ით უპასუხა და გამოვიდა ესპანური პარტია, რომელსაც პოზიციური თამაშის შეცნობის საუკეთესო საშუალებას უწოდებენ. თეთრებმა პარტია ისე ააწყვეს, რომ მარშალის კონტრშეტევა არ გამოვიდოდა, თორემ ეჭვი არ არის, ივანჩუკი შემოუტევდა მდგომარეობას გასამწვავებლად. სამაგიეროდ, შავებმა მე-10 სვლაზე ეგრეთ წოდებული ბრეიერის მანევრი განახორციელეს და პოზიცია ჩაიხურა. შავი პაიკები კარგად განთავსდნენ ცენტრსა და ლაზიერის ფრთაზე, ოღონდ მეფის ფლანგი დაუსუსტდათ. ივანჩუკმა შეტევა დაასწრო, შავი პაიკები ფართო ფრონტით ამოძრავდნენ და თეთრი დაცვა ლაზიერის ფრთის კიდურზე გაწყვიტეს. 45-ე სვლის შემდეგ თეთრების საქმე ძალიან ცუდად იყო (იხილეთ დაფა) და მალე კი აღარ... ივანჩუკის უზუსტობათა სერიის შემდეგ ეს პარტიაც ყაიმით დამთავრდა.

**დავით გულუა**



# იმერეთში პირველი ჭარხალაშვილია
## დიდი, პატარა, ქალი და კაცი

**ნააახალწლევს** ქუთაისის სპორტულმა ლიცეუმმა იმერ მოჭადრაკეთა აბსოლუტურ პირველობას უმასპინძლა. შვეიცარიული სისტემით, ცხრატურად გამართულმა ტურნირმა 42 მოჭადრაკეს მოუყარა თავი. რომ იტყვიან, ყველა აქ იყო, დიდი, პატარა, ქალი და კაცი.

მონაწილეთაგან ყველაზე ტიტულოვანმა, 18-წლამდელ გოგონათა შორის ევროპის ჩემპიონმა, ქუთაისელმა ფიდეს ოსტატმა ინგა ჭარხალაშვილმა 8,5 ქულა მოაგროვა და ყველასაც აჯობა. ქულანახევრით ნაკლები ჰქონდა 15 წლის თერჯოლელ გიგა ყუფარაძეს. 6,5-6,5 ქულით III-V ადგილები გაინაწილეს სამტრედიელებმა ნიკო ლეკვეიშვილმა, დავით ჯოჯუამ და ქუთაისელმა საერთაშორისო ოსტატმა ნანა მაგნიძემ.

**იუზა კაციტაძე ქუთაისიდან**



**NHL. რეგულარული ჩემპიონატი**

# პოლიცია ხვდება, რომ საქმეც უნდა აკეთოს

**18 იანვარი**

**კოლუმბუსი 1:3 მინესოტა 1:0 0:2 0:1**
1:0 კნუტსენი (14), 1:1 კუბა (25), 1:2 კუბა (38), 1:3 გაბორიკი (53)

**დეტროიტი 3:1 ვაშინგტონი 2:1 0:0 1:0**
1:0 რობიტაილი (2), 1:1 ბონდრა (10), 2:1 ჰალი (20), 3:1 ფიოდოროვი (47)

სახელოვან დეტროიტელ ბომბარდირთა ტრადიციები გრძელდება: ამიერიდან ლუკ რობიტაილი მარცხენა გარემარბებში პირველია 611 შაიბით, ხოლო ბრეტ ჰალი 99 გამარჯვების გოლით მე-3 გახდა. აღსანიშნავია, რომ ორივემ გაუსწრო ბრეტის მამას, ბობი ჰალს.

**ტამპა 2:2 ჩიკაგო 1:1 1:1 0:0 0:0**
0:1 ამონტე (9), 1:1 სენტლუისი (12), 1:2 სალივანი (27), 2:2 სენტლუისი (35)

**დალასი 2:3 ფლორიდა 0:1 1:2 1:0**
0:1 კოზლოვი (4), 1:1 მოულერი (21), 1:2 ნილსონი (32), 1:3 ჰაგმანი (38), 2:3 ზუბოვი (59)

ამჯერად ფლორიდამ თავისი ჩხუბით გაიტანა, ამასთან, ექვს შეხლა-შემოხლაში ყველაზე მეტად შავკანიანმა პიტერ უორელმა იაქტიურა, რომელიც სამჯერ ჩაება მუშტი-კრივში.

**ედმონტონი 3:1 ანაჰაიმი 1:1 1:0 1:0**
0:1 ჩელბერგი (6), 1:1 კლირი (13), 2:1 რ. სმიტი (35), 3:1 კომრი (51)

**19 იანვარი**

**ნიუ ჯერსი 3:3 კაროლინა 0:0 2:1 1:2 0:0**
0:1 ჰედიკანი (23), 1:1 მედენი (24), 2:1 არნოტი (36), 3:1 სიკორა (42), 3:2 კოული (46), 3:3 უორდი (48)

**ლოს ანჯელესი 2:3 აილენდერსი 0:1 2:2 0:0**
0:1 მილერი (2), 0:2 ოკუანი (21), 0:3 ჩერკავსკი (23), 1:3 მეირი (30), 2:3 პალფი (39)

ფარმკლუბიდან გამოძახებულმა ვეტერანმა კიპ მილერმა პირველივე მატჩში იხეირა (გოლი და პასი). სხვათა შორის, აილენდერსის თავკაცის ასისტენტი მისი ძმა კევინი გახლავთ.

**ტამპა 1:5 მონრეალი 0:3 1:1 0:1**
0:1 დაკელი (2), 0:2 ბულისი (4), 0:3 ოჯიკი (20), 0:4 ზედნიკი (28), 1:4 ციგერი (29), 1:5 რიბეირო (47)

**ოტავა 4:1 მინესოტა 0:0 2:1 2:0**
0:1 ულცი (28), 1:1 ჰერპერგერი (31), 2:1 ჰავლატი (36), 3:1 მაკიჩერნი (44), 4:1 ჰოსა (55)

**ვაშინგტონი 1:5 ვანკუვერი 0:0 0:3 1:2**
0:1 ლოვანოვსკი (36), 0:2 ჩუბაროვი (37), 0:3 კესელსი (40), 0:4 მორისონი (42), 1:4 საიმონი (54), 1:5 კესელსი (55)

**ტორონტო 0:3 ფილადელფია 0:0 0:1 0:2**
0:1 ბრაშირი (26), 0:2 უილიამსი (47), 0:3 ფედორუკი (60)

ფილადელფიის პოლიცელებმა — დონალდ ბრაშირმა და ტოდ ფედორუკმა ჩხუბიც მოასწრეს და გოლების გატანაც. ფედორუკმა სეზონში მეორე გოლი ცარიელ კარში შეაგდო.

**ფინიქსი 1:3 ბუფალო 0:1 1:1 0:1**
0:1 ბარნსი (3), 1:1 ბრირი (22), 1:2 მაკი (25), 1:3 შატანი (60)

**კალგარი 2:1 ანაჰაიმი 0:1 1:0 1:0**
0:1 მაკდონალდსი (14), 1:1 ნიკოლი (25), 2:1 კლარკი (42)

**ედმონტონი 0:1 პიტსბურგი 0:0 0:1 0:0**
0:1 ლაუკანენი (28)

**სან ხოსე 1:3 კოლორადო 0:2 0:1 1:0**
0:1 ვრბატა (7), 0:2 დრური (18), 0:3 სკოულა (28), 1:3 მარლო (47)

**ფლორიდა 1:6 ატლანტა 0:2 1:1 0:3**
0:1 ჰიტლი (11), 0:2 რომი (13), 0:3 რომი (26), 1:3 დაიენე (30), 1:4 რომი (41), 1:5 კოვალჩუკი (46), 1:6 რომი (58)

ილია კოვალჩუკმა და დანი ჰიტლიმ „იანგ სტარის" მატჩში მონაწილეობის უფლების მოპოვება ღირსეული თამაშით აღნიშნეს. მათი და პასკალ რომის ტრიომ 6 გოლი და 7 პასი მიითვალა, თანაც, რომმა პირველად ატლანტის ისტორიაში პოკერი შეასრულა, ხოლო კოვალჩუკმა — 5(1+4) ქულა დააგროვა. გამწარებულმა ფლორიდამ კი, სხვა რას იზამდა, უფრო გახელებით იჩხუბა, ვიდრე წინა დღეს.

**ნეშვილი 2:1 კოლუმბუსი 1:0 0:0 1:1**
1:0 ჯონსონი (7), 1:1 ტიმანდერი (43), 2:1 სკრასტინში (52)

**სენტ ლუისი 2:1 ბოსტონი 0:0 1:1 0:0 1:0**
1:0 ტკაჩუკი (28), 1:1 ლაპოინტი (39), 2:1 ტკაჩუკი (64)

სენტ ლუისმა ზედიზედ მერვე მოგებით საკლუბი რეკორდი გაიმეორა

**20 იანვარი**

**დეტროიტი 3:2 ოტავა 1:1 0:1 1:0 1:0**
0:1 ჰავლატი (7), 1:1 დაციუკი (12), 1:2 ჰავლატი (37), 2:2 რობიტაილი (43), 3:2 დანდენო (61)

დეტროიტელთა მორიგი მატჩი და მორიგი გამარჯვება. ამჯერად ქებადიდება სტივ აიზერმანს ერგო, რომელმაც ოვერტაიმში გამარჯვების გოლში მონაწილეობისთვის მე-1000 პასი მიითვალა. ამით იგი დიაღ ოთხეულს შეუერთდა, 600 გოლით და 1000 გადაცემით რომ გაუთქვამს სახელი.

**ჩიკაგო 3:2 დალასი 1:1 1:1 1:0**
1:0 კოლდერი (8), 1:1 მოროუ (19), 1:2 ნუინდაიკი (25), 2:2 ამონტე (31), 3:2 სალივანი (42)

**სამველ ლარიბიანი**



ანაჰაიმელმა მეკარემ ჟან სებასტიან ჟიგრმა შაიბა კი მოიგერია, მაგრამ ორი კალგარელი მეტოქე, ჯერომ იგინლა (№ 12) და ოლეგ საპრიკინი თანაგუნდელებმა კარში შეუგდეს

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| **ჩრდილო-აღმოსავლეთი** | | | | | | | |
| ბოსტონი | 48 | 26 | 3 | 6 | 13 | 138:111 | 61 |
| ტორონტო | 49 | 25 | 5 | 4 | 15 | 141:121 | 59 |
| ოტავა | 49 | 25 | 4 | 3 | 17 | 154:124 | 57 |
| მონრეალი | 49 | 20 | 7 | 2 | 20 | 126:130 | 49 |
| ბუფალო | 48 | 20 | 4 | 1 | 23 | 128:125 | 45 |
| **ატლანტიკა** | | | | | | | |
| ფილადელფია | 47 | 29 | 5 | 1 | 12 | 151:105 | 64 |
| აილენდერსი | 47 | 24 | 5 | 2 | 16 | 129:125 | 55 |
| რეინჯერსი | 50 | 22 | 4 | 3 | 21 | 133:149 | 51 |
| ნიუ ჯერსი | 47 | 20 | 6 | 3 | 18 | 117:117 | 49 |
| პიტსბურგი | 47 | 18 | 5 | 2 | 22 | 103:131 | 43 |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| **სამხრეთ-აღმოსავლეთი** | | | | | | | |
| კაროლინა | 51 | 22 | 7 | 5 | 17 | 138:148 | 56 |
| ვაშინგტონი | 50 | 19 | 8 | 0 | 23 | 135:153 | 46 |
| ტამპა | 47 | 17 | 5 | 2 | 23 | 93:107 | 41 |
| ფლორიდა | 48 | 15 | 3 | 3 | 27 | 95:143 | 36 |
| ატლანტა | 49 | 12 | 6 | 3 | 28 | 119:176 | 33 |
| **ცენტრი** | | | | | | | |
| დეტროიტი | 49 | 34 | 4 | 2 | 9 | 155:107 | 74 |
| ჩიკაგო | 52 | 29 | 9 | 0 | 14 | 149:135 | 67 |
| სენტ ლუისი | 47 | 26 | 6 | 3 | 12 | 135:104 | 61 |
| ნეშვილი | 48 | 18 | 8 | 0 | 22 | 124:129 | 44 |
| კოლუმბუსი | 48 | 13 | 7 | 1 | 27 | 93:133 | 34 |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| **ჩრდილო-დასავლეთი** | | | | | | | |
| კოლორადო | 49 | 26 | 6 | 1 | 16 | 122:99 | 59 |
| ედმონტონი | 51 | 24 | 7 | 2 | 18 | 130:119 | 57 |
| კალგარი | 48 | 20 | 8 | 2 | 18 | 118:124 | 50 |
| ვანკუვერი | 50 | 21 | 4 | 1 | 24 | 140:135 | 47 |
| მინესოტა | 49 | 17 | 8 | 3 | 21 | 119:142 | 45 |
| **წყნარი ოკეანე** | | | | | | | |
| სან ხოსე | 47 | 24 | 6 | 3 | 14 | 137:114 | 47 |
| დალასი | 48 | 22 | 6 | 4 | 16 | 129:125 | 54 |
| ლოს ანჯელესი | 48 | 21 | 7 | 2 | 18 | 125:111 | 51 |
| ფინიქსი | 47 | 18 | 7 | 4 | 18 | 115:126 | 47 |
| ანაჰაიმი | 51 | 14 | 6 | 3 | 28 | 107:130 | 37 |

# გაიზარდე დიდი ბიჭი!

**წლევანდელი** „ოლ. სტარი" ილია კოვალჩუკის და დანი ჰიტლის გარეშე არ ჩაივლის. მართალია, ეს ჯერ მხოლოდ 1 თებერვალს გასამართი ყმაწვილ ვარსკვლავთა მატჩია, მაგრამ წლეულს ახალგაზრდათა შოუ დიდ ვარსკვლავთა მატჩზე ნაკლებ ინტერესს როდი იწვევს. და ეს სწორედ ამ ორი ყმაწვილის სენსაციურმა დებიუტმა განაპირობა. კი, მათგან ბევრს ელოდნენ, მაგრამ თუ უმალ ლიდერებად იქცეოდნენ და ნებისმიერ მეტოქეს საფიქრალს გაუჩენდნენ, არავის ეგონა. დღესდღეობით კოვალჩუკი და ჰიტლი იმდენად დამაჯერებლად ლიდერობენ დებიუტანტ ბომბარდირთა სიას, (შესაბამისად, 43 და 41 ქულა), რომ ახლავე უყოყმანოდ შეიძლება მათთვის „კოლდერ ტროფის" მინიჭება. 1994 წლის შემდეგ პირველად ხდება, როდესაც ერთბაშად ორი დებიუტანტი პირველობს თავის კლუბში, თანაც, მათ გარდა არც ერთ ატლანტელს არ მიუთვლია 25 ქულაზე მეტი.

# ვარსკვლავბიჭები ვარსკვლავბიძებამდე

მესამე ახალბედა, ვისაც სადებიუტო სეზონში ჭაბუკ ვარსკვლავთა მატჩში მონაწილეობის პატივი ერგო, რეინჯერსის მეკარე დან ბლეკბერნია. ისიც კოვალჩუკის კბილაა — 18 წლისა, მაგრამ უკვე გახდა „რეინჯერთა" მთავარი კარის დარაჯის, მაიკ რიხტერის სრულფასოვანი და საიმედო შემცვლელი. მეორე გოლკიპერად ფლორიდელი რობერტ ლუონგო აირჩიეს.

ექვსი მცველიდან ყველაზე ცნობილნი პიტსბურგელი ენდრიუ ფერიენსი და კაროლინელი დავიდ ტანაბე არიან, ხოლო ფორვარდთაგან შეიძლება გამოვყოთ მინესოტელი მარიან გაბორიკი, ტამპელი ბრედ რიჩარდსი და ოტაველი მარტინ ჰავლატი. რიჩარდსი და ჰავლატი ბოლო „კოლდერ ტროფის" სამ ფინალისტს შორის იყვნენ, ხოლო გაბორიკი თავის მეორე სეზონში უფრო დამაჯერებლად გამოიყურება და მინესოტას საუკეთესო ბომბარდირი გახლავთ. სიაში სულ 24 მოთამაშეა.

საინტერესოა თამაშის წესები: ნორჩები ორ გუნდად (12-12 ჰოკეისტი) დაიყოფიან, ხოლო შეხვედრა სამი პერიოდისგან შედგება, რომლებიც 12-12 წუთს გასტანს, თანაც მეტოქეებს 4-4 მოთამაშე ეყოლებათ. ფრის შემთხვევაში დაინიშნება ოვერტაიმი — პირველ გოლამდე

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დიუმა კავკასიიდან კმაყოფილი წავიდა

## უკმაყოფილო არც ქართველები დარჩნენ

**ექვსი ოქრო,** სამი ვერცხლი და ათი ბრინჯაო, ასეთია ქართველ ძიუდოისტთა მონაგარი ამ უქმეებზე თბილისში გამართულ „ა“ კატეგორიის საერთაშორისო ტურნირზე.

ეს ტურნირი, ერთ დროს, ეეჰ, როგორ პრესტიჟული, ჩვენმა ბოლო წლებში აწეწილმა ცხოვრებამ შეიწირა და ქართული ძიუდოს სამყარო მის აღდგენას ლამობს. ვნახეთ კიდეც სამახსოვრო მომენტები თბილისურ ტატამზე, მიუხედავად იმისა, რომ ცხრა ქვეყნიდან წვეულთაგან არც ერთი მეტნაკლებად ცნობილი ძიუდოისტი არ ჩამოსულა.

ორი დღის მანძილზე სპორტის სასახლეში მოსული მრავალრიცხოვანი გულშემატკივარი ქართველ ფალავნებს რუსებთან, ფრანგებთან; სომხებთან თუ აზერბაიჯანელებთან ჭიდაობისას მხარს ისე უჭერდა, კაცს ეგონებოდა, მსოფლიოს ჩემპიონატის ანაც ოლიმპიადის ფინალურ შეხვედრებიაო. საქომაგო მიზეზიც მრავლად იყო, დაძაბული და ლამაზი ორთაბრძოლები ბლომად ვიხილეთ.

შეჯიბრების პირველ დღეს 81, 90, 100 და მძიმე წონითი კატეგორიის წარმომადგენლები არკვევდნენ ერთმანეთში ურთიერთობას.

მაყურებელთა დიდი სიმპათია დაიმსახურა შარშანდელი მსოფლიოს ჩემპიონატის ვერცხლისმედალოსანმა ზურაბ ზვიადაურმა. ამ მართლაც ნიჭიერმა ფალავანმა 90 კილოგრამ წონაში არც ერთ მეტოქეს იოტისოდენა შანსიც კი არ დაუტოვა. ზვიადაურმა ფინალამდე გზა უპრობლემოდ გაიარა და იქ სომხური წარმოშობის ფრანგ ნიკოლა ბუზუკლიანს ეფექტური გდებით მოუმთავრა საქმე. თუმც ამ ეპიზოდმა დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია. ქომაგთ დარჩათ აზრი, რომ ზვიადაურს ილეთი ბოლომდე არ გამოუვიდა და ფრანგი მსაჯებმა დაჩაგრეს. მიუხედავათ ამისა ზურაბ ზვიადაური მაინც იმსახურებდა მიკუთვნებულ ტურნირის საუკეთესო მოჭიდავის პრიზს.

100 კილოგრამ წონით კატეგორიაში ასევე შესანიშნავად იასპარეზა ივერი ჯიქურაულმა. ივერიმ ოქროს მედლისთვის ბრძოლაში თანამემამულე გიორგი ყიზილაშვილი დაამარცხა.

ასე დაიწყეს მასპინძლებმა კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე შედგომა და ეს სასიამოვნო პროცედურა კიდევ ოთხმა ქართველმა ძიუდოისტმა შეასრულა.

81 კილოგრამში პირველობა არავის დაუთმო მორის თადუმაძემ, რომელმაც გადამწყვეტ ბრძოლაში ნიკოლოზ ბიბილაშვილს სძლია.

მძიმე წონით კატეგორიაში ალექსი დავითაშვილი დარჩა მოურეველი. ფინალში მისი წაქცევა ვერც ფრანგმა რობერ ლემიემ შეძლო.

ტურნირის მეორე დღე დარჩენილ სამ წონით კატეგორიას დაეთმო.

60 კილოგრამის ფინალი ერთადერთი იყო, რომელშიც ქართველი არ მონაწილეობდა. ეს იმიტომ მოხდა, რომ ნესტორ ხერგიანი ცოტა არ იყოს, დაბნეული გამოვიდა ტატამზე და ფრანგ ლორან ბერნართან ზედმეტმა ნერვიულობამ დაღუპა. ფინალში კი ბერნარს მისმა თანაგუნდელმა იასირ დიუმამ აყარა შავი დღე. დიუმამ 17 წამში (!) მტკივნეული ილეთით მოგუდა თავისიანი და ოქროსაც დაეპატრონა. ხერგიანი მესამე იყო.

მძიმედ დაიწყო წონაშეცვლილმა გიორგი რევაზიშვილმა. მეორე წრეში საგარეჯოელი ახლოს იყო მარცხთან, მაგრამ მისმა გამოცდილებამ მაინც თავისი გაიტანა, ისევე როგორც ფინალში, სადაც მისი მეტოქე შარშანდელი ევროპის ვიცე-ჩემპიონი, ახმეტელი დავით მარგოშვილი იყო. მარგოშვილი დაახლოებით წუთნახევარი საგრძნობ უპირატესობას ფლობდა, მაგრამ რევაზიშვილის ოსტატობასთან ვერაფერს გახდა და საბოლოოდ წმინდად დათმო კიდეც შეხვედრა.

კვირას კიდევ ერთი ახმეტელი, დავით ქევხიშვილი გახდა დღის გმირი. 73 კილოგრამ წონაში ქევხიშვილი ფინალამდე ყველა მოწინააღმდეგეს იოლად გაუსწორდა. მან ეფექტური გდებებით დაამახსოვრა მაყურებელს თავი.

ფინალში დავით ქევხიშვილის ჩემპიონობა ბეწვზე ეკიდა. აზერბაიჯანელ შაჰინ არზუმანოვთან გამართული გადამწყვეტი ბრძოლა ფრედ დასრულდა. დაინიშნა დამატებითი ხუთი წუთი. სხვათა შორის, აზერბაიჯანელი ფალავანი იმ დღეს მეოთხე (!) დამატებით ხუთწუთეულს ჭიდაობდა. დამატებით დროში არზუმანოვს დაღლა დაეტყო და პასიურობისთვის მსაჯებმა წაგება ჩაუთვალეს. თუმც ეს ფაქტი სრულებითაც არ აკნინებს ქევხიშვილის წარმატებას.

**ბაჩო სვანიძე**

**გურამ დოლენჯაშვილის ფოტოები**



ზურაბ ზვიადაურისა (მუქ კიმანოში) და ნიკოლა ბუზუკლიანის ფინალი



ალექსი დავითაშვილი



ივერი ჯიქურაულმა (თეთრ კიმანოში) გიორგი ყიზილაშვილს აჯობა

**შაბათი**

**81 კგ**

1. მორის თადუმაძე (საქართველო)
2. ნიკოლოზ ბიბილაშვილი (საქართველო)
3. ლევან წიკლაური (საქართველო)
3. არზემ ნავერჯოვი (აზერბაიჯანი)

**90 კგ**

1. ზურაბ ზვიადაური (საქართველო)
2. ნიკოლა ბუზუკლიანი (საფრანგეთი)
3. სოსო პავლიაშვილი (საქართველო)
3. ფილიპ შუბერტი (საფრანგეთი)

**100 კგ**

1. ივერი ჯიქურაული (საქართველო)
2. გიორგი ყიზილაშვილი (საქართველო)
3. ლაშა ფეიქრიშვილი (საქართველო)
3. ტიერი ლუბერი (საფრანგეთი)

**მძიმე**

1. ალექსი დავითაშვილი (საქართველო)
2. რობერ ლემიე (საფრანგეთი)
3. ზვიად ხანჯალიაშვილი (საქართველო)
3. რამაზ ჩოჩიშვილი (საქართველო)

**კვირა**

**60 კგ**

1. იასირ დიუმა (საფრანგეთი)
2. ლორან ბერნარი (საფრანგეთი)
3. ნესტორ ხერგიანი (საქართველო)
3. მიხეილ ხომოსური (საქართველო)

**66 კგ**

1. გიორგი რევაზიშვილი (საქართველო)
2. დავით მარგოშვილი (საქართველო)
3. ჯაბა ქოთოლაშვილი (საქართველო)
3. რუსლან გასიმოვი (აზერბაიჯანი)

**73 კგ**

1. დავით ქევხიშვილი (საქართველო)
2. შაჰინ არზუმანოვი (აზერბაიჯანი)
3. ფირუზ ტყეშელაშვილი (საქართველო)
3. დავით ნადარაია (საქართველო)



მსოფლიოს 2003 წლის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირი. ვაჟები

# მოდი, ვნახოთ ხავსი



ბადრი კიკილაშვილის ფოტო

ქართველ ხელბურთელებს სასწაული თუ უშველის

**საქართველოს** ხელბურთელთა ნაკრები კვირას ჰოლანდიელებთან მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის საპასუხო მატჩში დამარცხდა და ჯგუფში პირველი ადგილის დაკავების შანსიც თითქმის საბოლოოდ გადაეწურა.

ამსტერდამის მახლობელ პატარა ქალაქ კვინტშულის დარბაზში, 1100 გულშემატკივრის თანდასწრებით, მასპინძლებმა თავიდანვე მწვავედ შეუტიეს ზაზა დოლიძის ბიჭებს და მალე ანგარიშიც გახსნეს. მაგრამ ჩვენებმა ტოლი არ დაუდეს აგრესიულად განწყობილ მეტოქეს და მთელი თამაში დაძაბულ, თანაბარ ბრძოლაში წარიმართა. ტაიმი ჰოლანდიელებმა მინიმალური უპირატესობით მოიგეს — 11:10, მატჩის მიწურულს კი ოთხი ბურთითაც დაწინაურდნენ. ქართველმა ხელბურთელებმა ანგარიშში სხვაობა კი შეამცირეს, მაგრამ ბოლომდე ძალა აღარ ეყოთ — 22:24. ყველაზე შედეგიანი იყო ბექა ორჯონიკიძე, რომლის ათი ტყორცნა მიზანს მოხვდა.

ჰოლანდიელებთან შეხვედრაში კიდევ ერთხელ გამოჩნდა ჩვენების უმთავრესი სუსტი ადგილი — სათადარიგო მოკლე სკამი. შესარჩევი ტურნირის მთელმა სიმძიმემ ცხრა მოთამაშეზე გადაიარა მაშინ, როდესაც მეტოქეებმა თავიანთი გუნდების თორმეტივე წევრი გამოცადეს. ჩვენებს აშკარად ეტყობათ სამი ლეგიონერის, როლანდ ერაძის, გარი თურქიასა და სერგო დათუკაშვილის არყოფნა. ისლანდიაში მოთამაშე ერაძეს და „ბერძენ“ თურქიას ტრავმები აწუხებთ, ხოლო იტალიის „პალამანო რუბიერას“ ერთ-ერთი წამყვანი ფორვარდის დათუკაშვილის ჩამოუსვლელობის მიზეზი სუბიექტური იყო: სერგო იმის გამო ვერ დაეხმარა გუნდს, რომ მისი მეუღლე შვილს ელოდა. დარწმუნებული ვართ, სამივე რომ მწყობრში ყოფილიყო, ვერც ფინეთი გვაჯობებდა და ვერც ჰოლანდია.

ფინელებმა ავსტრიასთან საპასუხო შეხვედრაში რვაბურთიანი რევანში კი აიღეს, მაგრამ სატურნირო ცხრილის სათავეში ჩასადგომად ამხელა სხვაობით გამარჯვებაც არ აღმოჩნდა საკმარისი. გუშინწინდელი მატჩების შემდეგ ჯგუფში ვითარება ისე დაიძაბა, რომ ერთი ტურის წინ მაჩანჩალა ჰოლანდიასაც კი გაუჩნდა საპირველადგილო შანსი. თუმც უფრო სავარაუდოა, რომ გათამაშების შემდგომ ეტაპზე ფინელი ან ავსტრიელი ხელბურთელები გავლენ.

ნუ გაიკვირვებთ და ამდენი წარუმატებლობის შემდეგ, საქართველოს ნაკრებს ერთი სასწაულებრივი შანსი მაინც დარჩა. განწირული ხავსს ეჭიდებოდაო, ჰოდა, ჩვენც ჩვენი ხავსი ვნახოთ — ავსტრიელებთან ორივე თამაშის მოგების შემთხვევაში, რაც, სამწუხაროდ, მიუღწეველი გვგონია, ერთადერთი ვარიანტიღა თუ გვიშველის: ფინეთ-ჰოლანდიის დაპირისპირებაში ერთი მატჩი ფრედ უნდა დასრულდეს, მეორეში კი ჰოლანდიამ გაიმარჯვოს.

ქართველი ხელბურთელები გუშინ საღამოს ამსტერდამიდან მატარებლით ავსტრიას გაემგზავრნენ და ზეგ, 24 იანვარს, ქალაქ ტრაუნში მასპინძელთა ნაკრებს დაუპირისპირდებიან. მეორე შეხვედრა თბილისში 27 იანვარს შედგება.

**გია ახალაძე**

**IV ტური**

ჰოლანდია 24:22 (11:10) საქართველო

ფინეთი 33:25 (18:10) ავსტრია

**სატურნირო ვითარება**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ავსტრია | 4 | 2 | 1 | 1 | 105:99 | 5 |
| ფინეთი | 4 | 2 | 1 | 1 | 99:98 | 5 |
| საქართველო | 4 | 1 | 1 | 2 | 91:94 | 3 |
| ჰოლანდია | 4 | 1 | 1 | 2 | 94:98 | 3 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საჩვენებელი წყვილი



ჩემპიონატი ჩემპიონატად და ყინულზე გამართული ფიგურისტების საჩვენებელი გამოსვლები ერთ რამედ ღირს. დასკვნითი, გალა წარმოდგენა, ლოზანაში გასრულებულ ევროპის ჩემპიონატს რომ მოჰყვა, ცხადია, ერთიათად ლამაზი იყო, ვიდრე თავად შეჯიბრი. იქ ქულებისთვის არავინ იბრძოდა. ეს კი საჩემპიონო წყვილია საფრანგეთიდან: მარინა ანისინა და გვენდალ პეიზერა.



# მამა და შვილი

არგენტინელ ხულიო პაბლო ჩაკონს ლონდონის ბენთალ გრინში უბრძოლია ორგანიზაციის (ვბო) ჩემპიონის ტიტულის დასაცავად და ქამარი არ დაუნებებია კოლუმბიელი ვიქტორ პოლოსთვის. გამარჯვებულს თავისი ვაჟი გაუყვანია რინგზე, ვინც მაგრები ვართ, ჩაკონები ვართო.

# ბრიჯიტს სჯეროდა



მელბურნში, ავსტრალიის ღია პირველობაზე, სანამ პიტ სამპრასის გამჩერებელი მარატ საფინი გამოჩნდებოდა, პიტის ცოლი ბრიჯიტ ვილსონი (მარცხნივ) ქმრის ოფლისღვრას ტრიბუნიდან სიამაყით და სიამოვნებით ადევნებდა თვალს. აქ კისკისებდა კიდეც ესპანელ მევოლფე სერხიო გარსიასა (მარცხნივ) და მის გელფრენდთან ერთად. ჩანს, ბრიჯიტი დარწმუნებული იყო, რომ მისი ქმარი უფრო შორსაც წავიდოდა.

# კეთილი ნების ქალები

მოახლოვდა მსოფლიოს საფეხბურთო ჩემპიონატი და იაპონია-კორეის თავკაცებიც თვალშისაცემად გააქტიურდნენ. სამხრეთ კორეის პრეზიდენტს კიმ დაუიუნგს და მის მეუღლე ლი ჰიჰოს იაპონელი და კორეელი კინოვარსკვლავები ნორკა ფუჯივარა (მარცხნივ) და კიმ იუნ ინი (მარჯვნივ) მიუღიათ. ეს ორი ქალბატონი მსოფლიოს ჩემპიონატის კეთილი ნების ელჩებად ყოფილან დანიშნული და ოცდამეერთე საუკუნეში ამ ორი ქვეყნის დაძმობილებასაც უნდა შეუწყონ ხელი.





# ფილის გამოჩენა

ფილ მიკელსონს დასვენება მოხდენია. აგვისტოს შემდეგ არ უთამაშია გოლფი რომელიმე ოფიციალურ შეჯიბრებაში და ამასობაში შვილი სოფია იზაბელიც მოჩიტულა. ჰოდა, მამაც ახალი შემართებით ჩართულა შეჯიბრში და სწორედ გუშინ „ბობ ჰოუპ კლესიკი“ მოუგია, კალიფორნიის კოხტა ალაგ ლა კინტაში რომ იმართება ყოველწლიურად. ფილის მეუღლეც იქ ყოფილა და განთქმულ ყვანჯოსანს პირველი მილოცვა სწორედ ცოლ-შვილისგან მიუღია.

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ პოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი ვახტანგ ბზიკაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია:
რედაქტორი გიორგი დარჯანია
გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, დავით გულუა, ავთანდილ გურასაშვილი, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე
კორესპონდენტი გერმანიაში ვანო ოქროპირიძე
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ხელმძღვანელი მამუკა გუბელაძე
ლია ბესელია, ელენე გელუტაშვილი, თამაზ გოგებაშვილი, ირინა გოგოლაშვილი, სვეტა დევაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, ნინო ყუფუნია, მალხაზ ჭუმბურიძე
გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge